აჭარის საარქივო
სამმართველო

# არქეიონი

# ARCHEION

# XVIII

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულება – საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara Autonomous Republic – Archives Administration*

ISSN 2233-3541

# ა რ ხ ე ი ო ნ i

# A R C H E I O N

# XVIII

თბილისი 2019 Tbilisi

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი**
**რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე**
**სარედაქციო საბჭო:**

თეონა იაშვილი, რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი მერაბ კეზევაძე, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე

**Maia Ivanishvili** – chairman of editorial board
**Tamaz Putkaradze** – editor
**Editorial Board:**

Teona Iashvili, Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili, Merab Kezevadze, Tsiuri Katamadze, Irakli Baramidze

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.
ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

**აჭარის საარქივო სამმართველო,** ტელეფონი: 27 52 10
**ვებ გვერდი**: http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2

გამომცემლობა „უნივერსალი", 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

**თამაზ ფუტკარაძე**

## ***საქართველო აზერბაიჯანის საარქივო დოკუმენტებში***

საქართველოს ყოველთვის ჰქონდათ ეკონომიკური, სამხედრო, პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობები თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ სახანოებთან, რომლებიც ხშირად სპარსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროში იყვნენ მოქცეულნი. ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა ნაწილი მკვიდრდებოდა კიდეც საქართველოში ფეოდალური მონარქიის საზღვრების გაფართოებისა თუ შევიწროების პირობებში. უცხოტომელთა მიგრაციას განაპირობებდა აგრეთვე ისტორიული ბედუკუღმართობანი და ცხოვრებისათვის ვარგისი სამეურნეო პირობები.

ზოგადად, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინაპრები თითქმის მთლიანად სპარსეთიდან და თურქეთიდან მოვიდნენ გვიან ფეოდალურ ეპოქაში. მათი ჩამოსახლება გარეშე აგრესიული ძალების სამხედრო-პოლიტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი და მიზნად ისახავდა საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციების კოლონიზაციას. საქართველოზე გამუდმებული თავდასხმების შედეგად ირანელი და თურქი დამპყრობლები ხშირად მიმართავდნენ თურქული ტომების ჩამოსახლებას იმ მიწებზე, რომლებიც მანამდე ქართველ მოსახლეობას ეკავა. ახალი დასახლებანი თანდათან იკავებდნენ გაუკაცრიელებულ ქართულ სოფლებს.

1865 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოში ცხოვრობდა 51,5 ათასი აზერბაიჯანელი; 1886 წელს – 62,6; 1897 წელს – 81,1 ათასი. აზერბაიჯანელთა რაოდენობამ საქართველოში მოიმატა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. 1926 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში იყო 143,951 აზერბაიჯანელი; 1939 წლის აღწერით კი 187,621; 1959 წელს – 153,6 (მეორე მსოფლიო ომმა განაპირობა 1959 წლისათვის მათი რაოდენობის შემცირება), 1970 წელს – 217,8; 1979 – 255,7; 1989 წელს – 307,5. ბოლო 2002 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 284,761 აზერბაიჯანელი, მათ შორის თბილისში – 10,942 (საქართველოს მოსახლეობის აღწერის ძირითადი შედეგები, თბილისი 2002).

ყოველივე ზემოთთქმული აჩენს ინტერესს საარქივო დოკუმენტების შესწავლისადმი. **აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობათა ამსახველი უნიკალური წერილობითი დოკუმენტები** (ფონდი რ 89, ი-7, ი-6, რ-1, რ-2, რ-188, რ-77, რ-4, რ-572, რ-425). რომელთა შესახებ ნატო ქიქავასა და ჩემს მიერ გამოქვეყნდა სტატია ჟურნალ „არხეიონის" XIV ნომერში. („არხეიონი, N 14, თბ. 2017 წელი). ამიტომ ამ საკითხზე აღარ გავამახვილებთ ყურადღებას.

ჩვენი ინტერესების სფეროში შედის **აზერბაიჯანის საარქივო დაწესებულებებში საქართველოს შესახებ დაცული დოკუმენტების შესწავლა.** 2019 წ. თებერვალ-აპრილში, **ევროკავშირის საგრანტო პროექტის „ჰორიზონტი 2020"-ის ფარგლებში ვიმყოფებოდა აზერბაიჯანის დედაქალაქში და მომეცა შესაძლებლობა დამემუშავებინა აზერბაიჯანის არქივებში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ.** მუშაობა მომიხდა როგორც აზერბაიჯანის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ისე ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში.

საქართველოს შესახებ საინტერესო მონაცემებია დაცული აზერბაიჯანის სახელმწიფო ისტორიულ არქივში. განსაკუთრებით უხვი მასალებია კავკასიის სუნიტური სასულიერო მმართველობის ფონდში (ფონდი N 291). ფონდი საკმაოდ დიდია და აერთია-

ნებს 5198 საქმეთა ერთეულს. ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1873 – 1920 წლებს. ცნობილია, რომ რუსეთის იმპერატორის 1872 წ. ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით კავკასიაში 1873 წ. შეიქმნა სუნიტური და შიიტური სასულიერო მმართველობები. რუსეთი ასეთ მმართველობებს ქმნის იმპერიის მუსულმანებით დასახლებულ სხვა რეგიონებშიც, რითაც ცდილობს როგორც მუსულმანების კეთილგანწყობის მოპოვებას, ისე სახელმწიფო ინტერესების გავრცელებას აღმოსავლეთში. მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურაც ამ მიზნების ადექვატური იყო. დებულების შესაბამისად სუნიტი მოლა-ხოჯები ასრულებენ სასულიერო საქმიანობას და ამავე დროს ემორჩილებიან ხელისუფლებას, ასრულებენ მთავრობის დადგენილებებს. ყოველივე ეს კი კონტროლდება გუბერნატორების მიერ. მმართველობის თავმჯდომარე იყო კავკასიის მუფტი, რომელიც ინიშნებოდა მეფის მიერ – კავკასიის მმართველობის სამოქალაქო ნაწილის ხელმძღვანელობის წარდგინებით. მმართველობის წევრებს მმართველობის სამოქალაქო ნაწილის ხელმძღვანელი ნიშნავდა. პრაქტიკულად, ხელისუფლება მუსულმანებისადმი პატივისცემის ყალბი ლოზუნგით სრულ კონტროლს ამყარებდა მათ საქმიანობაზე.

რადგანაც კავკასიის ცენტრი იყო თბილისი, სუნიტური სასულიერო მმართველობის ცენტრიც თბილისში განთავსდა. მმართველობამ შეიმუშავა მორწმუნეთა აღრიცხვის, დემოგრაფიული მონაცემების (შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება და ა. შ.) საკმაოდ ეფექტური წესები. შემუშავებული დებულების მიხედვით სასულიერო თანამდებობის დასაკავებლად დაწესდა შესაბამისი კრიტერიუმები: მოქალაქეობა, განათლება და ა. შ.), ხოლო თანამდებობის პირთა ოჯახები თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან, ზოგიერთი სახის სასჯელისაგან და მივლინებებსაც კი უნაზღაურებდნენ.

ფონდში მრავლადაა წარმოდგენილი საქართველოში მცხოვრები სუნიტების დემოგრაფიული მონაცემები ცალკეული წლების მიხედვით, თუმცა დოკუმენტების დიდი ნაწილი შედგენილია აზერბაიჯანულ ენაზე არაბული შრიფტით. ერთ-ერთი ორფურცლიანი საქმე (დათარიღებული 1875 წლით) ეხება თბილისში ერთდღიანი აღწერის ჩატარების საჭიროებას. დოკუმენტში განსაზღვრულია აღწერის მიზნები, დასაბუთებულია მისი მეცნიერული და ფისკალური მნიშვნელობა (აზცსია. ფ. 1, ს. N 112). 291-ფონდის 277-ე საქმე ეხება სიღნაღის მაზრაში მცხოვრები სუნიტების 1878 წ. დემოგრაფიულ მონაცემებს. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, „ახალციხისა და ახისკის“ მაზრების სუნიტური მოსახლეობის 1870-1900-იანი წლების დემოგრაფიული მონაცემები წარმოდგენილია სხვადასხვა წლების მიხედვით. დემოგრაფიული მონაცემები დაცულია ამავე ფონდის სხვა საქმეთა ერთეულებშიც (აზცსია, ფ. 291, ან. 1, ს. N 1093, 2558. 411, 625, 276, 277, 278, 555, 408). საარქივო მასალები გვაწვდიან ცნობებს მეჩეთების რაოდენობის, შემოსავლების (აზცსია, ფ. 291, ს. 620), თბილისის მეჩეთისათვის სხვადასხვა ნივთების შეძენის (ს. N 268), მეტრიკული წიგნების დამზადებისათვის ფულის შეგროვების (ს. N 14), კავკასიის მუფტისათვის პენსიის დანიშვნის (1872 წელი, ს. N 4), კავკასიის მუსულმანური წოდებისა და სასულიერო სასწავლებლების შენახვის საჭიროების, თბილისსა და ერევანში საგუბერნიო მეჯლისის გახსნის საკითხებზე ( აზცსია, ფ. 291, ან. 1, ს. 20).

ფონდში გვხვდება არაერთი დოკუმენტი მემკვიდრეობის განაწილებასთან დაკავშირებული ცნობის გაცემის თხოვნით. მაგალითად, N 998 საქმეში დაცულია ახალქალაქის მაზრის სოფ. ლოლივანის ერთ-ერთი მცხოვრების თხოვნა, მასზე შესაბამისი მოწმობის გაცემის შესახებ.

დოკუმენტებიდან ჩანს არამუსულმანური აღმსარებლობის ადამიანთა მცირე ნაწილის მიერ ისლამის მიღების კონკრეტული შემთხვევები. მათ შორის არიან ებრელებიც. ორფურცლიან საქმეში (აზცსია, ფ. 291, ს. N 1036) დაცულია სუნიტური მეჯლისისადმი თურქეთის ქვეშევრდომი ებრაელი მოქალაქის, ასევე თბილისელი ქალბატონის ა. მალცევას თხოვნა, რათა დააკმაყოფილონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება (აზცსია, ფ. 291, ს.N. 5187, 1036).

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ისლამური აღმსარებლობის მოსახლეობით დასახლებულ ცალკეულ რეგიონებში ადგილი აქვს ისლამის რადიკალური მიმდინარეობის გავრცელებას. საქმე N 2043 -ში აღნიშნულთან დაკავშირებით დაცულია ბორჩალოს მაზრაში ამ მიმდინარეობის გავრცელებასთან დაკავშირებული მიმოწერები სასულიერო და სამოქალაქო მმართველობებს შორის (აზცსია, ფ. 291,ს. 2043).

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, განქორწინებული ქალის ხელხალი გათხოვებისათვის საჭირო იყო სასულიერო დაწესებულების თანხმობა-ნებართვა. ამ მიზნით განქორწინებული ალიხაზ დეა კიზი კავკასიის სუნიტური მმართველობის მეჯლისის სახელზე წერს თხოვნას, რათა ქმრის მიერ აპელაციაში განცხადების შეტანამდე მიეცეს გათხოვების უფლება. დოკუმენტი თარიღდება 1898 წლით (აზცსა, ფ. 291, ან. 1, ს. ს. 2405). ნებართვა საჭირო იყო ზოგადად ოჯახის შექმნის დროს (აზცსა, ფ. 291, ან. 1, ს. N 8). დოკუმენტებში არის სხვადასხვა სახის ცნობები 1872 წ. უკანონო ქორწინებების შესახებ ბორჩალოს მაზრაში. ერთერთი დოკუმენტი ეხება ბორჩალოელი მოქალაქისა და სპარსეთის ქვეშევრდომის უკანონო ქორწინებას (აზცსა, ფ. 291, ან. 1, ს. N 19).

როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა მოტაცებული ქალის უკან დაბრუნების შემთხვევებსაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1876 წ. ერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვით თბილისის გუბერნიის სოფ. კობარლუს მცხოვრები სასულიერო მმართველობას მიმართავს თხოვნით, ქალის კანონიერი ქმრისადმი დაბრუნების შესახებ (აზცსა, ფ. 291, ან. 1, ს. 137). მსგავსი დოკუმენტები გვხვდება სხვა საქმეებშიც (ს. 143). საარქივო მასალებში მრავლადაა ცოლის მოტაცებათან დაკავშირებული თხოვნები, უკან დაბრუნების მცდელობები. როგორც ჩანს, მე-19 ს. 80-90-იან წლებში მრავლად იყო მსგავსი შემთხვევები. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა მომხდარა ბორჩალოში, სოფ. ქოსალარში, სადაც თანასოფლელს მოუტაცნია თანასოფლელის ცოლი (აზცსა, ფ. 291, ან. 1, ს. N 986). დაზარალებულს სასულიერო მმართველობის წინაშე დაწერილი აქვს შესაბამისი თხოვნა. დოკუმენტების ნაწილი რუსულ ენაზეა შედგენილი, ნაწილი კი არაბული შრიფტითაა წარმოდგენილი.

ზოგადად ისლამურ სამყაროში ხშირი იყო მცირეწლოვანთა გათხოვების შემთხვევები. მცირეწლოვნებთან ქორწინებას არც სუნიტური სასულიერო პირები ერიდებოდნენ. ამავე ფონდის 5039 -ე საქმეში დაცულია სამოქალაქო და რელიგიურ ორგანოებს შორის მიმოწერები, ასევე ბათუმელი მოქალაქის საჩივარი სუნიტურ და ქუთაისის საგუბერნიო მმართველობასთან მოლას უღირსი საქციელის შესახებ, რომელმაც ცოლად მოიყვანა 11 წლის გოგონა (აზცისა, ფ. 291, ს. N 5039). მოლების უღირსი საქციელის შესახებ ანონიმური საცივრებიც იწერებოდა. საჩივრის ავტორები უღირსი მოლების დასჯას ითხოვდნენ (აზცსია, ფ. 291, ან. 1, ს.N 5034).

საარქივო მასალების ნაწილი ეხება სასულიერო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სასულიერო წოდების მინიჭება გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა. პრეტენდენტს ეძლეოდა გამოსაცდელი ვადა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაცულია 291-ფონდის N 980 საქმეში.

ფონდში წარმოდგენილია მასალები სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლიანობასთან დაკავშირებითაც. ამ მასალებს შორისაა ბათუმის ოკრუგის სოფლების დჯაგოს (შესაძლოა ჯოჭო, თ.ფ.) და ახალშენის, ასევე ართვინის ოკრუგის სოფელ ჩიხისხევის მცხოვრებთა საჩივარი ბათუმისა და ართვინის სასამართლოთა გადაწყვეტილების სამართლიანობასთან დაკავშირებით (1898 წ.) (აზცსა, ფ. 291, ან. 1, ს. N 2522, 2541, 2587).

ფონდში წარმოდგენილია კავკასიის სუნიტური სასულიერო მმართველობის ტფილის-ქუთაისის საგუბერნიო მეჯლისის სხდომის ოქმები. ერთ-ერთი სხდომის იქმი ეხება აწყურში მცხოვრები სეიდ ამი ეფენდი ზადესათვის 1904 წ. ატესტატის გაცემისა და მასწავლებლის წოდების მინიჭების საკითხებს (აზცსა, ფ. 291, ან. 1, ს. N 3409).

როგორც ცნობილია, მე-20 ს. დასაწყისში ხშირი იყო შეტაკებები სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. მსგავს შეტაკებებს ადგილი ჰქონდა 1917-1918 წლებშიც. N 5168-ე საქმე სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებულ საარქივო მონაცემებს შეიცავს.

სუნიტურ მმართველობასთან ერთად კავკასიაში ფუნქციონირებდა შიიტური სასულიერო მმართველობის საბჭოც. ამ საბჭოს საქმიანობის ამსახველი მასალები დაცულია **290-ე** ფონდში.

როგორც ცნობილია, მეფის ხელისუფლებამ კავკასიაში იმავე, 1872 წ. ბრძანებით შექმნა **კავკასიის შიიტური სასულიერო მმართველობის საბჭო შეიხ ულ ისლამის** ხელმძღვანელობით. შეიხ ულ ისლამი ინიშნებოდა მეფის მიერ კავკასიის მმართველობის სამოქალაქო ნაწილის ხელმძღვანელობის წარდგინებით. მმართველობის ფუნქციებში შედიოდა რელიგიური მმართველობის განხორციელება, საგუბერნიო მეჯლისების საქვეუწყებო მმართველობის გადაწყვეტილებების კონტროლი, საჩივრების განხილვა, ხელისუფლებისათვის ანგარიშების დროული შედგენა-წარდგენა, სასულიერო სასწავლებლების პროგრამების შედგენა. მას უფლება ჰქონდა ქორწინებასთან, რელიგიური წესების დარღვევასთან, შიიტური და სუნიტური სწავლების მიმდევრებს შორის წინააღმდეგობებთან და ყველა სხვა სადავო საკითხზე მიეღო გადაწყვეტილება (აზცსია, გზამკვლევი, ბაქო, 1958, გვ. 172)

შიიტურ სასულიერო მმართველობას ეხება აზერბაიჯანის ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ფონდი N 290. ამ ფონდშიც დახლოებით იგივე შინაარსის დოკუმენტებია დაცული, როგორიც სუნიტური მმართველობის ფონდში, კერძოდ: თბილისის შიიტური მეჩეთის შემოსავლის, გასავლის (აზცსა, ფ. 290, ა, 2, ს. 3607), თბილისის გუბერნიის შიიტი მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები 1908-1909 წლებში (აზცია, ფ. 291, ან.2, ს. 2812) (სხვადასხვა წლების დემოგრაფიული მონაცემები წარმოდგენილია სხვადასხვა საქმეებში), მეტრიკული ჩანაწერები (აზცსა, ფ. 290, ან. 2, ს. 2906), სასულიერო წოდებაზე წარდგინება და ა. შ. (აზცსა, ფ. 290, ან.2, ს. 2717) და ა. შ.

მუსულმანების მხარდაჭერის მოპოვებისათვის იმპერია არ ერიდებოდა რელიგიური სასწავლებლების გახსნას არა მარტო ძირითადი რელიგიების, არამედ ამა თუ იმ რელიგიის ზოგიერთი მიმდინარეობის აღმსარებელთათვისაც. მხედველობაში გვაქვს 290-ე ფონდის 3882-ე საქმე, რომელიც თბილისში ალიების (ალევიტების) რელიგიური სასწავლებლის გახსნას ეხება. დოკუმენტები თარიღდება 1847 წლით. საქმეში სასწავლებლის წესდებაცაა წარმოდგენილი (აზცსა, ან. 2, ფ. 290, ს.N 3882)

საქართველოს შესახებ საინტერესო მასალებია დაცული **ბაქოს სახაზინო პალატის ფონდში (ფ. N 43).** მასში 16018 საქმეთა ერთეულია. როგორც ცნობილია, ბაქოს სახაზინო პალატა დაარსდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს ხელმძღვა-

ნელის 1872 წ. 5 აგვისტოს ცირკულარის საფუძველზე და იარსება საბჭოთა ოკუპაციამდე. 1918 წ. მაისში იგი ლიკვიდირებული იქნა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბაქოში მცხოვრებ ქართველთაგან ზოგიერთი სამეურნეო საქმიანობით იყო დაკავებული. ერთ-ერთი მათგანია **თვალავაძე**, რომელიც ითხოვს ბაქოში მისთვის მიწის იჯარით გადაცემას. აქვეა ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო სახაზინო დეპარტამენტის თანხმობა 368 კვ. საჟენი მიწის თვალავაძისათვის იჯარით გადაცემის შესახებ სამი წლის ვადით. საიჯარო გადასახადი შეადგენდა კვ. საჟენზე 2 მანეთს ( აზცსის, ფ.N 43, ან 1, ს. 657, ფურც. 1). თვალავაძეს მიწის გადაცემის სანაცვლოდ ევალებოდა ტროტუარის მოწყობა, მაგრამ სახელმწიფოსათვის ამ მიწის საჭიროების შემთხვევაში უნდა გაეთავისუფლებინა და გაეწმინდა მიწის ნაკვეთი 6 თვის მანძილზე.

გიორგი სოლომონისძე თვალავაძე ქუთაისის გუბერნიის სოფ. ციხისგორიდან ყოფილა. როგორც ჩანს, მოგვიანებით შეექმნა გარკვეული პრობლემები, ამიტომ მოითხოვა დასახელებულ მიწის ნაკვეთზე საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელება (1909 წ. 8 დეკემბრიდან) და ყველა უფლების ცხინვალელ იგორ ოვანოვისათვის გადაცემა (აზცსია, ფ. 43, ს. 657, ან. 1., ფურც. 18). როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ღრნიშნული თხოვნა დაუკმაყოფილებიათ, მაგრამ ოვანოვს ვერ შეუსრულებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, წლის მეორე მესამედში არ გადაუხდია საიჯარო გადასახადი – 468,7 მანეთი, არ მოუწყია ტროტუარი და მოუთხოვია ამ მიწის სხვაზე გადაცემა. ეს ჩანს ბაქოს საქალაქო პოლიციისადმი გაგზავნილ სახაზინო პალატის წერილიდან ( აზცსია, ფ.43, ან. 1, ს. 657, ფ. 30).

ამავე ფონდში არის მიმოწერები ერევნის სახაზინო პალატასა და ბაქოს გუბერნატორს შორის ბაქოში ირანის შაჰის სტუმრობასთან დაკავშირებით. ამავე დოკუმენტებიდან ვიგებთ თბილისში მეაბრეშუმეთა ყრილობის მოწვევის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას (აცსია, ფ. 43, ან.1, ს. 334, ფ. 186,192).






საქმეში არსებული 1900 წლის 16 ივნისით დათარიღებულ წერილში ჩამოთვლილი არიან მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომელთა შორის მოხსენებული არიან ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული **ტიტე ბახტაძე** და იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული **სიმონ ამირეჯიბი** (აზცსია, ფ. 43, ან. 1, ს. 334, ფურც.117). ამავე საქმეში დაცულია 1900 წლით დათარიღებული დოკუმენტი ფოთის ალ. ნეველის სახელობის ეკლესიის შე-

კეთებისათვის დახმარების თაობაზე (აზცსია, ფ.43, ან.1, ს.334,ფირც.117).

ფონდში ბათუმელების შესახებაც გვხვდება გარკვეული ცნობები. ერთ-ერთი მათგანია **გ. ვორობიოვა.** მასალებიდან ჩანს, რომ გერასიმე ვორობიოვა საცხოვრებლად გადასულა გეოგჩაის სოფელ ივანოვკაში (აზცსია, ფ. 43, ან.1, ს. 299, ფურც. 158). ამავე ფონდის ექვსფურცლიან საქმეში (ს.N1287) დაცულია მასალები ბათუმელი გ. კარაევის ბაქოს მეშჩანების საზოგადოებაში ჩარიცხვის შესახებ 1905 წელს (აზცსია, ფ. 43, ან.1, ს. 1287). მსგავსი მასალები გვხვდება 1435-ე საქმეშიც.

ერთ-ერთ საქმეში დაცულია მიმოწერები სხვადასხვა უწყებებს შორის **თბილისში პოლიტიკური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე (1906-1910 წწ.)** (აზცსია, ფ. 43, ან. 1, ს. 566).

ფონდებში დაცული მასალები ეხება გაშვილების საკითხებსაც. გასაშვილებელთა შორის დასახელებულნი არიან ქართველებიც, კერძოდ საფნელაშვილი და ანდრიაშვილი (1894-1896წწ.) (აზაცსია, ფ.43, ან. ა, ს. 80), საინტერესოა გარდაცვლილი ზოტიკოვა-პისაძის მემკვიდრეობის დისათვის გადაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტი (1890 წელი) (აზცსია, ფ.43, ან.1, ს. 479).

ცალკე ფონდია გახსნილი ქართველი იურისტის **ლევან მამულაიშვილის** სანოტარო კანტორის შესახებ (ფ. N 541). ზოგადად, კერძო სანოტარო კანტორები გაიხსნა 1867 წ.9 დეკემბრის კანონით „სასამართლო კანონების შემოღების შესახებ“. ბაქოს ოკრუგის სასამართლოს ჩამოყალიბების პარალელურად. კანტორებმა იარსება 1918 წლამდე (აზცსია, ფ. 541). ერთ-ერთი საქმე ეხება თავად დადიანის ნავთობსამრეწველო ფირმას (1908-1910 წწ.) (აზცსია, ფ. 696, ან. 1, ს. 1), ტფილისის კომერციულ ამხანაგობას (ფ. N 775) და ა. შ.

აზერბაიჯანის ცენრტალურ ისტორიულ არქივთან ერთად რამოდენიმე კვირის განმავლობაში **ვიმუშავე ცენტრალურ სახელმწიფო არქივშიც.** იქ დაცულია 1916 წლის შემდგომი პერიოდის მასალები. ჩემი ინტერესების სფეროში შედიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდისა და 20-ნი წლების მასალები. ამ თვალსაზრისითაც იქ საკმაოდ მრავალფეროვანი დოკუმენტებია დაცული. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი აზერბაიჯანის შესაბამისი უწყების 1919 წ. 9 დეკემბრის წერილით აზერბაიჯანის მხარე თხოვს საქართველოს ხელისუფლებას აზერბაიჯანის გენერალურ კონსულს ბათუმში მიეცეს სატელეგრაფო ხაზის მეშვეობით ბათუმიდან თბილისსა და ბაქოში დეპეშების გაგზავნის შესაძლებლობა (აცსა, ფ. 897, ან.1, ს. 64, ფ. 29).

ერთ-ერთი დოკუმენტი ეხება რსფსრ-სა და კავკასიის სოციალისტურ რესპუბლიკებს (საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს) შორის ხელმოწერილ შეთანხმებას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ – ლენინის (რსფსრ-ს სახკომი), ლეჟავას (საგარეო ვაჭრობის სახკომი), ორახელაშვილის (საქართველოს სახკომი), ალიევის (აზერბაიჯანის სახკომი) და ტერ-გაბრიელიანის (სომხეთის სახკომი) ხელმოწერებით (აზცსა, ფ. 379, ან. 3, ს. 2, ფურც. 46).

**ამავე საქმეში დაცულია 1921 წ. 5 ივლისის საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის შიგა საზღვრების, საკუთრივ სასაზღვრო ხაზის რეგულირების საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციის დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყარაის ველის სადავო ტერიტორიაზე ცხადდება აზერბაიჯანის, კერძოდ ყაზახის მოსახლეობის უფლებები.** დადგენილებაში ჩაწერილია ამ ტერიტორიის საზღვრები წითელი ხიდიდან მდ. ხრამის გაყოლებით ბეიუქ-კიასიკის სადგურამდე. დადგენილებაში **ელდარის ველის მფლობე-**

**ლობის საკითხებზეცაა** საუბარი, რომელთან დაკავშირებული სადავო საკითხები ადგილზე უნდა შესწავლილიყო.

**განსაკუთრებით საინტერესოა დადგენილების მე-4 პუნქტი, რომელშიც ნათლად ჩანს – თუ როგორ ანიავებენ ქართულ მიწებს ბოლშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები.** საკითხი ეხება ზაქათალის ოლქს (საინგილოს). დადგენილებაში შავით თეთრზე პირდაპირ წერია: **„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა უარს ამბობს ზაქათალის ოლქთან დაკავშირებით ყოველგვარ პრეტენზიებზე სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში, რის შესახებაც საქართველოს რევკომი გამოსცემს შესაბამის დეკლარაციას“.** დოკუმენტს ხელს აწერენ **ფილიპე მახარაძე და ნარიმან ნარიმანოვი** (აზცსა, ფ. 379, ან.3, ს. 2, ფ. 99, ასევე, ს. N 6, ფ. 14-18). **ეს ის ნარიმანოვია, რომელსაც 2019 წ. გაზაფხულზე თბილისში ძეგლი დაუდგეს?!.**

მენშევიკებსაც **შესანიშნავად ეხერხებოდათ ქართული მიწების გასხვისება. სწორედ მათ კისერზეა ბრესტ-ლიტოვსკში მიღებული საქართველოს საწინააღმდეგო გადაწყვეტილება არტაანის, ბათუმის და ყარსის თურქეთისათვის გადაცემის შესახებ.** ცნობილია, რომ **მენშევიკებს შესთავაზეს დაეცვათ საკუთარი ქვეყნის ინტერესები** მოლაპარაკების დროს (თუმცა ტროცკი ეწინააღმდეგებოდა ქართველების დასწრებას მოლაპარაკებაზე), მაგრამ **ევგენი გეგეჭკორმა განაცხადა: „რადგან კავკასია (და საქართველოც) შეადგენს რუსეთის ნაწილს, ზავის საკითხი რუსების კომპეტენციას შეადგენსო“** (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები სათანადო დოკუმენტაციის დართვით, გვ. 160).

ჭეშმარიტება მოითხოვს ითქვას, რომ ორჯონიკიძის მიერ ქართული მიწების ოფიციალურ გასხვისებამდე მენშევიკებმა გაასხვისეს ეს მიწები ჯერ კიდევ 1910-იან წლებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რ. გაბაშვილის ინფორმაცია: **„1912 წელს მოხდა საშინელი ჩვენი (ე. ი. საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივობის) მორალური მარცხი... უდიდესი მასშტაბით: კიევში მომხდარ „რუსეთის არასახელმწიფოებრივ ერთა კონფერენციაზე“, რომელიც ხდებოდა საიდუმლოდ, – „კოოპერაციის კონფერენციის“ კამუფლაჟით, – საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა: სოციალ-დემოკრატმა ნ. რამიშვილმა და ს. ჯიბლაძემ და სოციალისტ-ფედერალისტმა – ოსიკო ბარათაშვილმა და სამსონ ფირცხალავამ თავიანთი პარტიების სახელით, ბოროტება ჩაიდინეს: მომავალ – ტერიტორიალურ-ეროვნულ განსაზღვრებაში, – საინგილო მორალურად მიაკუთვნეს აზერბაიჯანს, აფხაზეთი – ჩრდილო-კავკასიას და ახალციხე-ახალქალაქი, ბორჩალოს მაზრა ნავთლუხამდის – სომხებს; რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პრინციპების მიხედვით: „რეალური მოსახლეობისა“. ეს თეორიულ-მორალური გაცემა სახელმწიფოებრივ ტერიტორიის მთელი პროვინციებისა, – რაც ასე კარგად უდგებოდა საერთოდ რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ... დადასტურებული იყო ჩვენი ზემოაღნიშნული „სოციალისტების“ არა მარტო ხელის მოწერით, არამედ კიევიდან ჩამოტანილ რუკაზედაც აღნიშნული“** (იხ. რ. გაბაშვილის მემუარები, ასევე, მ. მჭედლიშვილი, „იმპერიის მარწუხებში, ელ. ვერსია, თბ. 2004, გვ. 105-106).

ჩვენი მეზობლების მიერ წამოყენებული ტერიტორიული პრეტენზიები ართულებდა ევროპის სახელმწიფოთა მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. პარიზის კონფერენციაზე სომხეთმა მოითხოვა სამხრეთ საქართველოს ტერიტორია და ასევე შავ ზღვაზე გასასვლელი ისევ საქართველოს ხარჯზე. მათ კონფერენციას წარუდგინეს ე.წ. დიდი სომხეთის რუკა, სადაც მის საზღვრებში იყო მოქცეული მტკვრის მთელი მარცხენა მხარე გორისა და თბილისის ჩათვლით. ამ პრეტენზიების გამოც საქართველომ ვერ მოიპოვა ევროპის სახელმწიფოთა მხარდაჭერა. რუსეთში თეთრგვარდიელთა მარცხის შემდეგ ვითარება ერთგვარად შეიცვალა.

აზერბაიჯანსა და საქართველოს რესპუბლიკების შიგა საზღვრების გამიჯნვის შესახებ მასალები დაცულია 379-ე ფონდის N 6 საქმეშიც. (აზცსა, ფ. 379, ან.3, ს. 2, ფ. 99, N 6 საქმე).

როგორც ჩანს, მოსახლეობა ვერ ეგუებოდა ქართული მიწების გასხვისებას. სწორედ ამიტომ ჰქონდა ადგილი ტერიტორიულ დავებს საძოვრებსა და სახნავ მიწებზე, რაც ჩანს 1920-ნი წლების სხვა დოკუმენტებში. ერთ-ერთი ასეთია საქართველოს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და დაღესტანს შორის სახელმწიფო საზღვრების გამიჯნვის საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტები. შესაბამისად წარმოდგენილია მიმოწერები კავკასიის ცაკ-თან (1925 წელი) (აცსა, ფ. 379, ან.3, ს. 465). საქმე ეხება **ზაქათალისა და სიღნარის მოსახლეობას შორის წამოჭრილ დავას ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთზე**. ამიერკავკასიის ცაკს მიზანშეუწონლად მიუჩნევია მისი გადახედვა და მიუცია რეკომენდაცია თითო პასუხისმგებელი პირის მივლინების შესახებ, რათა ამ საკითხზე გააკეთონ განმარტება. დოკუმენტს ხელს აწერს ცაკ-ის მდივანი ა. შავერდოვი (აცსა, ფ. 379, ან.3, ს. 465, ფურც. 1, 2).. საქმეში დაცულია აზერბაიჯანის ცაკის თავმჯდომარის წერილი კავკასიის სახკომსაბჭოსადმი, საკუთრივ ორახელაშვილისადმი: „სიღნაღისა და ზაქათალის ტერიტორიულ დავაში მე მონაწილეობას ვიღებდი მხოლოდ კომისიის მუშაობაში, რომელიც შეთანხმდა ოთხ დროებით პუნქტში, მაგრამ კავკასიის ცაკის გადაწყვეტილებაში მე მონაწილეობა არ მიმიღია და ამ გადაწყვეტილების მატერიალური შინაარსი ჩემთვის უცნობია“ (აცსა, ფ. 379, ან. 3, ს. 465, ფურც. 5).

სასაზღვრო დავის საკითხები საქართველოს და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის წარმოდგენილია სხვა საქმეებშიც. ამავე ფონდის N 234 საქმეში საკმაოდ მრავალფეროვანი მასალებია ამ თვალსაზრისით (170 ფურცელი). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამონაწერები კავკასიის ცაკის სხდომების ოქმებიდან და მიმოწერები სასაზღვრო დავის შესახებ ამ ორ რესპუბლიკას შორის (1924-1926 წლები) (აზცსა, ფ. 379, ან. 3, ს. 234). საქმეში დაცულია 1925 წ. 30 ნოემბრის სხდომის ოქმი და ბაგიროვის მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით (ფურც. 4-5, 110-144). მსგავსი მასალებია დაცული ამავე ფონდის 217-ე საქმეში. მასში საუბარია სასაზღვრო დავებზე, საძოვრებიდან საქონლის გადარეკვაზე ორივე მხრიდან, შეიარაღებულ თავდასხმებზე და ა. შ.

**საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლის 446 კმ-იან მონაკვეთზე სადავო საკითხები დღესაც არსებობს. იგი უპირატესად დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსს შეეხება.** საქართველო მზადაა გაცვალოს ტერიტორიები, რადგან აცნობიერებს ამ სამონასრტო კომპლექსის ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას, თუმცა აზერბაიჯანი სადაო ტერიტორიის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მომიზეზებით ამ გარიგებაზე არ მიდის, უფრო მეტიც, სადაო ტერიტორიზე არსებულ მონასტერს კავკასიელი ალბანელების საკუთრებად მიიჩნევს. გაჩნდა შეხედულება ამ ტერიტორიის ერთობლივ ტურისტულ ზონად გადაქცევის შესახებ, რაც ქართული საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზი გახდა.

ამრიგად, აზერბაიჯანის საარქივო დაწესებულებებში დაცულია ძალზე საგულისხმო საარქივო დოკუმენტები (ნაწილი ამ დოკუმენტებისა საქართველოს ეროვნულ არქივშიცაა დაცული). ყველა დოკუმენტის შესწავლა ჩვენ დროის შესაბამის მონაკვეთში ვერ მოვახერხეთ, თუმცა შევძელით საკმაოდ მრავალრიცხოვანი საარქივო დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების შემოტანა, რაც დაინტერესებულ მკვლევარებს მისცემს აზერბაიჯანში საქართველოს შესახებ დაცული მასალების დამატებითი შესწავლის შესაძლებლობას.

**გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა**
**წყაროები:**

1. აზერბაიჯანის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, შემდგომში აზ-ცსია, ფ. ი-1
2. აზცსია, ფ. ი-2
3. აზცსია, ფ. ი-4;
4. აზცსია, ფ.ი-6
5. აზცსია, ფ. რ-7;
6. აზცსია, ფ. 43, ან 1, საქმ. 80, საქმ. 299, ფურც. 158; საქმ. 334 , ფურც. 117, 186,192; საქმ. 479, საქმ. 566, საქმ. 657, ფურც. 1, 30; საქმ. 1287,
7. აზცსია, ფ. რ-77;
8. აზცსია, ფ. რ-188;
9. აზცსია. ფ. 291, ან. 1, საქმეები: N 1, 4, 8, 14, 19, 20, 112, 137, 411, 625, 276, 277, 278, 555, 408, 620, 986, 998, 1036, 1093, 2043, 2405, 2522, 2558, 2587, 2812, 2906, 3409, 5035, 5039, 5187,
10. აზცსია, ფონდი რ – 89;
11. აზერბაიჯანის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, შემდგომში – აზცსა, ფ. 290, საქმეები: N 2717, 2906, 3882,
12. აზცსა, ფ. 379, ან. 3, ს. 2, ფურც. 46, 99; საქმ. N 6, ფურც. 14-18; საქმ. 234, საქმ. 465,
13. აზცსა, ფ. 897, ან.1, ს. 64, ფ. 29;

**ლიტერატურა:**

1. აზცსია, გზამკვლევი, ბაქო, 1958, გვ. 172;
2. ნატო ქიქავა, თამაზ ფუტკარაძე, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობები აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით, „არხეიონი, N 14, თბ. 2017 წელი;
3. საქართველოს მოსახლეობის აღწერის ძირითადი შედეგები, თბილისი, 2002;
4. მ. მჭედლიშვილი, „იმპერიის მარწუხებში, ელ. ვერსია, თბ. 2004.

*Tamaz Phutkaradze*

***Georgia in Azerbaijan archival documents***

***Summary***

Interesting data on Georgia are preserved in the State Historical and Central State Archives of Azerbaijan. In February-April 2019, the author of an article was in the Azerbaijani capital within the framework of the EU grant project "Horizon 2020" and had the opportunity to partially study the archival documents kept there. The article reviews these documents.

*ოთარ გოგოლიშვილი*

## *ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში*

20-საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმი უკვე მოზრდილი ქალაქი იყო. მოკირწყლული და ქვაფენილიანი ქუჩებით, ელსადგურით, წყალსადენებით, ვაჟთა და ქალათა გიმნაზიებით, სკოლებით, თითქმის ყველა ეროვნებისთვის სამოქალაქო სასწავლებლით, 120–საწოლიანი საავადმყოფოთი, ნურიის მოედანზე აგებული დახურული ბაზრით. მოასფალტებული ტროტუარებით, ფოსტით, ქალაქის გამგეობის ახალი შენობით, რომელიც დღეს ამშვენებს ბათუმს. გაიხსნა ბანკები და მათი ფილიალები, დაწესდა ლომბარდი, და ა.შ. გახშირდა კულტურული ღონისძიებებიც. მთელი დატვირთვით მოქმედებდა ე.წ რკინის თეატრი. უკვე აღარავის აოცებდა დედაქალაქიდან ჩამოსული თეტრალური დასების მიერ დადგმული წარმოდგენები. გამოჩნდნენ ადგილობრივი თეატრალური ჯგუფებიც. ყველაფერი ეს ქალაქის თვითმმართველობის დაუღალავი უნარიანი საქმიანობის შედეგი იყო. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი, საერო და საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მოღვაწე, რომლებმაც საბოლოდ დაამტკიცეს, რომ ქართველობას სხვაზე უკეთესადაც კი შეუძლია ხელმძღვანელობა და საზოგადო საქმეთა კეთება. თვითმმართველობაში მომუშავე მამულიშვილთა თანამოაზრენი და თანამოსაქმენიც იყვნენ ქალაქის სამხედრო ნაწილებში მომსახურე ქართველი ოფიცრობა და ჯარისკაცები. ზოგიერთი თვითმმართველობის ხმოსნადაც იყო არჩეული და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადო საქმიანობაში. მაგალითად, ციხის სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი იოსებ მდივანი, პოდპოლკოვნიკი ნიკო დუმბაძე და რა თქმა უნდა პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი, დიდი ქართველი მწერალი და მამულიშვილი. იყვნენ სხვებიც რომელთა წარმოჩენა და სათანადო პატივის მიგება მომავლის საქმეა. მათი ეროვნული მოღვაწეობაც არანაკლები გმირობაა, რადგან იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა სამხედრო ნაწილებში უფრო ძლიერი იყო: „შენი სამშობლო რუსეთია და შენც რუსი ხარ, რუსი", – ასე უტენიდნენ თავს ქართველ ახალგაზრდებსაც სამხედრო ნაწილებში და ცდილობდნენ ექციათ მორჩილ, ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელ მანქანებად. ჩვენი ეროვნული მოღვაწეები შეერთებული ძალით ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ ამგვარ ანტიადამიანურ და ანტიეროვნულ პოლიტიკას და ეშველათ, ცხოვრების სამზეოზე გამოეყვანათ ეს ახალგაზრდები.

„ჯერ ადამიანი ვარ და მოქალაქე, შემდეგ კი სამხედრო მოსამსახურე", – ასეთი სულისკვეთებით მუშაობდნენ დავით კლდიაშვილი და მისი თანამოაზრე სამხედროები ჯარისკაცებთან. ზრუნავდნენ მათი განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებაზე, ასწავლიდნენ შეეცნოთ ცხოვრება, დაეცვათ ეროვნული და პიროვნული ინტერესები, ადამიანური ღირსება. ცხადია ეს ხდებოდა შესაბამისი ღონისძიებების და საუბრების მეშვეობით და განაპირობებდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა დაახლოვებას რაც მიუღებელი იყო მაშინდელი მკაცრად იერარქიული სამხედრო წესრიგისთვის. ჯარისკაცისადმი ადამიანური მოპყრობა დანაშაულადაც კი ითველბოდა. სწორედ ასეთი სულისკვეთებით მუშაობის გამო აითვალწუნეს და პოლიტიკურად არასაიმედოდ სცნეს წარჩინებული ოფიცერი დავით კლდიაშვილი და ოცდაექვს წლიანი სამსახურის შემდეგ აიძულეს თავი დაენებებინა სამხედრო სამსახურისთვის, მაგრამ საქმე კეთდებოდა. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ ახალგაზრდებს, თავიანთ სოფლებში თან მიჰქონდნათ შეძენილი ცოდნა და კულტურული ღირებულებები, ეროვნული და სოციალური თავისუფლებების იდეები.

ანალოგიური შეიძლება ითქვას მუშათა შემთხვევაშიც. ამ დროისთვის ბათუმის მოსახლეობის ნახევარზე მეტს გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და აჭარის მთის სოფლებიდან გამოსული მუშა–ახალგაზრდები შეადგენდნენ. მათი ეროვნული გამოფხიზლებისა და ახალი ცხოვრეების ასპარეზზე გამოსაყვანად, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად დიდი საგანმანათლებლო და კულტურული მუშაობა იყო საჭირო. უკვე ვთქვით, რომ ჩვენმა ეროვნულმა მოღვაწეებმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვეს თავი. კიდე ვიმეორებ, რომ ესაა კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობის ერთიანი ჯაჭვი, რომელიც გაბმულია წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი სკოლის გახსნიდან ბათუმში, აჭარის მთიანეთში ჩვენი საზოგადო მოღვაწეების მისიონერულ მოღვაწეობამდე.

ერთობ კოლორიტულად იხსენებს დავით კლდიშვილი თბილისიდან თეატრალური დასის ერთ–ერთ ჩამოსვლას ბათუმში.

„...დასის ერთ–ერთი ჩამოსვლის დროს გავეცანი ქართველ არტისტებს: მარიამ საფაროვა–აბაშიძისა, ქეთო ანდრონიკაშვილისას, ვასო აბაშიძეს, სანდრო ყაზბეგს, ლადო მესხიშვილს, ნატო გაბუნიას, ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმღერებით, საუბრებით. ძლიერ იზიდავდა საზოგადოებას ქეთო ანდრონიკაშვილის ლეკური. ხანჯლებით ლეკურის პირდაპირ გიჟური მოთამშე იყო სანდრო ყაზბეგი... ვის არ გამოაღვიძებდა ლამაზი, ცქრიალა, საუცხოო კილოზე მოლაპარაკე საფაროვა–აბაშიძისა ან ნატოს თამაში–სიმღერა, ვასოს უნიჭიერესი თამში და კუპლეტები, მესხიშვილსი დანახვა და მოსმენა”... [1]

ამგვარ თეატრალურ დასებს დედაქალქიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ ეროვნული სული და ახალი ცხოვრების წყურვილი, გამოცოცხლების განცდა. წერა–კითხვის გამავრცელებელი სკოლის მატერიალური გაღონიერებისათვის ყოველწლიურად, 12 იანვარს, გ. ვოლსკისა და ი. მესხის თაოსნობით, ქალაქის საკრებულო დარბაზში იმართებოდა ნინოობის დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, თეატრალური დასები.

კულტურული–საგანმანათლებლოდ და საერთოდ საზოგადო მუშაობა არ შენელებულა ლუკა ასათიანის გარდაცვალებისა და ივანე ანდრონიკაშვილის ქალაქისთავად არჩევის შემდეგაც. იგი ასათიანის ღირსეული მემკვიდრე გამაოდგა. 14 წელი უმეთაურა ქალაქს და მისი აღმშენებლობის, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის ნამდვილი ორგანიზატორი იყო. მას კიდევ უფრო ხშირად უწევდა ბეწვის ხიდზე გავლა, რომ ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისთვის ბრძოლა შეეთავსებინა სოციალური და პიროვნული თავისუფლებისა და თანასწორებისათვის ბრძოლასთან. ამ იდეებით სულ რომ ხშირად გამოდიოდა უკვე მომძლავრებული მუშათა კლასი. ეს იყო ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი ინტერესების დაცვა ეროვნულ–განმანთავსუფლებელი მოძრაობის ნაწილი იყო.

„მუშებმა ნელ–ნელა ერთგვარი ორგანიზაციის შემოღება იწყეს. ხელმძღვანელებიც ამისთვის ბათუმში ბლომად მოიპოვებოდნენ. ამასთან მესამე დასელები დღითიდღე აძლიერებდნენ მუშაობას მათ შორის. აქ მათ ჰყავდათ უფროსი ხელმძღვანელები... ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე... ნოე ჟღდანია, ფილიპე მახარაძე.

ამათ იმდენი მოახერხეს, რომ ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა–სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნი და უწერდნენ ჟრნალ–გაზეთებს. სამკითხველო ნურიაში იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველით. დიდი მეცადინეობის შემდეგ გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში... როტშილდის ქარხანაში. სკოლის პასუხისმგებელ გამგედ იყო

მღვდელი სიმონ თოთიბაძე... თოთიბაძე ახალგაზრდა მღვდელი იყო, გულწფელი, განვითარებული, მოწინავე აზროვნების მქონე პიროვნება.

... სკოლაში აუარება ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ იმართებოდა ერთგვარი საუბრები"[2].

ასეთივე სკოლა, ოღონდ იატაკქვეშ, მუშაობდა ნობელის ქარხანაშიც. როტშილდის ქარხნის მუშებმა კი სკოლა არ იკმარეს და დრამატული დასიც შეადგინეს. გადაწყვიტეს მუშებისთვის ეჩვენებინათ ცხოვრებისეული პიესები. დანიშნული ხელმძღვანელი ვერ გაუძღვა ამ საქმეს და მის ნაცვლად მოიწვიეს დავით კლდიაშვილი, შედეგიც წარმატებული იყო. მუშა არტისტებმაც და მათმა ხემძღვანელმაც გამოიჩინეს თავი, ოღონდ ქარხნის ადმინისტრაციას და სამხედრო ნაწილის ხემძღვანელობას არ მოსწონდა ყველაფერი ეს, რასაც კომფლიქტები მოსდევდა ხოლმე. [3]

ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ დედა სამშობლოს, თანამოძმეს რამდენიმე საუკუნით ჩამოშორებული და თითქმის გაუცხოებული აჭარელი კაცის ეროვნული გათვითცნობიერება ვერ მოხდებოდა აქ ქართული სკოლების, სხვა სასწავლებლებისა და კულტურული დაწესებულებების უქონლობის პირობებში. თუ აქაური ქართველი თავის მშობლიურ ენაზე არ შეისწავლიდა შოთას, ილიას, აკაკის, და საერთოდ ქართულ მწერლობას, მათში ვერ გაიღვიძებდა ქართული სული... და დაიწყო კიდეც კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა, ქართული წიგნის გავრცელება. თუ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ამ საქმეს ბათუმში ივანე მესხი და მიხეილ შარაშიძე უძღვებოდნენ, აჭარის მთიანეთში ამ მისიას ჩვენი მოგზაური საზოგადო მოღვაწეები ასრულებდნენ. სხვა ეროვნულ საქმიანობასთან ერთად ისინი მოსახლეობაში ავრცელებდნენ ქართულ წიგნებს, უპირველესად დედაენას. ესაუბრებოდნენ სამშობლოს ისტორიაზე, ასწავლიდნენ ახალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას.

მაშინ ბათუმის ქუჩებში თურმე ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით გატაცებით მოსაუბრე ადამიანებს ქართული ჟურნალ–გაზეთებით ხელში. მუდამ ხალხმრავლობა იყო ნურიის ბაზარზე სპირიდან ჭელიძის ბუკინისტური წიგნების მაღაზიაში. მაღაზიის პატრონი იაფად ჰყიდდა სიმწრით მოგროვილ წიგნებს ღარიბ, მაგრამ ცოდანას მოწყურებულ ხალხზე, უფრო ხშირად ჩუქნიდა მათ. მისი ასეთი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი აჭარის მთის მოსახლეობა იყო, სადაც ზაქარია ჭიჭინაძისთვის ხშირად სტუმრობად წიგნებით დატვირთული [4]

ესეც ბრძოლა იყო, საკმაოდ მკაცრი და დაუნდობელი, რადგან რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგობა ეროვნულობის მიმართ, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ინტრესების უგულებელყოფაშიც ცხადდებოდა. განსაკუთრებით მთიანი სოფლების დაბეჩავებული და ეკონომიკურად უაღესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მცხოვრებნი იყვნენ შეჭივრებულნი. მაგრამ ქართულ მოღვაწეათა დახმარებით ახალგაზრდობა მაინც იკვლევდა გზას ბათუმის სასწავლებლისაკენ და აქტიურად ერთვებოდა საზოგადო საქმიანობაში.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ქართელ ეროვნულ მოღვაწეთა მოგზაურობების ჩანაწერები აჭარის მთიანეთში.

„შარვაშიძეთა გარდა, (იგულისხმება თუფან–ბეგ შარვაშიძე ო. გ.) ქედის მიდამოებში სახლობენ ბეგები ბეჟანიძეები... მათი ოჯახი განთქმულია შეძლებით, დარბაისლობით და განსაკუთრებით, ქართული ენის ცოდნით. როგორც სხვაგან, აქაც ჩვენი ენის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებული ქართული წერა"... 24 მარიამობისთვის მშვენიერ დილას, სოფელ ქედასაც თავი დავუკარით. თანამგზავრებად მომყვებოდა ოთხი მოზარდი ყმაწვილი : ორი თოფალ–ბეგ შარვაშიძის შვილი და ორიც მი-

სი ნათესავი. ოთხივე ბათუმში, ახლად გახსნილ გიმნაზიაში უნდა მიებარებინათ. ორ მათგანს ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში უსწავლია და ცდილობდნენ ჩემთან რუსული ენის ცოდნით თავი გამოეჩინათ, თუმცა მეტად უჭირდათ ამ ენაზე ლაპარაკი. სამაგიეროდ მათ ქართული ლაპარაკის სმენას არა სჯობდა რა. მეტად საამო საყურებელნი იყვნენ ეს თავისუფალი შვილნნი აჭარის მშვენიერი ბუნებისა, აჭარულად კოხტად გამოწყობილნი, თავზე სირმიანი ყაბალახით... ოთხსავეს ცხენებზე ისე მაგრად ეჭირათ თავი, თითქოს ზედ დაბადებულანო. ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კოხტა აჭარულადვე სირმიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქართულს წმინდად ლაპარაკობდა...აღმოჩნდა, რომ „წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში, სასოებითაც იხსენებდა თავის დაუვიწყარ მასწავლებლის სახელს, მის გულკეთილობას და შეგირდების სიყვარულს. რაც ვიცი სულ „ჩვენმა მოსემ" მასწავლაო, მაჰმადიანი ქართველები განსაკუთრებით ვუყვარდითო და მამასავით ზრუნავდა ჩვენზედაო. რომ უფრო ვესიამოვნებინეთ, მოგვიყვა აკაკის, ჭალა დიდელის, გურიელის ლექსები. იმღერა „სამშობლო ხევსურისა", რომლისაც როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა. ბოლოს ნაღვლიანად დასძინა : უფრო მეტი მეცოდინებოდა მაგრამ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო.

შევყევით ლაპარაკს. საგნად ჩვენი ლაპარაკისა თავისთავად, ბუნებრივად შეიქმნა ის კითხვა, რომელიც აქეთ სტუმრად გადმოსულ ქართულ კაცს ყოველთ უწინარეს ებადება .... – კითხვა ეროვნული. თანამოსაუბრემ, 16–20 წლის ყმაწვილმა ქართველის გულს დაკოდილს უალერსა და უსალბუნა".[5].

ამ რწმენით, ამ გრძნობითა და სულისკვეთებით მოგზაურობდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები აჭარაში, აღწერდნენ მის ყოფას, მძიმე მემკვიდრეობას და სახავდნენ უკეთესი მომავლისკენ წინსვლის გზებს, დედასამშობლო საქართველოსთან ერთად. ეროვნული ცნობიერების გაძლიერება, სწავლა–განთლება, კულტურის დონის ამაღლება, ახალი ცხოვრება ასპარეზზე თამამად გამოსვლა, – ნივთიერი ცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად, იყო ქართული საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი ამ მხარეში, და არა მხოლოდმ ამ მახრეში. მსგავს ზრუნვას მოითხოვდა აფხაზეთი, სამხრეთ საქართველოში ახლად განთავისუფლებული მაჰმადიანი ქართველობა და სხვა მხარეებიც, რომლებისთვისაც მეტად მტკივნეული იყო რუსული იმპერიული მმართველობა ამ მმართველობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში გაერთიანდა ეროვნული თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა. ეს განსაკუთრებით მძაფრად აისახა მუშათა მოძრაობასა და არმიაში, ამ შემთხვევაში ბათუმის სამხედრო ნაწილებში, სადაც ჯარისკაცთა უმრავლესობა ქართველები იყო.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ., 1980, გვ. 32
2. იქვე, გვ. 39
3. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 76, საქ. 143, ფურც. 11
4. იქვე, ფურც. 45
5. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათ., 1978, გვ. 28

***Otar Gogolishvili***

### ***Fighting for forming national consciousness in Batumi at the end of XIX century and in first part of XX century***

### ***Summary***

At the beginning of 20th century, Batumi was bigger than earlier. With carriageways, stations, water pipes, secondary schools for girls and boys, colleges almost for every nationalities, hospitals for 120 bed, and the market, which was built on Nuria's square. With Asphalted pavements, post and new building of town's government, which beautifies town today. Also banks and it's branches were opened, established pawnshop and etc. Cultural measures became more frequent. Set in motion the so-called iron theatre. Noone was wondered about theatre groups, who were arriving from the capital and were staging performances. Also appeared local theatre groups. Everything these was the result of untiring work of self-government. Appeared many talents and devoted people for their country, who asserted that Georgians can be leaders and can do general works.

*რამაზ სურმანიძე*

# *მამულიშვილი*

*1878 წლის აგვისტოში ასრულდა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება – აჭარა შეუერთდა დედა-სამშობლო საქართველოს. დიდხანს მზადდებოდა ამის ნიადაგი, განსაკუთრებით მე-19 ს. დასაწყისიდან, როცა სამხრეთ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ედგა სახელმოხვეჭილი ქართველი პატრიოტი* ***სელიმ ხიმშიაშვილი*** *(1755-1815 წ.წ.).*

*შემდგომ წლებში სელიმის მემკვიდრეები შეუნელებელ ბრძოლებს ეწეოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ:* ***ქორხუსეინ, შერიფ, ნური*** *და* ***სელიმ (მეორე) ხიმშიაშვილები*** *და სხვები, მაგრამ 1878 წლამდე ამ ბრძოლებს შედეგი არ მოყოლია.*

ჩვენ მიზნად დავისახეთ მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ერთ პატრიოტს, რომელმაც ხელი აიღო პირად სამფლობელოზე, საკუთარ სახლ-კარზე და უსიტყვოდ დაუთმო იგი რუსეთის არმიას. ეს იყო სელიმის შვილის აბდის (1789-1859 წ.წ.) ვაჟი ნური ხიმშიაშვილი (1835-1907).[1]

სელიმ ხიმშიაშვილის სიკვდილით დასჯის შემდეგ მთელი სამხრეთ საქართველო მისმა შვილებმა გაიყვეს. ახმედს წილად ხვდა აჭარა და არტანუჯი, აბდის – შავშეთ-იმერხევი და სათლელი, ქორხუსეინს – ბანა, ხოლო დურსუნი ტაოსკარს დაეუფლა.

აბდის გარდაცვალების შემდეგ შავშეთ-იმერხევი მისი შვილების სელიმის და ნურის მფლობელობაში გადავიდა.

ნური ხიმშიაშვილის ბიოგრაფიიდან ბევრი რამ ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მწირი დოკუმენტებითაც შესაძლო ხდება იმ ღვაწლის დადგენა, რომელიც მან თავისი მხარის მოსახლეობის განთავისუფლების საქმეს დასდო.

ხიმშიაშვილთა ოჯახის, კერძოდ, სელიმისა და ნურის შესახებ პირველი წერილობითი და სარწმუნო ცნობები მოგვაწოდა **გ. ყაზბეგმა,** რომელიც 1874 წელს მოგზაურობდა სამხრეთ საქართველოში. „20 ივნისს – წერს იგი – მომქანცველი მოგზაურობის შემდეგ დავბრუნდით სოფელ სათლელში, სადაც დავისვენეთ სტუმართმოყვარე **სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილის** სახლში.“ ამ უკანასკნელს გ. ყაზბეგი მთელს შავშეთში ყველაზე ძლიერ და გავლენიან პიროვნებად გვისახავს.

გ. ყაზბეგი პოლკოვნიკ **გრიგოლ გურიელთან** ერთად, როგორც მისი „მსახური,“ სოფელ შინდობანში ეწვია ნური ხიმშიაშვილსაც. ამ უკანასკნელს სტუმარი ახასიათებს, როგორც კარგ მეურნეს, შრომისმოყვარე და განსწავლულ კაცს.

„ნური-ბეგი, სელიმ-ბეგის ძმა, ახალგაზრდა და ახალი წრთობის კაცია. მის მამულში (შინდობანში) მიეცა დასაბამი აბრეშუმის ჭიის წესიერ განვითარებას კონსტანტინოპოლში გამოცემული სახელმძღვანელოს მიხედვით. აქ სწორედ არის დაგეგმილი თუთის ბაღი, აგრეთვე ბაღჩა, სადაც იზრდება ფერადი კომბოსტო. გარდა ამისა აქვს რამდენიმე ძირი ლივანური ვაზი. საერთოდ ნური-ბეგის კარ-მიდამო თავის პატრონთან ერთად წარმოადგენს სასიამოვნო გამონაკლისს ქვეყანაში, სადაც შრომა და ცოდნა ადამიანის მოთხოვნილებად არ ითვლება.“[2]

როგორც ცნობილია, გრ. გურიელმა და გ. ყაზბეგმა შავშეთში ჩასვლამდე იმოგზა-

---

[1] აბდის ცოლად ყავდა **სიმონ გურიელის** (გარდ. 1792 წ.) ასული **კესარია** (1785-1861).

[2] სამი თვე თურქეთის საქართველოში, 1876, გვ. 73.

ურეს აჭარაში. ინახულეს შერიფ ხიმშიაშვილი, რომელსაც გააცნეს თავიანთი მიზანი – დაკავშირებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას და დახმარებოდნენ სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებაში. ასეთივე რეკომენდაცია მიიღო ნურიმაც, რომელიც სიხარულით შეხვდა მას.

რუსეთის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი **ვ. ი. ლისოვსკი,** როცა აფასებს რუსეთის არმიისადმი შერიფ ხიმშიაშვილის დახმარებას, ეხება ნური ხიმშიაშვილსაც, რომელმაც კიდევ უფრო მეტი დახმარება გაუწია რუსეთის ჯარს. „თურქეთთან უკანასკნელი ომის დროს, – წერს იგი, – შერიფ-ბეგი, რომელიც აჭარის მმართველი იყო, საბოლოოდ ჩვენს მხარეს დადგა და ჩვენ გაგვიწია მნიშვნელოვანი სამსახური ისევე, როგორც შავშეთის მმართველმა ნური-ბეგმა.“[3]

**ა. ფრენკელიც** ეხება ნური-ბეგის პიროვნებას და აღნიშნავს, რომ მას „დიდი ნდობა ჰქონდა თავის ხალხში. საკმაოდ დახელოვნებული იყო სოფლის მეურნეობაში და ითვლებოდა განვითარებულ, განათლებულ ადამიანად. მიუხედავად იმისა, რომ მეთაურობდა თურქეთის მილიციას, დიდი ხანია ურთიერთობა აქვს რუსეთთან.“[4] 1877 წ. 2 დეკემბერს რუსეთის არმიის ქვედანაყოფმა, კერძოდ, არტაანის რაზმმა გეზი შავშეთისაკენ აიღო და სოფელი ხევა დაიკავა. 4 დეკემბერს რუსეთის ჯარმა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით, რომელშიც განსაკუთრებით აქტიურობდნენ ემრულა მალაყმაძის რაზმელები, არტანუჯი, სოფლები ზემო და ქვემო ბაცა გაათავისუფლეს. ამით რუსეთის არმიას გზა გაეხსნა ბათუმისკენ.

შავშეთის მცხოვრებნი მატერიალურადაც დაეხმარნენ რუსებს, გადასცეს აკრეფილი გადასახადების ნაწილი, რომელიც ოსმალეთის მთავრობას დაუხარჯავი დარჩა: 2 000 ფუთი ხორბალი, 1200 ფუთი ქერი და ამდენივე სიმინდი. პირადად ნური ხიმშიაშვილის თაოსნობით შესაძლებელი გახდა არამარტო პროდუქტებით, არამედ იარაღით დახმარებაც. ამის შესახებ იგი გენერალ **კ. ბ. კომაროვს** სწერდა: „2 000 ცალი თოფი და 50 000 კილოგრამი ორცხობილა ჩამოიტანეს, იჩქარეთ, ართვინი დაიკავეთ.“[5] როცა მოვლენათა მსვლელობამ ნური-ბეგს საშუალება აღარ მისცა კვლავ ფარულად ემოქმედა რუსების სასარგებლოდ, მისივე თანხმობით საქმე ისე მოეწყო, თითქოს პროდუქტები რუსებმა ძალით წაართვეს. „ერთი რაზმი, არტაანის შტაბის უფროსის კაპიტან **ლევაშოვის** წინამძღოლობით, არტაანის ოლქის მმართველთან **მიხეილ მეფისოვთან** ერთად მოულოდნელად თავს დაესხა ნური -ბეგის მამულს, წამოიღეს ყველაფერი, რაც იქ იყო: ფურაჟი, კვების პროდუქტები და წამოიყვანეს თვით ნური-ბეგი, ვითომც სამხედრო ტყვე.“[6]

რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ განთავისუფლებულ ქართულ პროვინციებში ფართო მასშტაბი მიიღო მოსახლეობის ემიგრაციამ – მუჰაჯირობამ. მოსახლეობის ნაწილს ოსმალეთის ხელისუფლება ძალით მიერეკებოდა. ნური ხიმშიაშვილი ვერ ურიგდებოდა ამ საშიშ მდგომარეობას; როგორც გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, ნური ხიმშიაშვილს გრიგოლ გურიელისათვის ოფიციალურად უცნობებია, რომ ოსმალები ხალხს ძალად მიერეკებოდნენ და დახმარებას ითხოვდა. გურიელს არ დაუყოვნებია,

---

[3] **ვ. ი. ლისოვსკი,** ჭოროხის მხარე. ბათუმი. 2015. გვ. 49. თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა **რამაზ სურმანიძემ.**

[4] **ა. ფრენკელი.** ჩურუქ-სუს და ბათუმის ნარკვევები. თბილისი. 2012 წ. გვ. 142. თარგმნა **აზიზ ახვლედიანმა.** გამოსაცემად მოამზადა **რამაზ სურმანიძემ.**

[5] **Томкеев,** Материалы для описания русско-турецкой войны 1877-1878 гг., т. II, Тифлис, 1908, стр. 337-338.

[6] **ა. ფრენკელი.** იქვე.

სასწრაფოდ გაუგზავნია შეიარაღებული რაზმი, რომელმაც გზა გადაუჭრა ოსმალებს და აჭარლები თავიანთ სახლებში დააბრუნა. ნური ხიმშიაშვილის ამ სიგნალით გასახლებას გადაურჩა ქობულეთის მოსახლეობაც. მათ რუსეთის საგანგებო რაზმმა მიუსწრო იმ მომენტში, როცა ატირებულ ბავშვებს და ქალებს ძალდატანებით ყრიდნენ გემებში.[7]

1878 წლის 30 აგვისტოს ბათუმში გენერალ კ. კომაროვთან ერთად შავშეთიდან, ართვინიდან და მაჭახლიდან ჩამოვიდა დეპუტაცია. იგი შედგებოდა სასულიერო და საერო პირებისაგან. მათ ნური ბეგი ედგა სათავეში. ბათუმში, „სარისუსთან" და „ბურუნთაბიესთან" მოეწყო ბათუმის გათავისუფლების ცერემონია, რომელიც ფაქტიურად აჭარის, შავშეთ-იმერხევისა და სხვა პროვინციების განთავისუფლების ზეიმიც იყო. ნური ხიმშიაშვილი ასევე აქტიურად მონაწილეობდა ისტორიულ ბანკეტზე, რომელიც **დიმიტრი ყიფიანის** ინიციატივით ქართველმა საზოგადოებრიობამ გაუმართა სამუსლიმანო საქართველოს დეპუტაციას თბილისში, 1878 წლის 20 ნოემბერს. აქ, ნურის გარდა, ესწრებოდნენ **ხუსეინ ბეჟანიძე, ხუსეინ აბაშიძე, ხასან ბეჟანიძე, სული-ბეგ მაჭახლელი, ახმედ ხალვაში, ოსმან მაკრიალელი,** აჭარის მუფთი **ხასან სურმანიძე** და სხვები. დეპუტაციის თბილისში დახვდა **შერიფ ხიმშიაშვილი.** მოწინავე ქართველი ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა ახლად დაბრუნებულ ძმებს.

1880 წლის 6 აგვისტოს „დროებაში" გამოქვეყნდა გენერალ-გუბერნატორ კ. კომაროვის ცნობა იმის შესახებ, რომ ნური ხიმშიაშვილი განწესებულია უბნის უფროსად შავშეთსა და იმერხევში.

1881 წელს ბათუმში შეიქმნა მილიცია, ნურის მაიორის წოდება მიენიჭა და დაინიშნა მილიციის ინსპექტორად. „დროების" კორესპონდენტის სიტყვით „ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ამ დანიშნულებამ მთელს მხარეზე."[8]

სამწუხაროდ, ცარიზმის უმადურმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა ნური ხიმშიაშვილის დამსახურება და რამდენიმე თვის შემდეგ გაათავისუფლა იგი დაკავებული თანამდებობიდან. ამ ამბავმა უკმაყოფილება გამოიწვია თვით რუსეთის ხელისუფლების უმაღლეს მოხელეთა შორისაც. 1881 წლის პირველ მაისს კავკასიის მეფისნაცვლისათვის გაგზავნილ წერილში კანცელარიის მთავარი სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი **დ. ს. სტაროსელსკი** ეხება მუჰაჯირობის საკითხს. მოსახლეობის მასიური ემიგრაციის მიზეზად იგი ასახელებს რუსეთის მოხელეთა უმსგავსო მოქმედებას მცხოვრებთა მიმართ, აგრეთვე იმასაც, რომ თანამდებობაზე დანიშნული მაღალი ფენის ადგილობრივი მკვიდრნი (**თევფიყ-ბეგ ათაბაგი, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, მარჯან-აღა მარშანია, დურსუნ-ბეგ თავდგირიძე, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი** და სხვები) ამჟამად განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან. ამ ამბავმა ხელი შეუწყო მოსახლეობის აყრა-გადასახლებასო.[9]

ცარიზმის მესვეურები გულუხვნი არც გრიგოლ გურიელის მიმართ გამოდგნენ. როგორც ცნობილია, რუსეთისადმი აჭარისა და შავშეთის მმართველების – შერიფ და ნური ხიმშიაშვილების ერთგულების გამოცხადებაში დიდი როლი ითამაშა გრ. გურიელმა. იგი ხიმშიაშვილთა დიდი ნდობით სარგებლობდა ნათესაური და კეთილმეზობლური დამოკიდებულების გამო. გრიგოლი რუსეთის ხელისუფლებასა და აჭარა-შავშე-

---

[7] გაზ. „დროება," № 190, 1878 წ. 21 სექტემბერი, გვ. 1-3.
[8] გაზ. „დროება," № 4, 1881 წ. 8 იანვარი, გვ. 2-3.
[9] **შ. მეგრელიძე,** აჭარის წარსულიდან, თბილისი, 1964, გვ. 81, 82.

თის მმართველთა შორის შუამავლის როლში გამოდიოდა. მისი დამსახურება, ერთობ საგულისხმოა. მიუხედავად ამისა, ომის დამთავრების შემდეგ მას სამხედრო ხარისხიც არ მიუმატეს, „კვლავ პოლკოვნიკად დარჩა და გენერლობა მხოლოდ მაშინ მიიღო წესისამებრ, როდესაც შეურაცხყოფილი სამსახურიდან გადადგა."[10]

მეფის ხელისუფლებაზე განაწყენებულ ნური-ბეგს გრიგოლ გურიელისთვის შემოუთვლია: „თუ ეგრეთი იყო რუსის მთავრობა. რომ შენც კი არ გცა პატივი, ჩვენ რაღად გვირჩიე აქ დარჩენა, უმწეო მდგომარეობაში რომ ჩავვარდით."[11]

ნური ხიმშიაშვილი კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა ბათუმის ქართველ ინტელიგენციაში, რომელთანაც ქონდა ახლო ურთიერთობა. **დავით კლდიაშვილი** იგონებს, რომ ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის **მელიტონ ლორთქიფანიძის** ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ **გულო კაიკაციშვილი, დედე ნიჟარაძე, თუფან შერვაშიძე, ბეჟანიძეები, აბაშიძეები, ხიმშიაშვილები** და სხვები. ერთ-ერთი მათგანი ნური ხიმშიაშვილი იყო. მას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა **ილია ჭავჭავაძესთან.** თვით ილია ნური ხიმშიაშვილს აფასებდა როგორც მოწინავე ადამიანს, ქართული კულტურისა და განათლების მოამაგეს, მგზნებარე პატრიოტს. საყურადღებოა, რომ ბათუმში ქართული სკოლის გახსნასთან დაკავშირებით ჩამოსულმა ილიამ ადგილობრივი მცხოვრებლების საგანგებო თათბირი სწორედ ნური ხიმშიაშვილის სახლში მოაწყო. თათბირს მასპინძლის გარდა ესწრებოდნენ მოწინავე ადამიანები: ხუსეინ ბეჟანიძე და ხუსეინ აბაშიძე, აგრეთვე ბათუმის უბნის უფროსი **ლუკა პეტრეს ძე გაბუნია.**[12]

როცა რუსეთის ხელისუფლებისაგან განაწყენებულმა და სამსახურიდან დათხოვნილმა ნურიმ გადაწყვიტა ბათუმიდან წასვლა, ილიას წერილი მისწერა, რომლითაც ატყობინებდა, რომ ის ტოვებს ბათუმს, მიდის შავშეთში თავის მამულში საცხოვრებლად. ამასთან ერთად თხოვს ილიას, ბათუმის მსგავსად შავშეთშიც გახსნან ქართული სკოლა, რათა ჩვენმა შვილებმა დედაენა ისწავლონო.

საყურადღებოა, რომ ნური ხიმშიაშვილი პირად ხარჯებსაც არ ერიდება, ოღონდ ქართული სკოლა გაიხსნას. იგი ილიას პირობას აძლევს, რომ შეკრებს 60-80 მოსწავლეს, აქედან 12 შეძლებულების შვილები იქნებიან, დანარჩენებს, ე. ი. 48-68 ბავშვს, ღარიბებს და ობლებს მე თვითონ მივცემ სარჩოსო.

ნური ხიმშიაშვილის წერილში გამოხატულია ჭეშმარიტი მამულიშვილობა, იმის იმედი, რომ ამ კუთხის ქართველობა დაეწაფება თავის დედაენას, მშობლიურ კულტურას. ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ წერილის მთლიანად და უცვლელად გამოქვეყნება:

„ბათუმი, 31 მარტს 1882-სა წელსა!

მოწყალეო ხელმწიფეო, კნიაზ ილია გრიგორიევიჩ.

უპირველესად თქვენს ბედნიერებას და კეთილდღეობას ვისურვებ და ვთხოვ ყოვლად შემძლე ღმერთს თქვენს წარმატებას და თქვენს დღეგრძელობას. თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, ღვთის წყალობით კარგათა ვარ. ამ მოკლე ხანში ვტოვებ ბათუმს და მივდივარ ჩემს მამულში, შავშეთის მაზრაში. გწერთ ამ წერილს, რადგანაც თქვენი ნახვა შესაძლოა ბევრს ხანს არ მომიხდეს რაიმე მიზეზების გამო და რადგანაც თქვენთან ცოტა რამ შესახვეწნი საქმე მაქვს. საქმე იმაშია, რომ მსურს შავშეთში სკოლა დაარსდეს, რათა იქა მცხოვრებთა, რომელნიც ქალაქებს მოშორებულნი არიან, მიეცეს საშუალება,

[10] **ე. თაყაიშვილი,** რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968 წ. გვ. 292.
[11] იქვე.
[12] საქ. ცსა, ფ. 481, ს. 26, ფურ. 45.

აღზარდონ თვისი შვილები და ასწავლონ მათ ჩვენი დედა ენა. თუ შესაძლებელია, კნიაზო ილია გრიგორიევიჩ, თქვენ გთხოვთ იშუამდგომლოთ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წინაშე, რომლის თავმჯდომარე თქვენ ბრძანდებით, რომ ბათუმის სკოლა, რომელშიც მაჰმადიან ქართველთა შვილები არ მოიპოვებიან, გარდმოიტანონ შავშეთში. თუ ეს რაიმე მიზეზების გამო შეუძლებელი იქნება, მაშინ გთხოვთ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მასწავლებელი დაგვინიშნოს და მისცეს მას ჯამაგირი; რაც შეეხება სახლსა სკოლისათვის და მასწავლებლისათვის, მე მივცემ მუქთათ სადგომს და მის მოწყობილობას, და ვალად ვიდებ შევკრიბო ყმაწვილები რიცხვით 60-80, მათ შორის 12 ბეგიების ყმაწვილები, ღარიბებს და ობლებს მე თვითონ მივსცემ სარჩოს. რაც შემეხება მე, ჩემ მიერ დაპირებულს ჯეროვანათ აღვასრულებ და იმედი მაქვს, რომ თქვენც მიაქცევთ ყურადღებას ჩემს წინადადებას. მე ამ საქმეზე მქონდა მოლაპარაკება კნიაზ **ნიკო ერისთავთან,** რომელიც ამ მოკლე ხანში თბილისში წამობრძანდება, და იმედი მაქვს, თქვენც გადმოგცემს ჩემს სურვილს.

აქ, ბათუმში ბევრს გვიჭირს ყმაწვილების ჩამოყვანა, ზოგს ბათუმის ჰავის აუტანლობის გამო და ზოგს ქალაქის სიშორის და სიღარიბის გამო. იქ კი შავშეთში ჩემს მეცადინეობას არ მოვაკლებ, რადგანაც მე იქ ვაპირებ დარჩენას ჩემს სახლობაში. იმედი მაქვს, ყოველივე ამაზე გვაცნობებთ თქვენს გადაწყვეტილებას და შეძლებისამებრ დაგვეხმარებით. მერმე მშვიდობით.

თქვენი პატივისმცემელი და ერთგული ნური-ბეგ ხიმშიაშვილი.“[13]

სკოლის გახსნის საჭიროების შესასწავლად საზოგადოებამ შავშეთში გაგზავნა სერგეი მესხი, რომელმაც, მართალია, იქ ჩასვლა ვერ შეძლო, მაგრამ საზოგადოების წინაშე დააყენა საკითხი შავშეთში ქართული სკოლის დაარსების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, მატერიალური ხელმოკლეობის გამო იმხანად საზოგადოებამ ვერ დააკმაყოფილა ნური ხიმშიაშვილის თხოვნა.[14]

არსებული საბუთებით მტკიცდება, რომ ნური ხიმშიაშვილმა 1904 წელს თადარიგის პოდპოლკოვნიკის ჩინამდე მიაღწია. მისი ავტორიტეტი შავშეთ-იმერხევში იმდენად დიდი იყო, რომ ადგილობრივი ჩინოვნიკებისგან შევიწროებული მოსახლეობა ყველა საკითხზე (ეს ეხებოდა თუ არა მას) ნური-ბეგთან მიდიოდა. ეს კი რუსეთის ჩინოვნიკებს ხელს არ აძლევდა. აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივში[15] დაცული დოკუმენტიდან სჩანს, რომ შავშეთ-იმერხევის უბნის უფროსს **სეიფულა-ბეგ ათამალიბეკოვს** წაუქეზებია სოფლების დაბაწვრილის და სათლელის მამასახლისები **ახმედ-აღა ჯიმშერაძე** და **ალი სულეიმან-ოღლი,** რომელთაც 1904-1906 წლებში ბათუმის სამხედრო გუბერნატორთან, გენერალ-მაიორ **მ. ნ. დრიაგინთან** შეუტანიათ საჩივარი. მასში აღნიშნული იყო, თითქოს ნური და მისი შვილი **ფერთო** ხიმშიაშვილები ავიწროებდნენ ამ სოფლების მოსახლეობას და ღებულობდნენ ქრთამებს. გუბერნატორმა დაავალა ართვინის ოლქის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს კაპიტან **ბ. პ. ჩიქოვანს** და არტანუჯის უბნის უფროსს კაპიტან **პ. მ. სტაროსელსკის,** შეესწავლათ ეს საკითხი. დაკითხვის დროს ნური-ბეგს არ უარყვია, რომ ამ სოფლების მოსახლეობა დახმარებისთვის მას მიმართავდა

[13] საქ. ცსა, ფონ. 481, ან. 1, საქმე 33, ფურც. 72-73. წერილი სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად ჩვენ შემოვიტანეთ (იხ. ჟ. „ჭოროხი,“ №1, 1971 წ. გვ. 70-78). როგორც აწ. განსვენებულმა პროფესორმა **გურამ შარაძემ** გადმოგვცა, არქივში გაჩენილი ხანძრის შედეგად ეს წერილიც განადგურდა და იგი მხოლოდ ჟურნალმა „ჭოროხმა“ შემოინახა.

[14] გ. ნიორაძე. პირველი ქართული სკოლა ბათუმში. ბათუმი, 1950 წ. გვ. 18, 19.

[15] აჭარის ასსრ სახ. არქივი. ფ. I, საქმე № 103.

და მადლობის ნიშნად საჩუქარი მიართვა. უსაფუძვლო საჩივარი უარყოფილ იქნა. ინტრიგანი სეიფულა-ბეგი სხვაგან გადაიყვანეს, ხოლო ნური-ბეგს მიეცა ოფიციალური უფლება, ზედამხედველობა გაეწია ართვინის ოლქის ზოგიერთ სოფელზე. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მეტყველებს ნური ხიმშიაშვილის დიდ პოპულარობაზე.

რაც შეეხება ნური-ბეგის ოჯახს და ახლობლებს, ზოგიერთის შესახებ არსებობს კანტიკუნტი ცნობები. უფროსი ძმა **ქამილი** ნურისაგან განსხვავებით სულთნის სამსახურში შესულა და ერთხანს მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა. შემდეგ მას, როგორც აჭარელთა გადასახლების მომხრეს, მუჰაჯირთა გამგეობა დაავალეს. სამწუხაროდ, ხიმშიაშვილთა ეს წარმომადგენელი გულმოდგინედ ასრულებდა ამ უღირს საქმეს.[16]

უმცროსი ძმის **შაქირის** შესახებ სხვა არა ვიცით რა, გარდა იმისა, რომ მოწამვლით დაიღუპა. ნურის ცოლად ყავდა ძენწმანელ (ქედის რაიონი) **ხეირულა სურმანიძის ქალი ადილე**. მისგან ნურის ერთი ვაჟი ფერთო შეეძინა, რომელიც რუსეთის არმიაში მსახურობდა და პოდპორუჩიკის ჩინამდე მიუღწევია. მას ცოლად ყავდა შერიფ ხიმშიაშვილის ქალი **ნაზიმი (თედო სახოკიას** შეცდომით აქვს აღნიშნული, თითქოს ნაზიმი ნურის ყავდა ცოლად), ნაზიმსა და ფერთოს ყავდათ ერთი ვაჟი **ნეჯიბი**.[17]

ნური ხიმშიაშვილის ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდა გურიელებთან, ოდიშის თავად ჯაიანებთან და ერისთავების გურიის შტოსთან. როგორც ცნობილია, მე-18 საუკუნის მიწურულს გურიის მთავარმა **სიმონ გურიელმა** (გარდ. 1792 წ.) და აჭარის მმართველმა სელიმ ხიმშიაშვილმა (1755-1815) მეზობლური ურთიერთობის გართულების გამო გადაწყვიტეს დამოყვრებულიყვნენ. 1790 წელს სელიმმა 1 წლის ვაჟი აბდი (1789-1859) დანიშნა სიმონის ქალიშვილზე კესარიაზე (1785-1861. დაკრძალულია კულაშში, ჯვარცმის ეკლესიაში). კესარია ხიმშიაშვილთა კარზე გაიზარდა, სრულ ასაკოვნების მიღწევისთანავე აბდი და კესარია შეუღლდნენ. შეეძინათ 4 შვილი: სამი ქალი და ერთი ვაჟი. გურია-აჭარას შორის მართლაც ჩამოვარდა მეგობრობა, შეწყდა ურთიერთთავდასხმები და ტაციობა, მაგრამ ქართული მხარეების დაახლოება აშინებდა რუსეთის ხელისუფლებას ქვეყნის ძალების გაერთიანების გამო და ათასგვარი ხრიკებით ცდილობდა მათ დაშორიშორებას.

კავკასიის მთავარმართებლის რჩევით 1819 წელს **მამია გურიელმა** ორი თვით სამშობლოში მოიწვია კესარია. იგი გურიაში ჩვილი ბავშვით ესმათი (1819-1893. დაკრძალულია ქუთაისში, წმიდა გიორგის ეკლესიაში) ჩავიდა. ორი თვის გასვლის შემდეგ ქალმა მოითხოვა აჭარაში დაბრუნება, მაგრამ **ა. პ. ერმოლოვის** (1772-1861) წნეხის ქვეშ მყოფმა მამიამ იგი აჭარაში აღარ გაუშვა. საქმეში გურიის მღვდელმთავარიც ჩაერია და კესარია საბოლოოდ ჩამოშორდა აჭარაში დატოვებულ მეუღლესა და სამ შვილს.

აბდი ხიმშიაშვილის ქალი ესმა მიათხოვეს ოდიშელ თავადს პოლკოვნიკ **ოტია ჯაიანს**, რომელიც 1841 წელს გურიის აჯანყების დროს დაიღუპა. მისგან ესმას შეეძინა ერთი ქალი **ბარბალე,** რომელიც გურიის თავადს **დავით ერისთავს** მისთხოვდა. ამათი შვილი იყო ცნობილი დრამატურგი, მწერალი, მსახიობი და გურიის თავადაზნაურობის მარშალი მუსლიმან ქართველთა ასეულის მეთაური **კონსტანტინე (კოწია) ერისთავი** (1899-1931), რომელთანაც ნათესაობდა ნური ხიმშიაშვილი.

[16] გაზ. „დროება," №4, 1881 წ. 8 იანვარი, გვ. 2-3.

[17] ჟ. „ჭოროხი." იქვე.

მე კარგად ვიცნობდი კოწია ერისთავის შვილებს: ცნობილ კინომსახიობს **ჩუტას,** მხატვარ **გიორგის**, მათს უმცროს დას **მარიამს** და მომდევნო თაობებს. სწორედ თვითმხილველის და თანამედროვის, გიორგი ერისთავისგან შევიტყვე ნური და კოწიას ახლო მეგობრული და ნათესაური ურთიერთობის შესახებ (**რამაზ სურმანიძე.** „ერთხელ ვიხილეს" ავტორის ვინაობა და ღვაწლი. ჟ. „ჭოროხი," №4, 1975 წ. გვ. 87-94).

ნური ხიმშიაშვილთან ერთ-ერთ შეხვედრას გიორგი ასე აღწერს: მაშინ 12 წლისა ვიქნებოდი, გუბერნატორი ახლად შეცვლილი იყო, მამამ ქუთაისში ჩამოგვიყვანა, სასტუმროში გავჩერდით. ქალაქში ცოტა ხნით გასულ მამას მაღალი, საკმაოდ ხანშიშესული, ჩოხა-ახალუხში და მოსირმულ ყაბალახში გამოწყობილი, პოდპოლკოვნიკის სამხრებიანი კაცი შემოყვა. „დედაჩემის ბიძააო" – მითხრა მამამ. საუბრიდან გავიგე, რომ ეს კაცი ნური ხიმშიაშვილი იყო, მის შესახებ სხვა დროსაც ბევრი კარგი რამ გამეგო, დიდი მგზნებარებით ლაპარაკობდა, ლამაზი ქართულით, შიგა და შიგ მთიულურ-ხევსურულსაც გამოურევდა ხოლმე.

– ასეთ დროს შავშეთიდან ქუთაისში რამ ჩამოგაგდო? – ჰკითხა მამამ ნურის.

– ეჰ, ჩემო კოწია, დღეს ერთი ქუთაისელიც შემეკითხა და პირდაპირ მივახალე – სამსახურმა ჩამომიყვანა – მეთქი, მაგრამ გზაზე, სანამ შენ გადაგეყრებოდი, ერთი ამბავი გამახსენდა, მამაჩემის ნაამბობი: ერთ გლეხს ცხენის გაყიდვა გადაეწყვიტა თურმე, მაგრამ ყველა მომსვლელი ცხენს პირს უღებდა, კბილებს უსინჯავდა, რატომღაც ყველა იწუნებდა. ხალხთან შეხვედრისას ისე მიეჩვია ცხენი ამას, რომ თუ ვინმე ეზოში ჩაივლიდა, პირს თავისით აღებდა და კბილებს აჩვენებდაო. ასეა ჩემი საქმეც. გუბერნატორებს ხშირად ცვლიან და ყოველ შეცვლაზე ჩემი სახლობიდან, შავშეთიდან, მეც ჩამოვჯირითდები ქუთაისში, ვეჩვენო, რომ სამსახურიდან გაგდებულს ცუდი რაიმე არ დამწამონო.

ნური ხიმშიაშვილის შემდგომი ცხოვრებიდან ბევრი რამ უცნობია, მაგრამ ის, რაც ვიცით, საკმარისია იმისთვის, რომ ნური ხიმშიაშვილი დავაყენოთ დამპყრობთაგან მიტაცებული ქართული პროვინციების განთავისუფლებისა და საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლ მამულიშვილთა გვერდით.

*გიორგი ბაციკაძე*

# აჭი

***აბსტრაქტი.*** *აჭი სოფელია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. იგი ორ ნაწილადაა გაყოფილი, ერთი ნაწილი ოზურგეთის, ხოლო მეორე ქობულეთის მუნიციპალიტეტს განეკუთვნება. სოფელს საინტერესო ისტორია აქვს, ის გვიან შუა საუკუნეებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. აჭში მდებარეობს წმინდა გიორგის მონასტერი, შუა საუკუნეების ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.*

***საკვანძო სიტყვები:*** *აჭი, წმინდა გიორგის მონასტერი, ოზურგეთი, ქობულეთი.*

საქართველოში ორი სოფელია აჭის სახელწოდებით. ერთი ოზურგეთს, ხოლო მეორე ქობულეთს ეკუთვნის. ეს სოფლები ერთმანეთს ესაზღვრება და ადრე ერთ სოფელს წარმოადგენდა, მისი გაყოფა XVIII საუკუნეში ოსმალეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დაპყობასა და ახალი საზღვრების გავლებასთანაა დაკავშირებული, რამაც გახლიჩა საქართველოს მოსახლეობა და მათ შორის ერთი მთლიანი სოფელი აჭი. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, ოზურგეთის აჭს ქვემო, ხოლო ქობულეთის აჭს ზედა აჭად მოიხსენიებენ. სოფელი გაშენებულია მდინარე აჭისწყლის ორივე სანაპიროზე. თავდაპირველად ზედა აჭი ლიხაურის საზოგადოებაში შედიოდა. 1930-იან წლებში ქობულეთის ნაწილი გახდა. დღესდღეობით შედის ქაქუთის თემში.

ეტიმოლოგიურად, სოფლის სახელს უკავშირებენ ჭას, რომელსაც რელიეფურად წააგავს სოფელი. ის ყველა მხრიდან შემოსაზღვრულია ცამდე აშოლტილი მთებით.

სოფელში მდებარეობს წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელსაც გადმოცემით თამარის სახელთან აკავშირებენ. ეკლესიას აქვს წარწერები, რომელიც ეკლესიის აგების მიახლოებით თარიღთან დაკავშირებით მსჯელობის გარკვეულ საფუძველს იძლევა. ამ წარწერას ექვთიმე თაყაიშვილი შემდეგნაირად კითხულობს: „წმიდაო გიორგი, მეოხ ექმენ პატრონთ საღირს რატს და უშანიანს (?) და მეოხ ექმენ ნიკოლოზ აჭიელს და კალატოზთა მიქელს და მხეციძესა (?)" (თაყაიშვილი, 1907:24).

თინათინ ყაუხჩიშვილი იმავე წარწერას სხვაგვარად კითხულობს: „წმიდაო გიორგი, მეოხ ექმენ პატრონთ: საღირს, რატს და ბნიან(ს – ?) და მეოხ ექმენ ნიკოლოზ აჭიელსა და კალატოზთა: მიქაოს და მხეცსა" (ყაუხჩიშვილი, 1951:107-108).

წარწერაში მოხსენიებული პირებიდან გურიის წერლობით ძეგლებში მხოლოდ ნიკოლოზ აჭიელია ცნობილი, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწეობდა. ექვთიმე თაყაიშვილი ამ პიროვნებას წარწერაში მოხსენიებულ ნიკოლოზ აჭიელთან არ აიგივებს და ფიქრობს, რომ წარწერა უფრო ძველია, რასაც ამყარებს წარწერაში მოხსენიებული პიროვნებების სახელები – საღირი და რატი.

თ. ყაუხჩიშვილი ეკლესიის ამ წარწერას, მისი პალეოგრაფიული ნიშნებიდან გამომდინარე, XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებს.

სოფლის მაცხოვრებელთა გადმოცემით აჭის ტერიტორიაზე გადიოდა გზა, რომელიც ხეობას აკავშირებდა სოფელ ტყემაკარავთან და ხინოსთან, აღნიშნული გზა ერთობ მნიშვნელოვანი გახლდათ, იმდენად რამდენადაც იგი წარმოადგენდა ოზურგეთისა და ქობულეთის მთავარი დასახლების, ხინოს დამაკავშირებელ გზას. სოფლის მაცხოვრებელთა ინფორმაციით, ეს გზა ქვით ყოფილა მოსწორებული და მოპირკეთებული, რომლის ნაშთებიც დღესაცაა შემორჩენილი.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მთის ძირას ყოფილა ციხეც, რომელიც აკონტროლებდა ხეობას. მას ერთობ სტრატეგიული ადგილი ეჭირა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ამ ხინოს მდინარის სამხრით, მთის ძირს, არს აჭვს ციხე კარგი“ (ბატონიშვილი, 1904:322). ციხე დღესდღეებით შემორჩენილია მხოლოდ ნანგრევების სახით.

აჭი ისტორიულ დოკუმენტებში პირველად მოიხსენიება XVII საუკუნის პირველ ნახევარში, 1614 წლის საბუთში, რომელიც წარმოადგენს სვიმონ გურიელის შეწირულობის წიგნს აჭის ეკლესიისადმი. დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ აჭის წმინდა გიორგისთვის შეუწირავთ ხუთი კომლი: მჟავანაძე სიქანდრა, ტაკიძე ივანა, გორგიოშიძე ბაიჭულა, სალუქაძე მახარობელი, გოგინაისშვილი მზარაული თავიანთი ოჯახებით და ქონებით. გარდა ამისა გურიელს ეკლესიისთვის შეუწირავს: „აჭს ტყე და წყალი უნაგირას აქათ სანისლოს ქვას შეკვეთს, იქიდამღან ტყემავარის ჯვარს წითლობამდი. წითლობი ნაცხავატევის სერს რომ ჩამოსდევს, ნაბადაისა სერს აქეთი-ეს სალორფინედ შემოგვიწირავს. როდესაც საყდარი გარდიჭედებოდეს ჭყიმარტით და ნაბადათ გარდიჭედებოდეს. ნაბადა დაღმა ნადირაულს ჩამოჰკუეთს. ნადირაულიდაღმან მდევის კარს ამოღმა – ეს ხელშეუალად წმიდის გიორგისათვის შეგვიწირავს“.

საბუთში მოხსენიებული ზოგიერთი ტოპონიმი აჭის ტერიტორიაზე დღესაც გვხვდება. სანისლობო (სანისლო) ჰქვია ტყეს, ჭყიმარტე – ტყე, ნაბადა – სათესი, საძოვარი. გარდა ამისა, საბუთში მოხსენიებულია სოფელი ნაცხავატევი და ტყემავარი, რომელიც სავარაუდოდ სოფელ ტყემაკარავს უნდა გულისხმობდეს.

მდინარე აჭისწყლის ხეობის სიღრმეში ერთ-ერთ ადგილს ერთობ საინტერესო სახელი, ნარუსალა ჰქვია. სოფლის მოსახლეობის გადმოცემით, ამ ადგილას მომხდარა შეტაკება თურქეთისა და რუსეთის შეიარაღებულ ჯარებს შორის 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში.

საბუთში გვხვება ხუთი გვარი. ესენია: მჟავანაძე, ტაკიძე, გორგიოშიძე, სალუქაძე, გოგინაისშვილი. მჟავანაძეები და სალუქაძეები(იგივე სალუქვაძე) დღესდღეობით ცხოვრობენ როგორც ლიხაურში, ისე აჭში. უფრო მეტიც სალუქვაძე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარია ამ სოფლებში და აჭის მოსახლეობა სალუქვაძეებს სოფლის პირველ მაცხოვრებლებად მიიჩნევს. როგორც ჩანს, XVIII საუკუნეში, ოსმალეთის იმპერიის მიერ ახალი საზღვრების გავლების შემდეგ, სალუქვაძეების ერთი ნაწილი, რომელიც ზემო აჭის ტერიტორიაზე სახლობდა, მოექცა ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში და გამუსლიმანდა.

რაც შეეხება გორგიოშიძეს, ეს გვარი გვხვება მეზობელ სოფელ ლიხაურში, გოგრგოშიძის ფორმით. ტაკიძე და გოგინაისშვილი (გოგინაშვილი) ამ სოფლებში თანამედროვე დროში არ სახლობენ. თუმცა, ტაკიძეთა გვარი გავრცელებულია როგორც ქობულეთის, ისე ოზურგეთის რაიონებში. შესაძლებელია, რომ ადგილი ჰქონოდა შიდა მიგრაციას.

გარდა ზემოთ მოხსენიებული გვარებისა აჭში სახლობენ: ცეცხლაძეები, კვესიეიშვილები, კაკალაძეები, მახარაძეები, კეკიეიშვილები, ვერულიძეები, ლაზიშვილები, ბეჟანიძეები, იფშირაძეები, კარალიძეები, ხაჯიშვილები, ჯინჭარაძეები, ჩავლეიშვილები.

საინტერესო ისტორია აქვს კვესიეიშვილთა გვარს. გვარის წარმომადგენელების ცნობით მათი წინაპარი კასპიდან მოსულა. მას გარკვეული უთანხმოება მოსვლია ბატონთან, რის გამოც იძულებული გამხდარა ქართლი დაეტოვებინა და ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული კინტრიშის ხეობას შეფარებოდა. ერთი ცნობით თავდაპირველად ის ხინოში, ხოლო მეორე ცნობით ტყემაკარავში დასახლებულა, ისლამი მიუღია და გვა-

რი თურქული ფორმით-კვესიოღლად გადაუკეთებია, მოგვიანებით კი აჭში ჩამოსახლებულა და მდინარე აჭისწყლის მარცხენა სანაპიროზე დასახლებულა, სადაც დღეს კვესიეიშვილები ცხოვრობენ. აქვე უნდა აღინიშნოს ის საინტერესო ფაქტი, რომ კასპის ტერიტორიაზე დღესაც სახლობს გვარი კვესიაშვილი. ეს ფაქტი ამ თქმულებას ამყარებს და იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ ეს მართლაც ასე მოხდა, ხოლო გვარის ტრანსფორმაცია კვესიაშვილიდან კვესიეიშვილად დაკავშირებული უნდა იყოს დასავლეთ საქართველოს და ძირითადად გურულ კილოსთან, სადაც ხშირად გვხვდება გვარები მსგავსი ფორმით.

სალუქვაძეებთან ერთად, სოფლის პირველ მაცხოვრებლებად კეკიეიშვილებს მიიჩნევენ.

სოფლის ერთ-ერთ ძირძველ მოსახლედაა მიჩნეული ცეცხლაძეების საგვარეულოც. ეს გვარი დღესდღეობით ფართოდაა გავრცელებული როგორც ოზურგეთში, ისე ქობულეთში. ცეცხლაძეები სახლობდნენ ხინოშიც, ქობულეთის აჭშიც, ოზურგეთის აჭსა და ლიხაურშიც. დროთა განმავლობაში, ქობულეთის სხვადასხვა სოფლებიდან გადმოსახლებულან სხვადასხვა გვარები. ცხემვანიდან გადმოსახლებულან მახარაძეები და ბეჟანიძეები. თანდათანობით დასახლდნენ: ვერულიძეები, ლაზიშვილები, ჯინჭარაძეები, ჩავლეიშვილები, იფშირაძეები, კარალიძები, ხაჯიშვილები. აგრეთვე, სოფელში სახლობდა, თუმცა დღესდღეობით აღარ სახლობს მენაღარიშვილთა გვარი.

აჭი იყო ერთ-ერთი იმ სოფელთაგანი, სადაც საკმაოდ ადრე გაიხსნა დაწყებითი სკოლა – 1898 წელს, სოფლის თავკაცებისა და პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების ძალისხმევით. ამ საქმეს ხელმძღვანელობდნენ ქემალ ჩავლეიშვილი, დურსუნ კეკიეიშვილი, სულეიმან მენაღარიშვილი, ოსმან მახარაძე, დურსუნ კვესიეიშვილი. სკოლის პირველი მასწავლებელი იყო ოზურგეთის სოფელ მაკვანეთის მცხოვრები ნიკიფორე იობიშვილი. სკოლა თავდაპირველად განთავსდა ოროთახიან ხის შენობაში. მოგვიანებით გაიზარდა მოსწავლეთა და შესაბამისად მასწავლებელთა რაოდენობაც, რამაც სკოლის ახალ შენობაში გადასვლის აუცილებლობა განაპირობა.

1937 წლის რეპრესიები შეეხო სოფელ აჭის მოსახლეობასაც. დახვრიტესსოფლის მკვიდრი, 1901 წ. დაბადებული ნური სულეიმანის ძე მენაღარიშვილი, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა და უგზო უკვლოდ დაიკარგა 17 ადამიანი:

1. უ.მ. ჯინჭარაძე 11. მ.მ. ცეცხლაძე
2. ო.ა. იფშირაძე 12. ხ.მ. ცეცხლაძე
3. კ.მ. ჯინჭარაძე 13. ჯ.ე. ჩავლეიშვილი
4. ა.ა. ბეჟანიძე 14. მ.შ. ცეცხლაძე
5. რ.დ. ცეცხლაძე 15. ნ.ს. მჟავანაძე
6. ს.მ. სალუქვაძე 16. ა.მ. მახარაძე
7. ს.დ. კვესიეიშვილი 17. შ.ა. კვესიეიშვილი
8. ს.ა. ბეჟანიძე
9. რ.ო. მახარაძე
10. ა.ქ. ჩავლეიშვილი

დღეისათვის სოფელი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებაა. სოფელში განვითარებულია მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. მისდევენ აგრეთვე მეფუტკრეობას. გასულ საუკუნეში კარგად იყო განვითარებული მეჩაიეობა, რომელიც თანამედროვე დროში თხილის კულტურამ ჩაანაცვლა. თანდათან ვითარდება ტურიზმი.

**ინფორმატორები:**

1. **მანანა კვესიეიშვილი**, დაბადებული 1940 წელს;
2. **ჯემალ კვესიეიშვილი**,დაბადებული 1964 წელს;
3. **მერაბ ცეცხლაძე**, დაბადებული 1960 წელს;
4. **რუსუდან კაკალაძე**, დაბადებული 1946 წელს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, თფილისი, 1904, რედაქცია მ.გ. ჯანაშვილის;
2. იური სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათუმი, 1959;
3. ექვთიმე თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, თბილისი, 1907;
4. თინათინ ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951;
5. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი VI, თბილისი, 1977.



***Giorgi Batsikadze***


***Achi***

***Summary***


Achi is a village in southwestern Georgia. The village is divided into two parts, one part is in the Ozurgeti municipality and the second part is in the Kobuleti municipality. The village has an interesting history; it was one of the most important point in southwest Georgia in the late middle ages. There is The Achi Monastery of St. George in the village, a medieval Georgian Orthodox church.

*ირინა შერვაშიძე*

## *პოლიტიკური რეპრესიები საარქივო დოკუმენტებში*

*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა და მათ შორის საქართველოც, საბჭოთა რეპრესიების კვლევების თვალსაზრისით ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა დღემდე რეპრესიების სრული სურათი აღდგენილი არ არის და არც მსხვერპლთა რაოდენობაა დაზუსტებული.*

საქართველოში საბჭოთა რეპრესიები 1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკური რუსეთის შემოჭრით და დემოკრატიულად არჩეული მთავრობის დამხობით დაიწყო. პოლიტიკური დევნა გაგრძელდა 1924 წლის აჯანყების ჩახშობით, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ყველაზე დიდი მცდელობა იყო. 1941-1951 წლებშიც მასობრივი რეპრესიები სხვადასხვა ეროვნების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლებს შეეხო. თუმცა, 30-იანი წლები იყო საბჭოთა კავშირის ეპოქის ყველაზე მასშტაბური რეპრესიების და ,,დიდი ტერორის“ (ეს ტერმინი პირველად ბრიტანელმა მეცნიერმა რობერტ კონკვესტმა გამოიყენა 1960-იანი წლების ბოლოს) პერიოდი. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მონაცემებით, 1937-38 წლებში საქართველოში სულ 14 ათას 372 ადამიანი დახვრიტეს, აქედან 1050 აჭარაში (მათ შორის – 11 ქალი).

ქართველთა მეხსიერებაზე ტრავმული გავლენა მოახდინა 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი დემონსტრანტების სისხლიანმა დარბევამ. ორივე შემთხვევაში, საბჭოთა ხელისუფლებამ დედაქალაქის ცენტრში გამოსვლები ძალადობრივი მეთოდებით დაშალა.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე, მნიშვნელოვანი საარქივო მასალა კვლევებისთვის მიუწვდომელი იყო, შესაბამისად შეუძლებელი იყო საბჭოთა ტერორის მასშტაბის განსაზღვრა და მსხვერპლთა იდენტიფიკაცია.

1990-იან წლებში, მართალია, საარქივო მასალა ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ ქვეყანაში კვლევათა სიმწირის არაერთი მიზეზი არსებობდა, მათ შორის, სამოქალაქო ომი, დაპირისპირებები და განადგურებული ეკონომიკა, რომელიც ხელს უწყობდა რეპრესიების მეხსიერებიდან განდევნას. 1991 წლის დეკემბერში, თბილისში არქივის დიდი ნაწილი ბრძოლის ეპიცენტრში მოექცა და ხანძრის შედეგად განადგურდა. ამასთან, ზოგიერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი სმოლენსკის სპეციალურ კგბ-ს გადაეცა, რომლის დაბრუნება 2003 წელს მოხდა, თუმცა ყოველგვარი შედეგების გარეშე. საუბარი იყო იმაზეც, რომ კგბ-ს ქართველმა თანამშრომლებმა დოკუმენტები გაანადგურეს. გადარჩენილია მხოლოდ ის მასალა, რომელიც დაცულია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში.

ამდენად, საარქივო მასალის მოცულობა და სრული შინაარსი გაურკვეველი რჩება, რის გამოც შეუძლებელია მოვლენების ემპირიულ ბაზაზე კვლევა. თუმცა, აქ ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა – კგბ-ს არქივების გადარჩენის შემთხვევაში, რამდენად იქნებოდა შესაძლებელი აღდგენილიყო საბჭოთა ტერორის სრული სურათი, რადგან თავად კგბ-ს არქივები საფუძვლიანად იძლევა სპეკულაციისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავად 90-იანი და შემდგომი პერიოდის მეცნიერები „საბჭოთა მეცნიერების“ პირმშოები არიან, ვერ განთავისუფლდნენ საბჭოთა მენტალობისაგან, რის გამოც ვერ მოხდა პოსტსაბჭოთა პერიოდის ადეკვატური შეფასება. ამას ემატება კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიის არცოდნა თუ არგამოყენება, რამაც სა-

ბოლოო ჯამში შეუძლებელი გახადა ისტორიის ობიექტური შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ისტორიული ანალიზი, არც ეს ორი შემთხვევა არის ჯეროვნად გამოკვლეული და შეფასებული.

საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა პროცესის ანალიზსა და საქართველოს სსრ-ში მათი რაოდენობის დაზუსტებას, გარდა ყოფილი არქივების ფრაგმენტაციისა და მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვისა, ართულებს ის გარემოებაც, რომ დოკუმენტური მტკიცებულებები, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეებთან და პირად ინფორმაციასთან, დაცულია ეროვნულ არქივში. კანონმდებლობის თანახმად, 1950-იანი წლების რეაბილიტაციის მასალები კვლევისთვის ხელმისაწვდომი 2030 წლიდან იქნება[1], რაც შეუძლებელს ხდის 1921 წლიდან სსრკ-ს დაშლამდე საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული რეპრესიების მსხვერპლის განსაზღვრას, რაც ასევე აფერხებს სამეცნიერო კვლევებს და ართულებს საერთო სურათის აღდგენის საკითხს.

ამდენად, წარსულის მნიშვნელოვანი შემთხვევების სამეცნიერო კვლევების მიღმა დატოვებამ, დღემდე შეაფერხა საბჭოთა წარსულის გააზრება და ტოტალიტარული გამოცდილებიდან გაკვეთილების გამოტანა, რომლის დასტურიც არის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები,[2] სადაც მოსახლეობის მხოლოდ 43% აფასებს საბჭოთა კავშირის დაშლას საქართველოსთვის დადებით მოვლენად, ხოლო 42% კავშირის დაშლას ცუდ მოვლენად მიიჩნევს.




---

[1] Alexander Daniel, Larisa Eremova and others, Rehabilitation and Memory: Treatment of the Victims of Soviet Political Repression in Former Soviet Union Countries, Moscow: Memorial, 2016, https://www.memo.ru/media/uploads/2017/03/02/reabilitacia.pdf

[2] https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia–2018

**კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის 20 მარტი-4 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით), 2 194 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე. ცდომილების ზღვარი +-2.2%-ია. NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით. გამოკითხვას ატარებს CRRC-საქართველო.**

საბჭოთა წარსულის კვლევების სიმწირისა და მკვლევართა მხრიდან ნაკლები ინტერესის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ღია საარქივო მასალების დამუშავებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც პრაქტიკულ დონეზე გვხვდება. მკვლევრებს არქივების სამკითხველო ოთახებში უწევთ მუშაობა, რადგან ფოტოგადაღება აკრძალულია. შესაბამისად, რესურსების მანიმალური დამუშავებისთვის საკმაოდ დიდი დრო და ენერგია იხარჯება. მასალის სისტემური დამუშავებისთვის ასევე სასურველია დიგიტალური ბანკის შექმნა და შემდგომ მისი „გახსნა", რაც ხელს შეუწყობს წარსულის საერთო სურათის აღდგენასა და ანალიზს.

თანამედროვე მნიშვნელოვანი კვლევების საფუძველზე, რომელიც საარქივო დოკუმენტაციას ეყრდნობა, სრულიად ახალი გარემოებები, დანაშაულები და ტენდენციები იკვეთება, რაზეც დღემდე ქართული და არა მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფია არ საუბრობდა. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს 2005 წელს, ქართულ-გერმანული პროექტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ გამოცემული წიგნი „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში", სადაც საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით უარყოფილია ვარაუდი იმის შესახებ, რომ რეპრესიული ორგანოები ასრულდებნენ მხოლოდ ცენტრის ნებას და მოქმედებნენ მხოლოდ და მხოლოდ მოსკოვის ბრძანებების თანახმად. როგორც ცნობილია, მასობრივი ოპერაციებისთვის დაპატიმრებისა და სიკვდილმისჯილთა ე.წ. "ლიმიტები"[3] განისაზღვრებოდა ცენტრის მოთხოვნების შესაბამისად, მაგრამ საარქივო მასალის მიხედვით ირკვევა არაერთი შემთხვევა, როდესაც რეგიონული "ნომენკლატურა" სთხოვს ცენტრს რეპრესიების "ლიმიტების" გაზრდას.[4] აღნიშნული პუბლიკაციიდან ასევე ირკვევა, რომ შინსახკომის ე.წ. "კულაკური" ოპერაციები ერთ-ერთი ყველაზე გამოკვლეული რეპრესიული ოპერაციაა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში და ჩვენც მეტ-ნაკლებად ნათელი წარმოდგენა გვაქვს შინსახკომის მიერ ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ, რომელსაც მართავდა მოსკოვი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალები, რომელიც დოკუმენტურ წყაროებს წარმოადგენს, მოიცავს საბჭოთა ისტორიის პერიოდის არარეაბილიტირებული პირების საგამოძიებო საქმეებს, ,,პოლიტიკური" მუხლით აღძრულ საგამოძიებო საქმეთა მცირე ნაწილს, დახვრეტილთა სიებს, საქართველოს სსრ შინსახკომის (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) საგანგებო ,,სამეულის", ე.წ. ,,კულაკური", განსაკუთრებული (ნაციონალური) და მილიციის ,,სამეულების" ოქმებს. ასევე, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი არქივის დოკუმენტებს, რომელთაგანაც რეპრე-

[3] "The Soviet secret police worked according to quotas. Just as Soviet economic planners set targets for industrial growth, so too did state security organs set their own 'limits' for arrests and executions". Paul R. Gregory, Terror by Quota: State Security from Lenin to Stalin, New Haven: Yale University Press, 2009, https://www.h-net.org/reviews/showrev.php?id=23648

[4] მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში:, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015

სიების თემატიკისთვის მნიშვნელოვანია კპ(ბ) ცკ-ის ბიუროს ,,სრულიად საიდუმლო" ,,განსაკუთრებული საქაღალდეები".[5]

1937 წელს საქართველოს სსრ შინსახკომის ,,სამეულის" უცვლელი თავმჯდომარე იყო: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი აქვსენტი რაფავა, წევრები: საქართველოს სსრ მილიციის უფროსი, მაიორი – შალვა წერეთელი, საქართველოს სსრ პროკურორი – ილარიონ ტალახაძე, მდივანი: 8-ე განყოფილების უფროსი, კაპიტანი – ა. კ. მოროზოვი. ძირითადი მომხსენებელი – ეზიაშვილი. ზოგჯერ ამ შემადგენლობას ეცვლება მომხსენებელი და ეზიაშვილის ნაცვლად ჩნდება კონსტანდინიდი. ოქმების დიდ ნაწილში მომხსენებელი არ ფიქსირდება.

1938 წლის საქართველოს სსრ შინსახკომის ,,ნაციონალური სამეულის" თავმჯდომარედ ფიგურირებს იმდროინდელი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი – სერგო გოგლიძე, წევრები: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი – კანდიდ ჩარკვიანი, რესპუბლიკის პროკურორი – ილარიონ ტალახაძე. მომხსენებელი – ლეიტენანტი აბაჯი. საქართველოში საგანგებო "ნაციონალური სამეული" 1938 წლის 25 სექტემბრიდან 1938 წლის 23 ოქტომბრამდე ფუნქციონირებდა.

შსს-ს არქივის მე-8 ფონდში არის დაცული საქართველოს სსრ შინსახკომის ,,სამეულის" სხდომის 1800 ოქმი, რომელიც აჭარის ასსრ შინსახკომის საქმეებს ეხება და მოიცავს როგორც ე.წ. ,,კულაკური" და ,,მილიციის" სამეულების სხდომის ოქმებს, ასევე, ,,ნაციონალური" ოპერაციების დროს სხვადასხვა ეროვნების – თურქების, ებრაელების, რუსების, ბულგარელების, უკრაინელების, გერმანელების, სომხების, ქურთების, ბერძნების, ლიეტუველების და ა.შ. მიმართ გამოტანილ სასჯელებს.

დღემდე აჭარასთან მიმართებაში კვლევებს ართულებდა ის ფაქტორიც, რომ საქართველოს სსრ ,,შინსახკომის" კულაკური ოპერაციების მსხვერპლთა მონაცემების ბაზებში აჭარის მოსახლეობა გაერთიანებული იყო რეპრესირებულთა საერთო სიაში. მათი ცალკე გათვალისწინება ნაწილობრივ ახლა დაიწყეს, თუმცა ეროვნულობის გრაფაში ჩანაწერი ,,აჭარელი" კვლევის ფართო შესაძლებლობას ქმნის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავად საარქივო დოკუმენტებში გვხდება შემთხვევები, როცა ეროვნულობის გრაფაში ,,აჭარელის" ნაცვლად ქართველი ან სხვა ეროვნება არის მითითებული. მაგალითად: დუმბაძე ყედირ (თეარის) ძე, ქედის რ-ნი, ქართველი, თურქეთის არმიის განყოფილების უფროსი; ზოიძე ხასან ახმედის ძე, ქობულეთის რ-ნი, ეროვნებით თურქი და ა.შ. [6]

ე.წ. ,,სამეულის" ოქმების მიხედვით ირკვევა, რომ ერთ დღეზე დაახლობით 100-150 ადამიანის განაჩენის გამოტანა ხდებოდა, რაც თავად დოკუმენტების ფორმალობაზე მიუთითებს. მაგალითად, 1937 წლის 22 ნოემბერს 30-ზე მეტი პირი, ხოლო ამავე წლის 15 ოქტომბერს – 100-ზე მეტი ბრალდებული არის გასამართლებული. ამდენად, ,,საიდუმლო დოკუმენტების" დიდი ნაწილი სწორედ საბჭოთა ელიტის ქმედებების გამართლებას ემსახურება და არ წარმოადგენს მათი ,,გულწრფელობის" ადგილს, როგორც ეს ცალკეულ მკვლევართა მხრიდან არის შეფასებული.

1997-1999 წლებში, გაზეთი ,,სრულიად არასაიდუმლოდ" პერიოდულად აქვეყნებდა ინფორმაციას 1937-1938 წლებში ქალაქ ბათუმში დახვრეტილ პირთა შესახებ. აღნიშნუ-

---

[5] იქვე

[6] შსს არქივი, ფონდი 8

ლი სია,[7] რომელიც მკვლევრებისა და დაინტერესებული პირების მიერ არაერთხელ არის გამოყენებული, აქტუალური გახდა მიმდინარე წელსაც, როცა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ განცხადება გავრცელდა, 1937-38 წელს დახვრეტილთა საფლავების ბათუმის შემოგარენში აღმოჩენის შესახებ[8]. აქედან გამომდინარე, სასურველია აღინიშნოს გარკვეული უზუსტობები, რომელიც გავრცელებულ მასალაში გვხდება. მაგალითად, აბას ქათამაძის დახვრეტის ოქმში დაბადების თარიღად 1857 წელი, ხოლო აღნიშნულ სიაში 1876 წელი არის მითითებული. ასეთივე ცდომილებაა ოსმან ხასანის ძე ტაკიძის დაბადების თარიღში – ოქმის მიხედვით, ის 1878 წელს არის დაბდებული, ხოლო გამოქვეყნებულ სიაში დაბადების თარიღად მითითებულია 1867 წელი. ბოლქვაძე აბესალომ პავლეს ძე, დახვრეტის ოქმის მიხედვით, დაბადებულია 1918 წელს, არა – 1913 წელს. ცალკეულ შემთხვევებში, დაბადების თარიღი და ადგილი საერთოდ არ არის მითითებული. მაგალითად, თურმანიძე ასლან ალის ძე, დახვრეტის ოქმის მიხედვით, დაბადებულია 1896 წელს სოფ. მერისში. ასევე, უსახელოდ არის მითითებული ირემაძე თეარ ეუბის ძე, დაბადებული 1875 წელს ხულოს რაიონ სოფელ ადაძეებში, რომელიც დახვრეტილია 1937 წელს ანტისაბჭოთა აჯანყებაში მონაწილეობისთვის.

გარდა ამისა, აღნიშნულ სიაში იშვიათად გვხვდება სხვა ეროვნების პირები, რომლებიც ამ პერიოდის აჭარაში ცხოვრობდნენ და სხვადასხვა ბრალდებით დახვრიტეს.

შსს არქივის ფონდი №8 საქართველოს სსრ შინსახკომის „სამეულის“ მიერ გასამართლებულ პირთა არაერთ დოკუმენტს ინახავს, რომელიც აღნიშნულ სიაში არ იძებნება. გთავაზობთ არასრულ ჩამონათვალს:

- ზოიძე სულეიმან ქიბარის ძე, დაბადებული ქობულეთის რაიონ სოფ. აჭყვისთავში, დახვრეტილია 1937 წელს ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის. ოქმის მიხედვით, „სედაი-მილეთის“ პარტიის წევრი;
- თურმანიძე ოსმან ბარათალის ძე, დაბადებული 1901 წელს სოფელ ბარათაულში, 1937 წელს დახვრიტეს, 1929 წლის კულაკების აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით;
- კვირიკაძე მერჯან კეჰერმანის ძე, დაბადებული 1857 წელს ქედის რ-ნის სოფელ წონიარისში, დაახვრეტილია 1937 წელს კოლმეურნეობის წინააღმდეგ აგიტაციის ბრალდებით. მისი პიროვნება არასანდო იყო საბჭოთა სისტემისთვის, რადგან ოქმის მიხედვით, გასაბჭოების შემდეგ თურქეთში გაიქცა და 1927 წელს დაბრუნდა საბჭოთა საქართველოში;
- შავაძე იუნუს ალის ძე, დაბადებული 1872 წელს სოფ. ბოძაურში, დახვრეტილია 1937 წელს ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით;
- ხინიკაძე ისკენდერ (ხოჯა) ასლანის ძე, დაბადებული 1867 წელს ქობულეთის რაიონ სოფელ აჭყვისთავში, დახვრეტილია 1937 წელს გლეხებს შორის რელიგიური აგიტაციითვის;
- ცეცხლაძე ალი არიფის ძე, დაბადებული 1870 წელს სოფ. ბარათაულში, დახვრეტილია 1937 წელს მარტის აჯანყებაში მონაწილეობისა და თურქული პროპაგანდის ბრალდებით;
- სარჯველაძე თევრათ მემედის ძე, ორთაბათუმიდან, დახვრეტილია 1937 წელს ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის. „ჩათრეული იყო არალეგალურ ორგანიზაციაში, რომელ-

[7] რამაზ სურმანიძე, ტრაგედია ბათუმში“ (1937–1938 წლები), ბათუმი, 2014, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/206257/1/Tragedia–Batumshi.pdf
[8] https://batumelebi.netgazeti.ge/news/193965/

საც ხელმძღვანელობდა რიზა ალი გოგიტიძე და გადაიბირა სამი კაცი“, – აღნიშნულია მისი დახვრეტის ოქმში;

- რევაზიშვილი დურსუნ ასლანის ძე, ქობულეთის რ-ნი, სოფ. სახალვაშო, მახინჯაურის დასასვენებელი სახლის დირქტორი, დახვრეტილია ჯაშუშობისთვის 1937 წელს. ,,1910 წლიდან 1936 წლამდე თურქეთის დაზვერვას აწვდიდა ჯაშუშურ ინფორმაციას“, – ვკითხულობთ დახვრეტის ოქმში;

- ინასარიძე ლევან ალექსის ძე, ქართველი, ბათუმის რაიონი, დაბა მახინჯაური, ოქმის მიხედვით, ,,მონაწილეობდა კ/რ ტროცკისტულ ორგანიზაციაში აჭარაში და მალავდა ორგანიზაციის წევრებს. ეწეოდა აქტიურ ფაშისტურ აგიტაციას.“ დახვრეტილია 1937 წელს;

- თევდორაძე აჰმედ იუსუფის, დაბადებული – ბათუმის რაიონი, სოფ. ჯოჭო, ,,ნასამართლევი-მკვლელი, ,,სედაი-მილეთის“ წევრი, აგიტაციას ეწეოდა კოლმეურნეობის მშენებლობის წინააღმდეგ მოსახლეობაში“. დახვრეტილია 1937 წელს;

- ყურშუბაძე ჰუსეინ სულეიმანის ძე, დაბადებული ჩაქვში, დახვრეტილია 1937 წელს. სწორედ მისი დახვრეტის ოქმში ვკითხულობთ, რომ მისი ძმები – მამუდ და იუსუფ ყურშუბაძეები გაასამართლეს 1937 წელს ჯაშუშურ ორგანიზაციაში მონაწილეობის გამო, თავად ყურშუბაძე ,,ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას ჩაქვის საბჭოს მეურნობაში, გადაწვა ციტრუსები და ტუნგის პლანტაციები. სახელმწიფოს უდიდესი ზარალი მიაყენა. ანტისაბჭოთა ელემენტი. დანაშაული აღიარა“. და ა.შ.










თანამედროვე და პროგრესული საზოგადოება შეთანხმდა, რომ ტოტალიტარული რეჟიმები, მათი პოლიტიკური რეპრესიები და დევნა არ უნდა განმეორდეს, რომლის უზრუნველყოფის ძირითადი საშუალება არის წარსულის სათანადო შესწავლა და ანალიზი. საარქივო დოკუმენტები ხშირად წარსულის მოვლენების შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მათი შესწავლა. თუმცა, საარქივო დოკუმენტები, ლიტერატურა თუ სხვადასხვა ტექსტური ნარატივი, რომელიც რეჟიმის პირობებში იქმნებოდა, მკაცრად კონტროლდებოდა. შესაბამისად, იგი ხშირად ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების საბჭოთა ხელისუფლებისათვის „მისაღებ“ შინაარსს მოიცავს და არა რეალურ ვითარებას. საარქივო დოკუმენტების მაგალითზე, მსგავსი შემთხვევები ხშირად იკვეთება მსხვერპლთა მიმართ წაყენებულ ბრალდებებში. ასეთ ვითარებაში, სასურველია ფაქტები თავად ამ ისტორიის სუბიექტე-

ბის – რეპრესირებულ პირთა და მათი ოჯახის წევრების პირადი მოგონებებით იყოს გამყარებული, რომელიც ზეპირი ისტორიების სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და ალტერნატიული მეხსიერების სახით შემოგვენახა.

**გამოყენებული ლიტერატურა და რესურსები:**


1. მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი „ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში“, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2015;
2. Alexander Daniel, Larisa Eremova and others, Rehabilitation and Memory: Treatment of the Victims of Soviet Political Repression in Former Soviet Union Countries, Moscow: Memorial, 2016, https://www.memo.ru/ media/uploads/2017/03/02/reabilitacia.pdf;
3. “The Soviet secret police worked according to quotas. Just as Soviet economic planners set targets for industrial growth, so too did state security organs set their own ‘limits’ for arrests and executions”. Paul R. Gregory, Terror by Quota: State Security from Lenin to Stalin, New Haven: Yale University Press, 2009;
4. “სტალინური სიები საქართველოდან”, ციფრული რესურსი, 26 მარტი 2018, www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=26;
5. რამაზ სურმანიძე, ტრაგედია ბათუმში“ (1937–1938 წლები), ბათუმი, 2014, http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/206257/1/Tragedia–Batumshi.pdf;
6. გაზეთი „ბათუმელები“ https://batumelebi.netgazeti.ge/news/193965/;
7. https://www.h-net.org/reviews/showrev.php?id=23648;
8. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia–2018;
9. Sss arqivi, fondi 8.

**მაია რურუა**

## დოკუმენტები გვიამბობენ ამბები გიგო ბასილაშვილის პირადი ფონდიდან

პირადი ფონდები ნამდვილი საგანძურია, სადაც ერთი შეხედვით უბრალო ჩანაწერმა შეიძლება მოულოდნელი სიურპრიზი შემოგთავაზოს და მეტად საინტერესო ამბავს დაუდოს საფუძველი. 1968 წელს, აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სახელმწიფო შენახვაზე შემოტანილი იქნა პოეტ ნესტორ მალაზონიას პირადი ფონდი, რომელთა დამუშავების დროს მასში აღმოჩნდა სხვა მასალაც, რომლებიც როგორც გაურკვეველი, არასაკმარისი და არა ღირებული გადადებული იქნა. 2018 წელს, მასალები გადამუშავდა და ამ მასალებიდან შეიქმნა ახალი ფონდი სახელწოდებით ძველი რევოლუციონერი, პერსონალური პენსიონერი- გიგო ბასილაშვილის ფონდი რ-727. ახალი ფონდი სულ რამდენიმე საქმეს მოიცავს, თუმცა დამუშავების დროს მასში საინტერესო და საყურადღებო მასალაც აღმოჩნდა. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია ხელნაწერი, რომელიც აღწერაში შეტანილი იქნა ბიოგრაფიული ცნობების სახელწოდებით. წერილი- ბიოგრაფიული ცნობები შედგენილია უცნობი ავტორის მიერ (შეიძლება იყოს ზ. ჭიჭინაძე, რასაც მიუთითებს ფურცლის უკანა მხარეს მიწერილი „ზაქარია ჭიჭინაძის ნაწერების ნაწილი ჩემს შესახებ“) ტექსტი ცუდად იკითხება, არის ხელნაწერი, ნაწერები წაშლილია, ფურცლის კიდეები დაფლეთილი და შემოხეული, მთლიანობა დარღვეულია, იკითხება ცალკეული სიტყვები, ზოგან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც საშუალებას იძლევა დასკვნა გავაკეთოთ, რომ პირველ აბზაცში მიმოხილულია აუცილებლობა იმ პიროვნებების საქმიანობის სამზეოზე გამოტანის, რომელთა მოღვაწეობაც დაკავშირებულია მუშათა და ხელოსანთა ცხოვრების, საქმიანობის, მძიმე შრომის წარმოჩენა -დაფასებისათვის. აი ისიც...„ ასეთ კაცთა შესახებ ჩვენის ........... ავნუსხავთ, რომ ვინმემ გაზვიადებაში არ ჩამოგვართვას, მოვიყვანთ თვით ბიოგრაფიულს ცნობებს და იმედია რომ ეს უფრო კარგი იქნება ასეთ კაცთა დასაფასებლათ და გასაცნობათ. ამ ჯერეთ ჩვენ ავნუსხავთ გიგო გაბრიელის ძე ბასილაშვილის მოღვაწეობას და ცხოვრებას, რაც შეიძლება მოკლეთ და სადათ, რაც მოკლეთ და მარტივათ გამოსახავს საქმის მკვლევარი ????(სავარაუდოთ) სინამდვილეს, ცნობები არის სულ ნამდვილი და მართალი. გიგო გაბრიელის ძე დაიბადა 1858 წელს ქ.თფილისში, ავლაბარში, თავის მამის საკუთარ სახლში. მამა ამისა იყო სოფ. კულაშელი, თფილისში მოსული, დასახლებული. ის დასახლდა სოფ.მარტყოფში, სადაც ოჯახს მოეკიდა, დედა გიგოსი იყო მართა. გიგოს ჰყავნდა ძმები და დებიცა. დღეს, ერთი დაი ჰყავს ცოცხალი, სხვები დაიხოცნენ. გიგოს წერა-კითხვის სწავლა თავის შრომით შეისწავლა. ჯერ პატარა იყო, რომ იგი თურმე ქართული წიგნების კითხვას დიდის ხალისით მისდევდა. ამ გვარათ მას არსად უსწავლია, მისი სასწავლებელი ქართული წიგნი ყოფილა და მათი კითხვა. წიგნების კითხვა თურმე ამას ისე უყვარდა, რომ „ყარამანიანი“-სა და „ვ....(სავარაუდოთ „ვეფხისტყაოსანი“ ან „ვისრამიანი“) სულ ზეპირად იცოდა. ამის საქმეს და საგანს მარტო ეს ქართული წიგნის კითხვა შეადგენდა. სამწუხაროთ, ასეთი ხალისის მქონე ბალღი თურმე უპატრონოდ იზრდებოდა და იგი ტრახტირში იყო მოჯამაგირეთ, მასკითარათ (სავარაუდო სიტყვა მასკარონი-დაკავშირებული მასკარადის ნიღბებთან) სადაც თურმე იგი ქართული წიგნების კითხვას ........მისდევდა. გიგო ისე დაწინაურდა ქართული წიგნების კითხვაში, რომ მას ქებით უყურებდნენ ბილიარდის მოთამაშენი, სხვა და სხვა ჯიბგირები და კინტო ბიჭებიც, რომელნიც მთელი და მეტათ სულ ტრახტირში ეყარნენ.

ასეთის კითხვით მოსწიფდა გიგო და გაიზარდა წიგნების კითხვასთან, მას ქართული თიატრიც უყვარდა და ნამეტარი ისტორიული პიესების ყურება. თიატრალური პიესების ცნობებით ეს ისე მომზადდა , რომ ერთ დროს , ამან განიზრახა „დიდი მოურავი“-ს წარ-

8. ვახტანგ შიხაშვილი-1942 წლის 20 თებერვალი;
9. გიორგი ციბალაშვილი-1942 წლის 18 თებერვალი;
10. თინათინ გონიაშვილი-1942 წლის 31 იანვარი;
11. სიმონ გერგიშვილი-1942 წლის 20 მარტი **(შინაგან საქმეთა სამინისტოროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე N4221549, ტომი 14, ფურცლები 27-28).**

**გამოყენებული წყარო:**


1. **შინაგან საქმეთა სამინისტოროს** (შსს) არქივი ფ.6, ტომი 14, საქმე **N4221549**, ფურც. **23-24,27-28.**

*Nata Tetvadze*

## *SENTENCING OF THE 1942 CONSPIRACY CASE*

**Summary**

After the outbreak of the Soviet-German war (June 22, 1941), Georgian youth began a conspiracy aimed at overthrowing the Soviet regime and restoring Georgia’s independence with the help of Germany. This conspiracy has occupied a prominent place in the recent history of Georgia, in which students, graduate students and graduates of Tbilisi State University participated. In September 1942, the Transcaucasian Front Tribunal sentenced to death 17 people with confiscation of property, 2 people were sentenced to 5 years in prison with confiscation of property, 9 people were sentenced to 3 years in prison with confiscation of property, 4 people were acquitted for lack of evidence.

*კახა ფუტკარაძე*

## *კონტრტერორისტულ პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსახლეობის განწყობის ძირითადი ფაქტორები*

მოსახლეობაში არსებული განწყობების შესწავლა ტერორიზმთან ბრძოლის პოლიტიკის ფარგლებში თანამედროვეეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მოსახლეობის განწყობის ცოდნა საშუალებას იძლევა გავააანალიზოთ ქვეყანაში განხორციელებული კონტრტერორისტული საქმიანობის ეფექტურობა. გამოვავლინოთ ტერორიზმთან ბრძოლაში ძირითადი მოწყვლადი ფაქტრობი, გამოვკვეთოთ სახელმწიფოს მხრიდან დამატებით გასატარებელი ღონისძიებების ძირითადი მიმართულებები. მოსახლეობის განწყობის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია აღნიშნული პრობლემის პროგნოზებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის. სამაგისტრო ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე ელექტრონული კითხვარის ფორმატით ჩვენს მიერ ჩატარდა შესაბამისი კვლევები. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში დასაქმებული საქართველოს 19-65 წწ. ასაკობრივი ჯგუფის 130 მოქალაქე. კვლევა ითვალისწინებდა შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლას:

1. არის თუ არა საქართველო საშიში ქვეყნა:
2. არის თუ არა საქართველოში რადიკალიზაციის, ექსტრემიზმის ხელშემწყობი პირობები:
3. რა არის საქართველოს მოქალაქეების სირიასა და ერაყში არსებულ კონფლიქტში გამგზავრებისა და მონაწილეობის ძირითადი მიზეზები:
4. რა სახის ტერორისტული გამოწვევები არსებობს საქართველოს წინაშე
5. გაგაჩნიათ თუ არა რაიმე სახის ინფორმაცია (ტელევიზია, პრესა, ინტერნეტი) ტერორიზმის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ესახებ;
6. რამდენად ეფექტურია საქართველოს ხელისუფლების კონტრ-ტერორისტული პოლიტიკა;
7. რა მაგალითებს დაგვისახელებთ მსოფლიოში ტერორისტული აქტების განხორციელების შესახებ;
8. რას უკავშირებთ მსოფლიოში ტერორისტული აქტების ზრდის ტენდენციას.

გამოკითხულ რესპონდენტთა 90 პროცენტის აზრით საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა. მხოლოდ 10 პროცენტი მიიჩნევს ქვეყანას საფრთხის შემცველად. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური, სამართლებრივი, ინსტიტუციონალური რეფორმების შედეგად ქვეყანაში შესაძლებელი გახდა კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლის სფეროში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა. საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად დასჯად ქმედებად ჩაითვალა ე.წ. კანონიერი ქურდობა, ქურდულ გარჩევებში მონაწილეობა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა. პარალელურად სამართალდაცვით თუ უსაფრთხოების სექტორში განხორციელდა სისტემური რეფორმების მთელი ტალღა, რის ფარგლებშიც ძალოვანი უწყებები დატოვეს 1991-2003 წლებში დასაქმებულთა დიდმა რაოდენობამ. ისინი ჩაანაცვლა შედარებით გამოუცდელმა, მაგრამ მოტივირებულმა ახალგაზრდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. გაიზარდა ძალოვანი უწყებების დაფინანსება, მატერიალური და ტექნიკური ბაზა. სახელმწიფოს მიერ მეთოდურად განხორციელებული რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდა ქვეყანაში კრიმინალისა და კორუფციის დაძლევა,

ხელი შეეწყო დემოკრატიული რეფორმების გატარებას. ყოველივე ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა მოსახლეობაში უსაფრხთოებისა და სტაბილურობის განცდის გაძლიერება. გამოკითხულ რესპონდენთა 10 პროცენტი ამას ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური-ეკონომიკური და სამხედრო საფრთხეებით ხსნის.

საქართველოსათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება სიღარიბესთან ბრძოლა და ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაცია. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ცალკეული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების სიხშირის ალბათობის განმსაზღვრელი ფაქტორი იყოს.

სამხედრო საფთხეებიდან მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიები, იქ განთავსებული რუსული სამხედრო შენაერთები, კავკასიის რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტები, კონფლიქტების განახლების შემთვევაში საქართველოს წინაშე მდგარი ეკონომიკური, სამხედრო თუ ტერორისტული გამოწვევები. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ცხადყო, რომ შესაძლოა რუსეთის მხრიდან კვლავ განმეორდეს სამხედრო აგრესია ან გარკვეული პროცესების ინსპირირება, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის პერსპექტივას. სწორედ ამიტომაა, რომ გამოკითხულთა 10 პროცენტი საქართველოს არ მიიჩნევს უსაფრთხო ქვეყანად.

ჩვენი ინტერესების სფერო მოიცავდა **საქართველოში რადიკალიზაციის, ექსტრემიზმის ხელშემწყობი პირობების შესახებ საქართველოს მოქალაქეების განწყობის დამოკიდებულების შესწავლასაც.** აღმოჩნდა, რომ 56,2 პროცენტის აზრით ქვეყანაში არსებობს რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყოფი პირობები, ხოლო 43,8 პროცენტი ამას უკავშირებს საბჭოთა კავშირის რღვევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის წინაშე წარმოშობილ სხვადასხვა პრობლემასთან, საკუთრივ: 1991-1992 წლების სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოვლენები, პანკისის ხეობაში განვითარებული პროცესები, 2008 წლის აგვისტოს ომი და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია, რუსეთ-ჩენნეთის ომის მსვლელობისას და შემდგომ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში, საკუთრივ პანკისის ხეობაში სალაფიტური ისლამის იდეოლოგიის გავლენის ზრდა, სირიაში არსებულ კონფლიქტში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობა (2015 წ. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ანგარიშის თანახმად სირიაში საქართველოს 50-მდე მოქალაქე იბრძოდა“[10], ამავე სამსახურის 2017 წლის ანგარიში თანამხად კი მათი რიცხვი შემცირებულია 30-მდე[11]) და ა. შ. საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმებისა და ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის განვითარების სფეროში მიღწეული წარმატებების მიუხედავად ქვეყანაში კვლავაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა საწყის ეტაპზე ხელი შეუწყო ქვეყანაში კორუფციისა და კრიმინალის ზრდას, ხოლო შემდგომში საქართველოს მოქალაქეების სირიაში გამგზავრების ძირითადი სტიმულატორი გახდა. რთულმა ეკონომიკურმა პროცესებმა განაპირობა აგრეთვე უკანონო ფინანსური რესურსების შემოდინება, უცხო ქვეყ-

---

[10] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში, 01.08.2015 – 31.12.2015:13, Available at: https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/SSSG%20REPORT.pdf

[11] The Report of the State Security Service of Georgia, 01.01.2017-31.12.2017: 11 https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/SSSG%20Report%202017.pdf

ნის/ორგანიზაციების ემისრების მომრავლება, რომლებიც ფინანსური რესურსების დახმარებით ახორციელებდნენ პანკისის ხეობასა და სხვა რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების გადაბირებას, სალაფიზმის გავრცელების ხელშეწყობას. შესამჩნევია ქრისტიანი და მუსულმანი მოსახლეობის რელიგიური გრძნობებით მანიპურილების მცდელობებიც. ამდენად, რადიკალიზაციის ხელშემწყობ პირობად ერთის მხრივ გვევლინება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მეორეს მხრივ კი უცხო სახელმწიფოთა თუ ორგანიზაციათა, ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ ცალკეულ ჯგუფთა მცდელობები, რათა ხელოვნულად შექმნან ილუზია საქართველოში რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდული გარემოს შესახებ. ამავე დროს გარკვეული ჯგუფები ცდილობენ ხელოვნურად მოიშველიონ საქართველოს ისტორიის კონკრეტული მაგალითები ქართველის მხოლოდ ქრისტიანობის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით.

გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი (43,8%) ვერ ხედავს საქართველოში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობ პირობებს. ასეთი დამოკიდებულება ჩვენის აზრით განპირობებული უნდა იყოს ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებით, ეკონომიკის სტაბილური განვითარებითა და ხელისუფლების მიერ ქვეყანაში გატარებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებით. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მაინც არსებობს რადიკალიზაციის ხელშემწყობი ცალკეული მიზეზები. საქართველოს სახელმწიფო უსაფთხოების სამსახურის მიერ 2019 წლის 27 მარტს პარლამენტისადმი გაგზავნილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში არსებობენ ცალკეულ რადიკალ პირთა ჯგუფები, ასევე კონკრეტული პირები, რომლებიც მხარს უჭერენ ისლამურ სახელმწიფოს და ,,ისლამური სახელმწიფოს" მხირდან დავალების შემთხვევაში არაა გამორიცხული მათ მიერ მიღებული დავალების აღსრულება. ანგარიშიდან ჩანს ასევე, რომ ამ ეტაპისათვის დასახელებული ჯგუფებისა და პირების ინტერესში არ შედის სახელმწიფოსთან დაპირისპირება[12].

რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობ გარემოებად საქართველოში ასევე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობა წარმოადგენს. საქართველოს სპეცსამახურების მიერ დადგინდა უცხო ქვეყნის სპეცსასმახურების ერთ-ერთი უმთავარესი ამოცანა – რელიგიური და ეთნიკური შუღლის ინსპირირება (იხილეთ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიში, გვ.14). ზემოაღნიშული პროცესები, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ვითარებისა და მიზნების თანმდევია. იგი რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

საიდუმლო არაა, რომ საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი მონაწილეობდა სირიასა და ერაყში არსებულ კონფლიქტებში. ლოგიკურად გვაინტერესებდა მოსახლეობის აზრი კონფლიქტურ რეგიონებში აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების გამგზავრების მიზეზების შესახებ. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა 71,5 პროცენტი საქართველოს მოქალაქეების სირიასა და ერაყში გამგზავრებას უკავშირებს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, 19,2 პროცენტი კი რელიგიურ ფაქტორს. მხოლოდ 9,2% ასახელებს პოლიტიკურ მიზეზებს. რელიგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით მოსახლეობის განწყობის შესწავლა და ანალიზი იძლევა შესაძლებლობას ვიფიქროთ, რომ ასეთი დამოკიდებულება დავუკავშიროთ კავკასიის რეგიონსა და ზოგადად მსოფლიოში სალაფიტური ისლამის იდეოლოგიის მომძლავრებასა და მის პოლიტიკურ

[12] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 01.01.2018-31.12.2018:11, Available at: http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/114072/1-6041-19

ხასიათს. გასათვალისწინებელია ცალკეულ ქვეყანათა, ორგანიზაციათა და ადამიანთა ჯგუფების ინტერესები – ხელოვნურად შექმნან საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა კონფესიური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების გარემო და იგი შეფუთონ რელიგიურ სამოსელში, რათა მოახდინონ ზეგავლენა ხელისუფლებაზე და გაატარონ თავიანთი პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური ინტერესები.

გამოკითხულთა 9,2 პროცენტი აღნიშნუ;ლ პრობლემას უკავშირებს პოლიტიკურ პროცესებს. ასეთი განწყობა ჩვენის აზრით დაკავშირებული უნდა იყოს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასა და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან, აგრეთვე რეგიონში არსებულ პოლიტიკურ გარემოსთან, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ქვეყანაში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის გავრცელებას.

საქართველო ამჟამად უამრავი გამოწვევის წინაშეა. შესაბამისად საინტერესოა მოსახლეობის მოსაზრებები იმის შესახებ, თუ **რა სახის ტერორისტული გამოწვევები შეიძლება არსებობდეს საქართველოს წინაშე.** გამოკითხულთა 40,8 პროცენტის აზრით ამ გამოწვევებს შორის ერთ-ერთი პირველი ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხეებია. გამოკითხულთა ნაწილი (42,3%) რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეებზე ამახვილებს ყურადღებას, ნაწილი – (29,2%) ისლამურ ტერორიზმს ასახელებს, ნაწილი კი (30%) საერთაშორისო ტერორიზმს. კავკასიის რეგიონში გაყინული კონფლიქტებიდან სავარაუდო ტერორისტულ საფრთხეებს გამოკითხულთა 30% ასახელებს (აღნიშნული კითხვის ფარგლებში რესპოდენტს შეეძლო შეერჩია ერთი ან რამდენიმე სავარაუდო პასუხი).

რესპონდენტთა მიერ ქვეყნის წინაშე ტერორისტულ გამოწვევად ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების (40,8 პროცენტი) მიჩნევა განპირობებული უნდა იყოს ფაქტორთა ერთობლიობით, კერძოდ:

ა) ისტორიული პროცესებისა და საერთაშორისო კონფლიქტების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ სახელმწიფოთა მხრიდან ტერიტორიის ოკუპაცია ემსახურება ობიექტ სახელმწიფოში ბუფერული ტერიტორიის შექმნის ამოცანებს. იგი ბუფერული ტერიტორიის შემქნელ სახელმწიფოს (რუსეთს) კონფლიქტის განახლების შემთხვევაში სათანადო მომზადებისთვის მნშვნელოვან დროს აძლევს, მეორეს მხრივ, ობიექტ ქვეყანაში იგი აქტიურად გამოიყენება ჯაშუშური, საბოტაჟის, დივერსიული, ტერორისტული საქმიანობის დასაგეგმად და განსახორციელებლად;

ბ. რუსეთის ფედერაციას ეძლევა ოკუპირებული ტერიტორიების ტერორისტული საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობა, რათა მოახდინოს ზემოქმედება საქართველოს ხელისუფლებაზე;

გ. ცხინვალის მარიონეტული რეჟიმისა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიებიდან საქართველოს მოქალაქეების სისტემატიური, გატაცება, წამება და მკვლელობა (არჩილ ტატუნაშვილი, გიგა ოთხოზორია, დავით ბაშარული და სხვ.)[13] (იხილეთ The Report of the State Security Service of Georgia, 01.01.2017-31.12.2017:4/7).

**რუსეთიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები საქართველოს უმნიშვნელოვანეს გამოწვევად მიგვაჩნია. ამას ადასტურებს ჩვენი კვლევის შედეგებიც.** გამოკითხულთა 42,3 პროცენტს სწორედ აღნიშნული ფაქტორი მიაჩნია უპირველეს გამოწვევად.

---

[13] The Report of the State Security Service of Georgia, 01.01.2017-31.12.2017:4/7
https://ssg.gov.ge/uploads/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/SSSG%20Report%202017.pdf

ჩვენის აზრით, ეს განწყობა განპირობებულია შემდეგ ფაქტების ერთობლიობით, კერძოდ: ა) აფხაზეთისა და ცხინვალის მოვლენებში რუსეთის მონაწილეობით; ბ. 1998 წლის თებერვალში საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებულ ტერაქტში რუსეთის სავარაუდო კავშირით (დივერსიული ჯგუფის წევრები მომზადებას გადიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, მის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ქართველი ასევე ჩრდილოეთ კავკასიელი მებრძოლები. მიუხედავად იმისა რომ ტერაქტზე პასუხისმგებლობა ნაწილობრივ ეკისრებოდა ცნობილ ჩეჩენ საველე მეთაურს სალმან რადუევს, საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად ტერაქტის უშუალო ორგანიზატორად დასახელებული იქნა იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არიდების მიზნით თავს რუსეთში აფარებს. არსებობს მოსაზრება ტერაქტის ორგანიზებაში რუსეთის ფედერაციის სპეციალური სამსახურის ,,პოლკოვნიკის" უშუალო მონაწილეობის შესახებაც, რომელიც შემდგომში საეჭვო ვითარებაში დაიღუპა); გ. გორში განხორციელებულ ტერაქტში რუსეთის მონაწილეობით; დ. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ არსებულ სტრატეგიულ ობიექტებზე 2006 წ. განხორციელებული დივერსიული აქტების მოწყობით; ე. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომით; ვ. საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ოკუპირებულ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეების სისტემატიური გატაცებით, წამებითა და მკვლელობებით და სხვა ფაქტორებით.

გამოკითხულთა ნაწილი (29,2%) მთავარ ტერორისტულ საფრთხედ ისლამურ ტერორიზმს მიიჩნევს. ვვარაუდობთ, რომ ასეთი განწყობა საქართველოსა და მსოფლიოში რადიკალური ისლამური მიმართულების ,,ვაჰაბიზმი"-ის იდეოლოგიის გავლენის ზრდას, ისლამური სახელმწიფოს საბრძოლო ოპერაციებში პანკისის ხეობისა და აჭარის რეგიონის მუსლიმი მოსახლეობის მცირე ჯგუფების მონაწილეობას, პანკისის ხეობაში ადათობრივი სამართლის, უხუცესების როლის შესუსტებას და სალაფიზმის (პოლიტიკური ისლამი) მზარდ გავრცელებას უკავშირდება. ასეთი განწყობა უნდა აიხსნას აგრეთვე საქართველოს ქრისტიანული აღმსარებლობის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილის კრიტიკული დამოკიდებულებით საქართველოში არსებულ მუსლიმურ თემთან მიმართებაში.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად განიხილება საერთაშორისო ტერორიზმის გააქტიურება. გამოკითხულ რესპონდენტთა 30% მთავარ ტერორისტულ გამოწვევად სწორედ საერთაშორისო ტერორიზმს მიიჩნევს, რაც ჩვენის აზრით უნდა აიხსნას ჩეჩნური ნაციონალიზმის გლობალურ ჯიჰადიზმში გადასვლის ტენდენციით (ეს პროცესი თვალშისაცემია რუსეთ-ჩეჩნეთის ომების შემდეგ), ცალკეული ისლამური ქვეყანებისა და ორგანიზაციების შორსმიმავალი გეგმებით – კავკასიასა და მსოფლიოში პოლიტიკური ისლამის – სალაფიზმის-ვაჰაბიზმი-ს გავრცელების შორსგამიზნული ამოცანებით, ისლამურ სახელმწიფოში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობით, ალ-ქაიდაის კავკასიით დაინტერესებით, ავღანეთის ISAF-სა და ,,Resolute Support Mission – RSM" სამშვიდობო მისიებში საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობით.

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული გამოწვევები შეიძლება უკავშირდებოდეს **კავკასიის რეგიონში არსებულ გაყინული კონფლიქტებს**. ამ ვერსიას ემხრობა გამოკითხულთა 30 პროცენტი. მოსახლეობის ასეთი დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მყიფე ვითარებას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, ასევე ყარაბაღის კონფლიქტის მოუგვარებლობას უნდა უკავშირდებოდეს.

ამრიგად, საქართველოს წინაშე მეტნაკლებად არსებობს ზემოდდასახელებული ხუთივე ტერორისტული საფრთხე. ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეს წარმოადგენს ცხინვალის მარიონეტული ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციის სამხედრო ქვედანაყოფების არსებობა, მათი მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ჯაშუშური საქმიანობისათვის გამოყენების მცდელობა და შესაძლო ტერორისტული, დივერსიული აქტების მოწყობა საქართველოს ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. იგი თავის თავში ასევე მოიცავს პასუხს რუსეთის მხიდან საქართველოს წინააღმდეგ სახელმწიფო ტერორიზმის განხორციელების შესაძლებლობაზე. საქართველოს წინაშე ისლამური და საერთაშორისო ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. იგი დაკავშირებულია საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მიზნებთან და მოქმედებებთან, რომელთა ინტერესების ობიექტს წარმოადგენს საქართველო და მთლიანად კავკასია. იგი განპირობებულია ერთის მხრივ რეგიონში პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის გავრცელების ხელშეწყობით, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მზარდი მხარდაჭერით საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად. საქართველო, როგორც ევროპისა და აშშ-ის მტკიცე მხარდამჭერი და პარტნიორი ქვეყანა (რომელიც ასევე აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში) წარმოადგენს ისლამური სახელმწიფოს, ალ-ქაიდასა და თალიბანის ახლო სამიზნესა და დაკვირვების მნიშვნელოვან ობიექტს. მნიშვნელოვან საფრთხეს შეიცავს კავკასიის რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტებიც. საქართველოს აზერბაიჯანსა და თურქეთს, ასევე საქართველოსა და სომხეთს ერთმანეთთან აკავშირებთთ საერთო სტრატეგიული გაზსადენები, ნავდობსადენები და სარკინიგზო მაგისტრალები. კონფლიქტის განახლების შემთხვევაში შესაძლებელია დაპირისპირებულმა მხარეებმა განახორციელონ საქართველოში არსებულ სტრატეგიულ ობიექტებზე ტერორისტული აქტები (იხილეთ **Richard Giragosian შეფასება ყარაბაღის კონფლიქტის განახლების შემთხვევაში,** საქართველოში მდებარე ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სავარაუდო სამიზნედ არსებობის შესახებ[14]), რისთვისაც შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც დაპირისპირებული მხარეების სათანადოდ მომზადებული დივერსიული ჯგუფები, ასევე საქართველოში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები.

**საქართველოს მოსახლეობას ყოველთვის არ გააჩნია სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ანტიტერორისტული ღონისძიებების შესახებ.** შესაბამისად, გვაინტერესებდა ამ თვალსაზრისით მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი (ტელევიზია, ჟურნალ გაზეთები, ინტერნეტი, ხელისუფლების მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია ან/და სხვა). რესპოდენტთა 44,6 პროცენტს ,,სხვადასხვა წყაროების საშუალებით სმენიათ“ ხელისუფლების მიერ გატარებული კონტრტერორისტული ღონისძიებების შესახებ, ხოლო 55,4%-ს კი არავითარი ინფორმაცია არ აქვს. კვლევით დადგინდა საქართველოში არსებული გამოწვევა – ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების არასათანადო მზაობა, მოსახლეობასთან სათანადო მუშაობისა და ტერორიზმთან დაკავშირებული პროაქტიული ინფორმაციის გეგმაზომიერად გავრცელების თაობაზე საერთო გეგმის არარსებობა, სამოქალაქო საზოგადოების, ტელევიზიების, არასათავრობო ორგანიზაციების ნაკლები ჩართულობა

[14] Richard Giragosian, War in Nagorno-Karabakh: What would it mean for Georgia? Georgian Institute of Politics, 30.03.2017, Available at: **http://gip.ge/the-risk-of-renewed-hostilities-over-nagorno-karabakh-and-implications-for-georgian-security/**

მოსახლეობაში ტერორიზმისა და კონტრტერორისტული საქმიანობის ცნობადადობასთან აღქმის თვალსაზრისით.

საქართველო ახალი დემოკრატიის ქვეყანაა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. არ არსებობდა კონკრეტული მიმართულებების შესაბამისი გამოცდილება, რაც აისახა კიდეც მოსახლეობის განწყობაზე (ცნობისათვის, ფინეთის კონტრტერორისტული სტრატეგია ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ითვალისწინებს სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის ერთობლივ ჩართულობას ქვეყანაში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ფაქტორების შემცირების მიზნით, ასევე კონტრტერორიზმის სფეროში სამოქალაქო და კულტურული თვითშეგნების ამაღლებას, სკოლებში, უნივერსიტეტებსა და თვით თავისუფლების აღკვეთ დაწესებულებებშიც კი. იხილეთ ფინეთის კონტრტერორისტულის ტრატეგია, გვ. 26/28-27/29, Ministry of interior Finland, Internal security | Ministry of the Interior publications 28/2018, National Counter-Terrorism Strategy 2018–2021: 26/28-27/29)[15].

აქვე დავძენთ, რომ ქართული მედიასივრცე განიცდის ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების ანალიტიკური გადაცემების მომზადებისა და სათანადო გაშუქების სიმცირეს. ამიტომაცაა აუცილებელი სახელწმიფო ხელისუფლების მიერ კომპლექსური ღონისძიებების გეგმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, საქართველოს მოქალაქეებში ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გააზრებასა და აღქმას. ასეთი მიდგომა შეიძლება გახდეს რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.

კვლევის ამოცანები მოითხოვდა გაგვერკვია მოსახლეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვანი საკითხისადმი – **რამდენად ეფექტურია საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყანაში გატარებული კონტრტერორისტული პოლიტიკა.** რესპოდენტთა 57,7% პროცენტმა საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული კონტრტერორისტული პოლიტიკა ნაკლებად ეფექტურად მიიჩნია, 17,7 პროცენტმა – არაეფექტურად. მხოლოდ 26,9 პროცენტმა შეაფასა დადებითად. კვლევის შედეგი დამაფიქრებელია ხელისუფლებისათვის. ლოგიკურია მოსახლეობის ასეთი განწყობაც. ქვეყანაში დაბალია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი, მოსახლეობაში ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის ცნობადობა და გააზრება. საქართველოს მოქალაქეების სირიაში გამგზავრებამ გავლენა მოახდინა მოსახლეობის განწყობაზე, რაც აისახა კიდეც კვლევის მასალებში.

ქვეყნის ხელისუფლების ანტიტერორისტული საქმიანობა დადებითად რესპოდენტთა 26,9 პროცენტმა შეაფასა. ამ კატეგორიის რესპონდენტთა განწყობა ხელისუფლების მიერ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, კონკრეტულად კონტრტერორიზმის სფეროში მიღწეული წარმატებებს უნდა დაუკავშირდეს. მეთოდურად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საქართველოში გამოვლინდა და შემცირდა რადიკალურ ისლამურ ჯგუფებთან კავშირში მყოფი პირები, ცალკეული ფინანსური ორგანიზაციები და საქართველოს წინააღმდეგ ტერორიზმის ხელშემწყობი სახელწმიფო/სახელმწიფოები.

კითხვაზე **„რა ფაქტები გსმენიათ მსოფლიოში ტერორისტული აქტების განხორციელების შესახებ და რით ხსნით მისი ზრდის ტენდენციას“, რესპოდენტთა პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად:** გამოკითხულთა 66,2 პროცენტმა ნაწილობრივ იცის

[15] 26/28-27/29, Ministry of interior Finland, Internal security | Ministry of the Interior publications 28/2018, National Counter-Terrorism Strategy 2018–2021: 26/28-27/29)

მსოფლიოში ტერორიზმის განხორციელების ფაქტების შესახებ; 30,8 პროცენტი ყურადღებით ადევნებენ თვალს მსოფლიოში ტერორისტული აქტების მიმდინარეობას, ხოლო 3,1 პროცენტს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ტერორისტული აქტების შესახებ. ტერორისტული აქტების ზრდის მიზეზად კი გამოკითულთა 54,6 პროცენტმა დაასახელა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ფაქტორები, 10,8 პროცენტმა სოციალურ-ეკონომიკური გარემოებანი, 21,5 პროცენტმა რელიგიური ფაქტორები, ხოლო 13,1 პროცენტმა ეთნო-სეპარატისტული მოძრაოებების გააქტიურება.

**ამრიგად,** ტერორიზმის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობაში არსებული დამოკიდებულების შესწავლამ ნათლად აჩვენა პოლიტიკური, გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების როლი და მნიშვნელობა, გამოიკვეთა მოწყვალადი მიმართულებანი, ზემოთდასახელებულ პროცესებში სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა, საერთო გეგმის არ არსებობა, ტერორიზმთან დაკავშირებული საქმიანობის აღქმადობის დაბალი ხარისხი.

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისი სტრუქტურების მიერ უმოკლეს დროში მოხდეს ქვეყნის შიგა და გარე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პროცესების სათანადო შესწავლა და ანალიზი, გამოვლინდეს საქართველოსა და კავკასიის რეგიონში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყოფი ფაქტორები, განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებები, გაუმჯობესდეს ეკონომიკური და სოციალური გარემო. ამასთან აუცილებელია სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორიის კოორდინირებული საქმიანობა ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელების მიზნით. უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ერთობლივი კონტრტერორისტული და რადიკალიზაციის პრევენციის ღონისძიებები საერთაშორო თანამშრომლობის ფორმატში.

*ნატო ქიქავა*

## *ზურაბ ხაბაძის პირადი ფონდი საარქივო სამმართველოში*

*აჭარის საარქივო სამმართველოს 2019 წელს კიდევ ერთი დამსახურებული პიროვნების, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრის, აჭარის არ დამსახურებული მხატვრის, მემედ აბაშიძის პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, გრაფიკოსისა და ფერმწერის ზურაბ ხაბაძის პირადი ფონდი შეემატა.*



ფონდში დაცულია მხატვრის მოთხრობების („დედის გახსენება“, შალვა ახალციხელი“, „უსათაურო და უმისამართო“, „მხოლოდ შენ ერთს“), ლექსების, ჩანახატების, განცხადებების ხელნაწერები, მადლობის სიგელი, ნახატების ფოტოები, ბიოგრაფიული მონაცემები, მისდამი მიძღვნილი ლექსები და ა. შ.

გამოჩენილი მხატვარი დაიბადა 1945 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1971) და დაიწყო აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა. მის კალამს ეკუთვნის ფირდოუსის 200-მდე ფერწერული ტილო და გრაფიკული ნამუშევარი, მათ შორის: „შაჰ-ნამეს“ დასურათება (1979), „შუშანიკის წამების“ 8 ილუსტრაცია (1983), ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის ფარდის „ოქროს საწმისის“ მოხატვა, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.











1997 წ. სტამბოლში დაიბეჭდა ვაჟა – ფშაველას რჩეული ნაწარმოებების კრებული ზ. ხაბაძის რამდენიმე ილუსტრაციით ("აღაზა ქისტებთან", "ფრიდონი", "ნესტან-დარეჯანი", "ტარიელი", "ვაჟა-ფშაველას პორტრეტი", "ბახტრიონი" და სხვ.). მანვე დაასურათა ზ. გორგილაძის ლექსები და შექსპირის ,,მეფე ლირი“. 1970 წლიდან მხატვარი აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში.





2018 წელს სტამბოლის ქართული კულტურის ძეგლს უსახსოვრა გრაფიკული ნამუშევარი, ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსნიდან“.

გარდაიცვალა 2019 წელს. დასაფლავებულია ბათუმში, ფერიის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მკითხველს ვთავაზობთ პოეტ **ცისანა ანთაძის** ლექსს, რომელიც დაცულია ზ. ხაბაძის პირად ფონდში:

### ზურაბს

კოშკს შიგან ზურაბ ხაბაძე რუსთაველს უმკობს კალამსა,
თვალს მოარიდებს უფლისწულს, მინდიას ეტყვის სალამსა.
ძველი აფსარის კედელთან, ისმენს სულხანის არაკსა,
რისხვით აღვსილი გამსგავსე აბობოქრებულ არაგვსა.
ნისლიმორეული მთა უყვარს, გზა უყვარს თავისთავადი,
აქვს სატევარი ხურჯინი და ციხე-კოშკი თავადის.
ციხე-კოშკთან რომ ქვა მოსჩანს, მოტანილია დედისა,
მთვარე-წიქარა ცალი რქა, აქ მოვა ღამის თევითა.
წაჰკიდებია სულს შიგან, მსუყე ფერები მკათათვის,
ჯიხვის ყანწიდან ალავერდს, მხოლოდ ვეფხვებთან გადადის.
სულის კუნჭულში ხმა ესმის შემოდგომური ქარ-წვიმის,
ბევრი მწერალი დაჯაბნა, კალმად ფრთა ერგო არწივის.
ნატიფი ქალი თუ შეხვდა, თვალს შეაპარებს იჩქითად,
ფიქრით შორს რომ არ გაფრინდეს, არაყს გადაჰკრავს სიჩრითა.
დათვრება ფერებნასვამი, ფუნჯით მოიკლავს შიმშილსა,
კავკასთან უხმობს ამირანს-გმირს უკვდავება მისჯილსა.
წყალნი წავლენ და წამოვლენ, წინ წარეძღვება ექო ქარს,
იტყვიან-შედგა ამ კოშკში, ზურაბ ხაბაძის ეპოქა!. . .

***

***პირად ფონდში დაცულია აგრეთვე მხატვრის ხელნაწერი ჩანახატები, მოთხრობები. ჩვენი ყურადღება მიიქცია უსათაურო ჩანახატმა, რომელსაც უცვლელად ვთავაზობთ მკითხველს:***

ეს მოხდა 1990 წელს როდესაც კომუნისტები ჯერ კიდევ იყვნენ ქვეყნის სათავეში და განაგებდნენ და წარმართავდნენ მკაცობრიობის ბედ-იღბალს, როდესაც გამიჩნდა იდეა იმისა, რომ აჭარაში გახსნილიყო იპოდრომი ვინაიდან ეს კუთხე რასაც ჰქვია აჭარა ისტორიული წყაროები ადასტურებენ, რომ გონიოს მიდამოებში ანტიკურ ხანაში იყო იპოდრომი და იმართებოდა სანახაოებები. დღეს როდესაც ქალაქ ფოთსად კი აქვს იპოდრომი ჩვენთან სპორტის ეს შესანიშნავი სახელობა რატომღაც ყურადღების გარეშე დარჩა, გარდა მაგისა ჩემი გარდაუვალი ვნება ცხენოსნობის მიმართა დღესაც ინტერეს მოკლებული არ არის.

და გადავწყვიტე ჩამეყარა საფუძველი ამ დარგისათვის და ვთხოვე მაშინდელ ხელვაჩაურის გამგებელს ბატონ ნიაზ გოგიტიძეს რათა დახმარება გაეწია ჩემთვის და ფინანსური თანადგომა გამოეჩინა, ბატონი ნიაზი სიხარულით დამთანხმდა გა-

დაერიცხა სტავროპოლის რაიონში სათანადო თანხა და ჩამოგვეყვანა 7 ჯიშიანი ცხენი 2 წმინდაარაბული და 5 ნახევარსისხლიანი ბედაურები.

შეუდექით საქმეს და მამაჩემმა ინათხოვრა საქონლის გადამზიდი მანქანა დავტვირთეთ ბენზინის რამოდენიმე რკინის 50 ლიტრიანი კასრებით და გაუყევით გზას. პირველად ჩავედით ქალაქ ლაბინსკში Сем Савхози ერქვა ერთ ერთ მეცხენეობას და მივადექით ვინმე დოკუჩაევს ჩვენ შევიპირიეთ და ვუთხარით აქითობას ჩამოვივლიდით და გამოვართმევდით რამოდენიმე ცხენს.

ეს იყო დეკემბრის თვეში ღამით Пятигорски-თან ახლოს გაგვიფუჭდა მანქანა რამეა სიცივე ყინავს მე ისეთი მცივანა ვარ ვერ ვიტან სიცივეს მამაჩემი იქნებოდა მაშინ დაახლოებით 60 წლის ჩამოვიდა მანქანიდან და შეძვრა ქვეშ მე კაბინაში ვიჯექი იმდენად გააკეთა რომ სისხამ დილით კიდევ გაფუჭდა ჩამოვედით ძირში და ვედროში დავანთეთ ცეცხლი რათა ცოტათი გავმთბარიყავით, მერე ვირაცის სატვირთო მანქანამ ჩამოიარა გააჩერებინა და მამამ მითხრა შენ გაჰყევი ამ მანქანას მე აქვე გარაჯია ახლოს გავაკეთებინებ და ჩამოვალ სტავროპოლშიო. კარგი მეთქი და წამოვედი ცხენსაშენში. რამოდენიმე საათის შემდეგ ვიფიქრე მოდი ისევ ჩავალ იმ ადგილას სადაც მანქანა გაგვიჩერდა და რომელირაც სამგზავრო მანქანით უკან დავბრუნდები იმ ადგილას როცა მიუახლოვდი შეშის ნამწვავებით ვიცანი მანქანა გავაჩერებინე და ჩამოვედი, მივედი ავტოფარეხთან მამაჩემის მანქანა არარ იდგა და დავბრუნდი ისევ უკან რომ მიუახლოვდი სტავროპოლის ცხენსაშენს ნისლებში თანდათან გამოიკვეთა ძველი საქონლის გადამზიდი მანქანა, ვნახე მამაც და თავისი ჩვეული ხასიათით მითხრა ერთი ამბავი დავანთე ადმინისტრაციასო, თურმე რაღაც საბუთი არ დარჩა საკმარისი და ცხენების არ გვაძლევდნენ, შემდეგ დარწმუნდნენ მამის სიმართლეში რომ ფული უკვე ჩარიცხული იყო.

რაღა ბევრი გავაგრძელო მანქანაზე ამოიყვანეს ორი წმინდა სისხლიანი არაბული ჯიშის კოპლებიანი ულაყი. ერთი ჩემი ფულით ნაყიდი 1500 მანეთად კარაჩაევში ნაყიდი 7 თვიანი კვიცი შავი ფერის ფაშატი და ჩამოუყევით გზას შვიდ სავხოზში იქაც სამი ცხენი დაგვიტვირთეს ნახევარსისხლიანები და წამოვედით სახლში. მერენდელი ამბავი ვრცელია თუ როგორ და რა ბედი ეწიათ მათ. დაიშალა საბჭოთა კავშირი და ცხენები სად დაფორიაქდნენ კაციშვილმა აღარ იცოდა ჩემი ცხენი კი 2 წლის შემდეგ მოკვდა ჩემი თურქეთში ყოფნის დროს რომ ჩამოვედი ისე ავად გამხდარიყო საცოდავი რომ მიწაზე თავი ერტყა და ისე აღსრულებოდა წუთისოფელს ჩემს გარეშე მიაბარეს მიწას. დღეს კი შეუდგები ჩემს მიერ დაკვირვებული ცხენის აღნაგობას ვინძლო ვინმეს გამოადგეს.

## დედის გახსენება
## „პატივი ეც დედასა და მამასა შენსა"

საუბედუროდ, არიან „ადამიანები," ვისთვისაც დედა და სამშობლო მეორე პლანზეა გადაწეული. უფრო მეტიც, ზოგიერთებისათვის მესამე და მეოთხე პლანზეც კია და არა თუ უმცირესთათვის ჰორიზონტის მიმქრალ ნაცრისფერ სივრცეში მთლიანად დაკარგული და შთანთქმული უსულო, უფორმო, უხილავი, ფერივით უწონო ლამის არარაობადაცაა ქცეული.

დღეს „მწიკვლი სულისა ჩემისა განსაწმენდელად" აღმეძრა, რათა სხვებს კი არა, ჩემსავე თავს და უპირველესად იმათ ვაუწყო, ვინც კარგად იცნობდა და ნათესაური კავშირი ჰქონდა მასთან.

იგი გარდაიცვალა 2000 წლის 25 ივნისს. . არც პრესით და არც ტელევიზიით არ განვაცხადე, რადგან დედა ჩემთვის არასოდეს არ მომკვდარა, მას შემდეგ არც ერთი დღე არ გასულა, რომ არ გავიხსენო. ისიც ხშირად მახსენდება, რაც თვითონაც ძალიან უყვარდა. ეს გახლავთ ვაჟა ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობი", განსაკუთრებით ეს სტრიქონები „საბრალო დედაჩემი, მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი".

რამდენი მხატვრული ნაწარმოები შექმნილა დედა-შვილობის უდიდეს სიყვარულზე, რამდენი რამ შეიძლება გავიხსენოთ. დედა მსოფლიოს დიდ ხელოვანთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, პროზაიკოსთა, პოეტებისა თუ ლიტერატორთა შთაგონების წყარო და მუზა გამხდარა. ამასთან გახდება კიდევაც. უნდა გახადონ აუცილებლი ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" სწავლება. განა, არ მოეძებნება ადგილი „საღვთისმეტყველო წიგნებში": დედაშვილობაში შენ-ჩემობა რა არის? " – შვილობაცაა! ყველაფრის თქმა არ არის საჭირო მაგრამ ზოგჯერ ადამიანს თავისდაუნებურად აეხირება რაღაც მიუღებელი, ულოგიკო და არამართებული რამე, რასაც ვერავითარი სოფიზმიც ვერ მოუნახავს მნიშვნელობას. იგი ვერ იცავდა მაჰმადიანურ წეს-ჩვეულებებს, ანუ ლოცვის რიტუალს; არც ეკლესიაში დადიოდა, მაგრამ მაინც ქრისტიანი ქალი იყო ბუნებით. განათლებაც ქრისტიანული ჰქონდა და რაც მთავარია განურჩევლად უყვარდა ჩვენი მეზობელი ბერძნები, სომხები, რუსები და სხვა ეროვნების ადამიანები. ჩვენთან ახლოს გურული თვისტომები ცხოვრობდნენ, გვარად ჯაშები. მათგან ითხოვა ქართული ხალხური ზღაპრების კრებული, უნივერსიტეტის გამოცემა (1937 წელი, ჩიქოვანის რედაქციით) და ყოველ საღამოს მიკითხავდა. მართალია, მე არ მასწავლიდა, „მამაო ჩვენოს" ლოცვას და არც „ყურანს", მაგრამ ქართული ზღაპარი თავისას აკეთებდა, უფრო მეტს აკეთებდა ჩემთვის, ვიდრე რომელიმე რელიგია. განსაკუთრებით უყვარდა ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღის" შესავალი. ხშირად წაიმეორებდა – „სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი, მწუხარის ზეწარი გადაეფარა". სამწუხაროდ ეს მწუხრის ზეწარი დღემდე ვერ გადავიძვრეთ. მღეროდა აკაკისა და გალაქტიონის ლექსებზეც. ხშირად გვიკითხავდა „აბესალომ და ეთერის" ზღაპარსაც. ეთერი ხომ იგივე ღარიბი გლეხის ოჯახში გაზრდილი დედაჩემია, მახსოვს რა უდიდესი სევდით იტყოდა: „მე ბანის ბანად გეძებდი, შენ ტყისა პირას გეძინა". იმ სოფელში, სადაც დედა გაიზარდა, თავისივე ბაღჩა ულამაზესი იყო. განსაკუთრებით ზაფხულში, როცა მარწყვი ჰყაოდა, მწვანე ფოთლებს ქვემოდან, ჯერ კიდევ ახლად შემოსულს, მარგალიტებივით რომ მოუჩანდა მისი მადლიანი ნაყოფი. ერთხელ ჩემი პატარა დისშვილი მიიყვანა დედამ ამ ზღაპრულ ბაღში და აჩვენა ეს ადგილი. ბავშვმა ასე წარმოსთქვა სილამაზისგან – „ეს რაა გოო". „ეს რაა", ხშირად გაიმეორებდა დედა ამავე სიტყვებს, ისე მოეწონა ბავშვსო. რაღა დაგიმალოთ, მეც ათასგვარი მითი, ზღაპარი, თუ ლეგენდა წარმომიდგება თვალწინ ამ მიდამოთა შორის. ნათქვამია „მელას რაც ესიზმრებოდა, ის აგონდებოდა". დე ეგრე იყოს, თუ მელა ვარ, მაგონდებოდეს ქათამი, და თუ ლომი ვარ, მაშინ მზე, რადგან ლომს უყვარს მზე, სითბო და ნებივრად ძილი.

ცხადია, ამ პატარა წერილით მე ვერ ვიტყვი იმას, რითაც შეიძლებოდეს ყველა წვრილმანებისა თუ ხასიათის იმ ნიუანსების გადმოცემა, რითაც ოდნავ მაინც შევახსენებ სხვასაც და საკუთარ თავსაც, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი ქალი, დედა და ადამიანი სრული თავისი მნიშვნელობით – „Фанди ты моя радасть" – ასე მიმართავდნენ მეზობელი რუსები თუ რუსულ ენაზე მოლაპარაკე სხვა ხალხები. ძალიან უყვარდა დანიელ ჭონქაძე. ერთ-ერთ შვილიშვილს მისი სახელიც კი ერქვა. ზოგჯერ იმასაც კი ამოიკვნესებდა „სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო, ჩემი შვილი ზურაბი, კარგად შემინახეო". ამ სტრიქონებსაც სიმღერით წარმოსთქვამდა, მაგრამ იმდენი ნაღველი და სევდა იყო ჩადებული ამ პატარა სტროფში, გეგონებოდათ მართლაც თავისი შვილი ჩაუყოლებიათო ციხის ქონგურებში.

იგი შეყვარებული იყო ქართულ საბავშვო პოეზიაზეც. როცა პატარა ვიყავი, „იავნანასთან" ერთად, შიო მღვიმელის „ობოლსაც" მიმღეროდა და ერთგვარად მტანჯავდა კიდევაც ის აზრი, რატომ ვერ ჩაუკეტია კარი ობოლს. როცა წარმოსთქვამდა – „ღამეა მთვარე ქათქათებს, ფინიალი ჰყავს კარზედა, შინ კი პატარას

შიშისგან, ცრემლი ჩამოსდის თვალზედა". ნუთუ ყველაფერი დავიწყებას უნდა მიეცეს, რატომ თქვა პოეტმა „ვერც კარი ჩაუკეტია, ვერც გამოსულა გარეთა". განა არსებობს ცუდი და კარგი ლექსი?! თუ ის პოეზიაა, მაშინ კარგია, თუ არა, მაშინ რაღა მოგახსენოთ.

საბავშვო პოეზია განა ტოლს უდებს კლასიკურს. „ნეტავ არ ჩაგძინებოდა ჩიტო ნიბლიავ ნარზედა", ან კიდევ „ჭრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა", ანდაც „დავჩეკე წვრილი ბარტყები დამეზრდებიან მალეო", და რავიცი, რამდენი მარგალიტებია გაბნეული ჩვენი მშობლიური პოეზიის საგანძურში.

აშკარაა, მაშინ ისე ვერ ვაფასებდი ამას, როგორც საჭირო იყო, მაგრამ გუმანით ვგრძნობდი მის მადლს, სულის სიმები რომ მერხეოდა. ცრუ მსახურება არ იყო ნამდვილად მისგან, არც ამქვეყნიური ამაოების პესიმიზმს ბადებდა და არც ოპტიმიზმს.

ბიწიერი ცხოვრება აყოვნებს ღვთისკენ მიმავალ გზას, ხოლო ამ ბიწიერებას წინ ყოველთვის ეღობება პოეზია და ხელოვნება. ერთი რამ კია მათეს ქადაგებაში – მთაზე წარმოსთქმული მისგანვე – ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან. დღევანდელი გადასახედიდან გლოვა უფრო იყო დედის სიმღერა, ვიდრე მხიარულება და განცხრომა და თუ ეგრეა, ნუგეშცემულნი უფრო ვიქნებით, ვიდრე შეჩვენებულნი. 115-ე ფსალმუნში 773-ე გვერდზე სწერია, „რარიგ ატკბობს ჩემს სასას შენი სიტყვები, თაფლზე ტკბილია ჩემი პირისთვის!" ეს გახლავთ 103-ე ფსალმუნი, მაშინ ჩემთვის ზედმისწევნით საჭირო იყო ის ტკბილხმოვანი ლექსები თუ ქართული ზეპირსიტყვიერება, რომლებსაც ბავშვის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში უპირველესი ადგილი ეჭირა, დღესაც დიდი ზემოქმედების ძალა აქვს, მაგრამ რელიგია შეენაცვლა ქართულ ფოლკლორს და მასსივე გაბნეული ქრისტიანული ტკბილხმოვანება ცალკე შესწავლას მოითხოვს ჩემგან – წმინდა მამების დახმარებით.

მაშინ ჩემთვის ცოტათი გაუგებარი იყო, თუ რატომ განიცადა წარმართულმა ლეგენდებმა, ასევე მითებმა ქრისტიანული ზეგავლენა. აქ არ ვაპირებ იმის თქმას, რას ნიშნავს „წყალ=წისქვილ მიწას ვფიცავარ" (აბესალომ და ეთერი): ეს ცალკე ფოლკლორული კვლევის პრობლემაა, მაგრამ ისიც კი გაუგებარი არ დარჩა თუ რატომ განიცადა ქრისტიანული ზეგავლენა, როცა წარმოთქვამდა დედა:

„ეთერი ტყვილად გარჯილა, ვარ საიქიოს მავალი,
უფალსა უბრძანებია, გზა ვიწრო მარტოდ სავალი".

რაა საკვირველი. ქრისტიანობამ გაამდიდრა ქართული ზეპირსიტყვიერება. ყველაფერი წარმავალია, ხელოვნებაში სასრული უსასრულოა, ან უნდა გახადო უსასრულო. ბევრი რამ გადავაფასე, მაგრამ ძირითადი კონცეფცია მაინც ჯერ კიდევ ვერ ჩამოვაყალიბე. არის ასეთი ამერიკელი მწერალი – ვონე გუტი, რომელიც ასე აღწერს თავის რომანში „სასაკლაო № 5": უფალთან მივიდა მლოცველი და უთხრა, უფალო, რა იყო მიზანი ადამინის გაჩენისა შენთვის? როს მიუსაჯე ტანჯვა, ვაება, სიკეთე, ბოროტება და ბოლოს სიკვდილი. ღმერთმა უპასუხა, მე შენ ეგ ყველაფერი მოგეცი და შენთვის მე მომინდია არჩევანი, შენ თვითონ გაეცი პასუხი, თუ რატომ. ძალიან რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვიტყოდი ურთულესად. ვინ უწყის, რისთვის გააჩინა უფალმა ეს სამყარო, რატომ დაადგინა უსამართლობა და სამართალი, ბოროტი და კეთილი, ცოცხალი და მკვდარი, დღე და ღამე, დედა და შვილობა.

**პრესის მასალები**
**დიალოგი ზვიად გამსახურდიასთან**
გაზეთი „ახალი ერა“ – 25.05.2001 წელი.
**(მასალა მოიძია და მოამზადა ელგუჯა ჩაგანავამ)**

ამ ინტერვიუში ბევრი რამ მენიშნა, მაშინ საქართველო ღალატით იყო ავად, არც დღეს შეცვლილა ვითარება.

1991 წლის 21 მაისს საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ზვიად გამსახურდია, რადიოში სასაუბროდ პირდაპირ ეთერში მიიწვიეს. მას გადაცემა „ მეათე სტუდიის“ წამყვანი, ჟურნალისტი მზია ბაქრაძე მასპინძლობდა. მკითხველს ვთავაზობთ ამ ინტერვიუს (ე.ჩ.):

**პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში პირველად რა პრობლემების გადაწყვეტას შეუდგებოდით და რა კანონს მიიღებდით?**

მივიღებ იმ კანონს, რომელიც უკვე მზადების პროცესშია. კერძოდ, კანონს პოლიტიკური პარტიების შესახებ, პრესის შესახებ. როდესაც განხილული იქნება ეს პროექტები, საჯაროობის სრული დაცვით, მოსახლეობის აზრის სრული გათვალისწინებით, მაშინ ამ კანონებს მივიღებთ.

**ძალიან ხშირად იგზავნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში პროტესტის წერილები. უფრო ხშირად სამმაჩაბლოში არსებული რთული მდგომარეობის გამო, იქიდან კი რეაქცია ან პასუხი არ არის?**

ჩვენ არა ვართ გაეროს წევრი. გაერო ჩვენ კვლავ მიგვიჩნევს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გეოგრაფიულ პროვინციად, მაგრამ ამ წერილებს მაინც დიდი საპროპაგანდო მნიშვნელობა აქვს. ეს ყველაფერი მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას იპყრობს, ამიტომ მაინც აქვს შედეგი. მე ვთვლი, რომ ამერიკის კონგრესის ის დიდი გააქტიურება ჩვენს სასარგებლოდ, რეზოლუციების მიღება ჩვენს მხარდასაჭერად – ამითაც არის განპირობებული. ადრე თუ გვიან გავხდებით გაეროს წევრი.

**- თქვენ იცით, რომ ედუარდ შევარდნაძე აგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას და ფართო კონტაქტები აქვს უცხოეთის წამყვან პოლიტიკოსებთან. მისი ამასწინდელი ვიზიტი ამერიკაში, ჯორჯ ბუშთან ყველასათვის ცნობილია. რა როლი შეუძლია შეასრულოს ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში?**

- მას შეუძლია ითამაშოს დადებითი როლი და ეს ყოველივე მის სინდისზეა დამოკიდებული, სინდისზე! სამწუხაროდ მან ხმა არ მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს შეკითხვა მე მას პირადად დაუსვი და მისგან დუმილი მივიღე, თუმცა კი აცხადებს, რომ მაინც რაღაცით ცდილობს დაეხმაროს საქართველოს, მაგრამ რეალურ შედეგებს ჯერჯერობით ვერ ვხედავ.

**- როკის გვირაბით მან დაგვასაჩუქრა. თქვენ, რომ გიკიჟინებენ ოპონენტები სამაჩაბლოს პრობლემას, ძირისძირი ამ საკითხის იმ დროიდან მოდის?**

- საქმეც ის არის, რომ ე.წ ჩემი ოპონენტები, რომლებიც ყოველდღე გამოდიან ტელევიზიით და სამაჩაბლოს დღევანდელ მდგომარეობას მე მაბრალებენ, ყველანი იმ პიროვნების ემისრები არიან. ისინი მალავენ, რომ ფაქტიურად მან გაიყვანა როკის გვირაბი და შექმნა იმის საფუძვლები, რომ დღეს სამაჩაბლოში ასეთი მდგომარეობა იყოს. ამით ისინი ავლენენ თავიანთ თავს, რომ არიან კრემლის და ხსენებული პიროვნების ემისრები.

- რა მდგომარეობაა ამჟამად სამაჩაბლოში?

- ეს დამოკიდებულია ცენტრთან ჩვენი მოლაპარაკების დაწყებაზე. ცენტრის ძირითადი იარაღი ჩვენს წინააღმდეგ არის სამაჩაბლო. ამით მოსკოვს სურს, რომ გვაიძულოს გადავდგათ ისეთი ნაბიჯები, რაც ჩვენ არ გვინდა. მაგალითად ხელი მოგვაწერინოს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. მაგრამ საბოლოოდ მათ ეს იმედი გადაეწურათ. ახლა უკვე ისეთი ექსცესები აღარ ხდება, თუმცა კი არის ცალკეული უსიამოვნო ამბები. დღეს მომივიდა სოფელ ერედვიდან ცნობა, რომ ერთი პიროვნება, ჩვენი კარგი მეგობარი დაიკარგა, ერთი

კიდევ მკვდარი იპოვეს. თუმცა ფართომასშტაბიანი ექსცესები აღარ არის. სამმხრივი კომისიაა შექმნილი, იგი არჩევნების შემდეგ ამოქმედდება და იმედი გვაქვს, რომ რაღაცას მივაღწევთ სტაბილიზაციის თვალსაზრისით. იურიდიულად სამაჩაბლოს ჩამოშორება ჩვენგან არავის შეუძლია. ეს საკითხი (სტაბილიზაციის თვალსაზრისით) გადაწყდება ჩემი გორბაჩოვთან შეხვედრის შემდეგ.

**- ბატონო ზვიად! ალბათ იგეგმება კრემლში შეხვედრა ან გორბაჩოვთან, ან მის მაგივრად ვინც იქნება... აუცილებლად დადგება ქონების გაყოფის საკითხი. ისინი კაპიკ-კაპიკ დაგვითვლიან ყველაფერს. ჩვენ თუ გვაქვს დათვლილი (დაახლოებით მაინც) გასაბჭოების შემდეგ საკავშირო ბიუჯეტში რა თანხები შედიოდა საქართველოდან?**

- რაც შეეხება შეხვედრას, სწორედ დღეს მივიღე გორბაჩოვის ტელეგრამა – მოსკოვში მიწვევისა 24 რიცხვში, მაგრამ მე უარი შევუთვალე, ვინაიდან საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს და ამჟამად არ შემიძლია ჩასვლა. გარდა ამისა, ერთგვარი დიპლომატიური მხარეც არის, ჩემი იქ ჩასვლა ახლა არ იქნება გამართლებული. შეხვედრა მოხდება არჩევნების შემდეგ. იქ იქნება სწორედ პრაქტიკულ საკითხებზე საუბარი. დიახ, ჩვენ გამოვლილი გვაქვს და ვიცით რა ზარალი ნახა საქართველომ კრემლის კაბალური პოლიტიკის შედეგად. მისი კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკის გამო და ამას ყველაფერს ჩვენ წავუყენებთ მათ და გვექნება საქმიანი ლაპარაკი ქონების გაყოფაზე.

- ვალში არ დავრჩებით მე მგონი...

- ნამდვილად არ დავრჩებით, ჩვენ ძალიან საქმიანი, გამოცდილი ეკონომისტები გვყავს, რომლებიც სათანადოდ მოაბამენ ამ საქმეს თავს.

- რა აზრის ბრძანდებით ე.წ. ცხრათა შეთანხმებაზე, მოჰყვება კონცეფციის შემუშავება, რომლის მიხედვითაც 6 რესპუბლიკა, რომლებიც ხელს აწერენ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, ცხადდება უცხო სახელმწიფოებად. ეს კი ფაქტიურად ჩვენს ცნობას ნიშნავს.. ცვალებადია კრემლის პოლიტიკა.

- რუსულ ჟურნალში „ნოვოე ვრემია“ ამას წინ დაიბეჭდა თენგიზ გულავას მორიგი არასასიამოვნო წერილი: „თავისუფლება სრულწლოვან ასაკამდე“, რომელიც კრემლის პოზიციით არის დაწერილი, ვიდრე საქართველოს კეთილმოსურნე ადამიანისა, მითუმეტეს, ემიგრაციაში მყოფ ქართველს არ შეშვენის მსგავსი პოზიციის დაფიქსირება ახლადფეხადგმული დემოკრატიული, თავისუფალი საქართველოს მიმართ... იგი ე.წ ოპოზიციის აზრს იზიარებს.

- ესენი არიან კრემლის პროპაგანდისტური მანქანის ჭანჭიკები: გუდავები, კონგრესები, მხედრიონის წარმომადგენლები და სხვა..

- ჩვენი ღრმა რწმენით, ესენი აშკარა მართულნი არიან. ყველა სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ასეთ პიროვნებებს პასუხისგებაში მისცემდნენ სამშობლოს ღალატისთვის. ადამიანი, რომელიც მიზნად დაისახავს თავისი ერისთვის სახელის გატეხვას საზღვარგარეთ და თავისი ერის ინტერესებისთვის ზიანის მიყენებას, იგი ვერ ჩაითვლება სამშობლოს ერთგულად, ამას ერი თავად განსჯის. ჩვენ ზედმეტად დემოკრატიული სახელმწიფო ვართ და სამართლებრივ შეფასებას არ ვაძლევთ მსგავს გამოხდომებს. პასუხის გაცემა ხდება პრესის თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით. ასეთ მძიმე დროში, როდესაც ქვეყანას მხარში ამოდგომა სჭირდება, არავის ეპატიება სახელის გატეხვა ერისთვის.

- ბატონო ზვიად, გვირეკავენ რადიომსმენელები. აზერბაიჯანელი, სომეხი და ბერძენი ერის წარმომადგენლები გვეკითხებიან; „ბატონო ზვიად, ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს კანდიდატურას და ამით თავისუფალ საქართველოსაც. როგორი იქნება არქართული მოსახლეობის მდგომარეობა თავისუფალ საქართველოში?

- ჩვენი ხალხი, ქართველებიც და არაქართველი მოსახლეობაც, გაცილებით უკეთ იცხოვრებს თავისუფალ საქართველოში, ვიდრე ცხოვრობდა კომუნისტურ საქართველოში, ყოველგვარი თვალსაზრისით. უფლების თვალსაზრისითაც. ჩვენი პრინციპი არის ეროვ-

ნულ უმცირესობათა პატივისცემა. ჩვენ დავაკანონებთ ამ უფლებებს. მე ძალიან ვთხოვ არაქართველ მოსახლეობას, ნუ უჯერებენ ჩემი მოწინააღმდეგეების მიერ გავრცელებულ ხმებს, ჭორებს, თითქოს ჩვენ რაიმე უარყოფითი გეგმები გვაქვს. ჩვენ, რომ ასეთი გეგმები გვქონოდა, განვახორციელებდით მაშინვე, როგორც კი მოვედით ხელისუფლებაში – გასული წლის 28 ოქტომბერს. გამოჩნდებოდა ეს ჩვენს პოლიტიკაში.. ვთხოვ მათ, იყვნენ მშვიდად და იმედიანად.

**- რადიომსმენელი რიტა თაქთაქიშვილი გვეკითხება კონგრესის არჩევის თაობაზე. ყველა ამბობს: ხმა არ მიგვიცია, საიდან მოგროვდა ამდენი ხმებიო, შემოწმდა თუ არა ეს სიები?**

დიახ, შემოწმდა. ეს იყო ყალბი სიები. არავითარი არჩევანი არ ჩატარებულა, კონგრესი არავის არ აურჩევია. უცხოელი მეთვალყურეები არ ესწრებოდნენ, არჩევნები გრძელდებოდა რამოდენიმე დღე, ეს ცნობილია საყოველთაოდ..

ბატონო ზვიად, ამ რამოდენიმე წუთის წინ, რადიომსმენელებს მერაბ კოსტავას ხმა მოვასმენინეთ. არ შეიძლებოდა დღეს არ გაგვეხსენებინა თქვენი ერთგული მეგობარი, ქრისტესმიერი ძმა და თანამებრძოლი...

მერაბ კოსტავა ძალიან დააკლდა ჩვენს მოძრაობას, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქართველოს დააკლდა... საქართველო ალბათ სხვა იქნებოდა, დღეს მერაბი, რომ გვყოლოდა გვერდით. დიდი გოდოლი შემუსრა მტერმა, დიდი გოდოლი, რომელიც იყო მართლა დიდი ბურჯი და იმედი ჩვენი! ეს საოცარი შემართების კაცი ძველი ქართველი გმირების დღევანდელი განსახიერებაა.

რას ჰპირდებით ქართველ ხალხს თქვენი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში?

მე მოკლედ ვიტყვი: ქართველ ერს ვპირდები თავისუფლებას!

უღრმესი მადლობა „მეათე სტუდიაში" მობრძანებისთვის.

გმადლობ თქვენც.

- ეს დიალოგი ბატონ ზვიად გამსახურდიასთან 21 მაისს შედგა, ხოლო 1991 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა იგი საქართველოს პრეზიდენტად აირჩია.

- ბატონ ზვიად გამსახურდიას ამ დიალოგმა სინანულის და გულის ტკივილის გრძნობა გააჩინა ჩემში, არა მარტო პირველი პრეზიდენტის უკუღმართი ბედის გამო, არამედ ქართველი ხალხის მდგომარეობის გამო. დღეს ჩვენი სამშობლო კვნესის და მას ყველა ქართველის მარჯვენა სჭირდება. მოდით ვინც პატრიოტულ საქმეს აკეთებს ხელს ნუ ვკრავთ. მის მოქმედებას, მის ნაბიჯებს, სურვილებს ქვეყნის საკეთილდღეოდ. სალაქლაქოდ ნუ გავხდით.

ქართველმა ერმა გაჩენის დღიდან კაცთმოყვარე, ურთიერთსიყვარულის გრძნობით იარა საუკუნეების მანძილზე და ამ გამოცდილმა, მძლავრმა „იარაღმა", თვისებამ შეგვინარჩუნა მიწა-წყალი, ენა, ღირსება და სხვასთან შედარებით ბევრ თვისებებში გაგვხადა გამორჩეული. ყველა ქართველი ვალდებულია იცოდეს მისი ქვეყნის ისტორია, რომლის უმეტესობა ომების, ბრძოლის გზაა. ეს გზა უმეტესად ღალატით, გაუტანლობით და შუღლითაა გაჟღენთილი. ღალატი იყო ყოველთვის მთავარი მიზეზი წარუმატებლობის და მარცხის. თავის არსებობის მანძილზე მასში ტრაგედია უფრო მეტია, ვიდრე სიხარული. დღესაც თითის ტკივილს უფრო განვიცდით, ვიდრე გულის.

მინდა ყველას მივმართო ნუ დავიშლებით ყველა თავისთვის, ვიცნოთ ერთმანეთი, დავინახოთ და შევიგნოთ, რომ ჩვენს წინ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ჯიში – ქართველი დგას. ნუ შევხედავთ ცივი, არაფრისმთქმელი თვალებით, ჩვენ ეს არ გვჩვევია. ნუ დავჩაგრავთ, ნუ დავაბეჩავებთ, ნუ წავართმევთ სიამაყეს, ღირსებას. ნუ ვაიძულებთ დაივიწყოს, ხელი ჩაიქნიოს მამა-პაპათა ტრადიციებზე.

ჩავკიდოთ ხელი – ხელს, დავტკბეთ ჩვენი მიწა-წყლის მშვენებით, ჩვენი მამულის სილამაზით და ნიჭით. გვიხაროდეს ერთმანეთის წარმატება, მათი სიმრავლე, გვიყვარდეს ქართველი, ქართული ოჯახების სიმრავლე, მთაში თუ ბარში და გვჯეროდეს მომავლის.

## საქართველო XX საუკუნის დასაწყისის აზერბაიჯანული პრესის ფურცლებზე



**Тифлисъ.** Окропаридзе и Евсѣевъ, по обвиненію въ изготовленіи бомбъ, военно-полевымъ судомъ приговорены на восемь лѣтъ въ каторгу. Въ селеніи Хулугумо, ахалкалакскаго уѣзда, ограблена армяно-католическая церковь.

**Зугдиды.** Близъ города разбойники напали на стражниковъ, несшихъ податныя деньги; въ перестрѣлкѣ раненъ стражникъ и убиты шесть разбойниковъ.

გაზეთი „კასპი“ — **1907 წელი**



**Тифлисъ.** Вечеромъ на Хановской улицѣ во время обычнаго движенія 12 вооруженныхъ окружили сына милліонера Арамянца, гимназиста 8 класса мѣстной гимназіи, усадили въ фаэтонъ и увезли въ плѣнъ неизвѣстно куда, требуя громаднаго выкупа; родители плѣненнаго сейчасъ въ Петербургѣ.

გაზეთი „კასპი“ — **17.01.1907 წელი**



**Тифлисъ.** Выборы уполномоченныхъ отъ крестьянъ въ участковыхъ съѣздахъ мусульманскихъ районовъ Закавказья 12 янв. не состоялись и отложены до окончанія праздника Курбанъ-Байрама.

**Тифлисъ.** Поиски похищеннаго гимназиста Арамянца пока безрезультатны; намѣстникъ приказалъ принять энергичныя мѣры къ его розысканію.

გაზეთი „კასპი“ – **19.01.1907 წელი**



**Тифлисъ.** Поиски плѣненнаго гимназиста Арамьянца безрезультатны; въ контору Арамьянца подброшено письмо отъ плѣненнаго, очевидно, писанное подъ диктовку: Арамьянцъ проситъ отца скорѣе выкупить, не прибѣгая къ содѣйствію полиціи, и увѣдомляетъ, что пользуется хорошимъ уходомъ.

გაზეთი „კასპი“ – **20.01.1907 წელი**



**Кавказъ.**

**Тифлисъ.** Гимназистъ Арамянцъ распоряженіемъ генералъ-губернатора заключенъ въ тюрьму на 3 мѣсяца за ношеніе оружія; слѣдствіе по дѣлу о захватѣ его въ плѣнъ съ цѣлью полученія отъ отца выкупа въ 50.000 р. производитъ судебный слѣдователь Лефевръ; показанія Арамянца сбивчивы.

გაზეთი „კასპი“ – **30.01.1907 წელი**

**Правленіе Бакинскаго Грузинскаго Общества**

Симъ извѣщаетъ всѣхъ членовъ Общества, имѣющихъ право рѣшающаго голоса по §§ 10 и 16 устава, что несостоявшееся собраніе 8 Апрѣля, **назначено на воскресенье, 15-е Апрѣля,** въ 11ч. утра, и будетъ считаться законнымъ. Принимаются членскіе взносы въ конторѣ Общества. (Думская площадь, домъ Ашумова).

გაზეთი „კასპი“ – **13.04.1907** წელი

**Кутаисъ.**

10-го августа въ кут. окр. судѣ должно было слушаться интересное дѣло о кн. Д. М., обвиняемомъ въ нанесеніи пощечины приставу центральнаго участка г. Кутаиса г. М. при исполненіи имъ своихъ служебныхъ обязанностей.

За „неврученіемъ повѣстки" однако, дѣло это отложено на неопредѣленный срокъ.

Сущность дѣла—въ слѣдующемъ:

Въ концѣ декабря м. г. приставъ М. разгонялъ публику, стоявшую близъ ресторана „Развлеченіе", гдѣ въ это время произошла драка.

Неожиданно изъ толпы выдѣлился кн. Д. М., съ размаху ударилъ пристава кулакомъ по лицу, побѣжалъ и на фаэтонѣ скрылся.

На предварительномъ слѣдствіи приставъ объяснилъ, что кн. М. нанесъ ему оскорбленіе безъ всякой видимой причины, изъ мести за принятыя полгода тому назадъ приставомъ мѣры къ прекращенію безобразій, которыя были учинены кн. Д.

გაზეთი „ბაკინსკაია იზვესტია“ – **20.08.1904** წელი

**Культура чая.** По распоряженію министра земледѣлія и государственныхъ имуществъ, спеціалистами былъ произведенъ опытъ надъ почвой въ кутаисской губ. и батумской обл. для выясненія, въ какихъ частяхъ ихъ удобнѣе культивировать чайный кустъ. Опытъ показалъ, что для чайныхъ плантацій наиболѣе пригодными оказались красноземъ озургетскаго уѣзда, кутаисской губ., и нѣкоторыя мѣста батумскаго и артвинскаго округовъ. („Нов. Об.“).

გაზეთი „ბაკინსკაია იზვესტია“ — **22.08.1904 წელი**

Въ исполненіе Высочайшаго манифеста, 11 августа, изъ кутаисскаго тюремнаго замка выпущено на свободу около одной четверти уголовныхъ и административно-политическихъ арестантовъ, т. е. приблизительно около 100 чел. изъ 400.

**Ленкорань.**

Въ Ленкорани съ 1 сентября на-

გაზეთი „ბაკინსკაია იზვესტია“ — **29.08.1904 წელი**

**Изъ Батума.** пишутъ „Нов. Об.“: „Сегодня, 13 октября, около 8 час. утра, приставъ V полицейскаго уч. г. Филимоновъ, обходя свой участокъ, подошелъ къ одному изъ выгружающихся пароходовъ. Въ то время, когда приставъ разговаривалъ съ рабочими, внезапно раздался выстрѣлъ, которымъ г. Филимоновъ раненъ въ спину. Злоумышленникъ пустился бѣжать и успѣлъ скрыться.

გაზეთი „ბაკინსკაია იზვესტია“ — **19.10.1904 წელი**



Батумъ.. Батумскій житель Мамедъ-бекъ Абашидзе возбудилъ предъ намѣстникомъ ходатайство о разрѣшеніи ему изданія въ Батумѣ ежедневной татарской газеты подъ названіемъ „Вѣстникъ". („Н. О.").

Тифлисъ. По словамъ „Кавк.", редакторъ-издатель татарской газеты „Шарки-Русъ" Мамедъ ага Шахтахтинскій, по измѣнившимся обстоятельствамъ, изданіе своей газеты вновь перенесъ изъ Баку въ Тифлисъ.

**გაზეთი „ბაქო- 26.07.1905 წელი**



Гурія. Изъ Гуріи сообщаютъ въ газ. „Могзаури", что ни въ одномъ изъ мѣстныхъ учебныхъ заведеній занятія еще не начинались. („Нов. Обозр.")

Горійскій уѣздъ. Комиссія по взысканію съ крестьянъ поземельнаго налога въ пользу землевладѣльцевъ за пользованіе землей, послѣ 2-недѣльнаго пребыванія въ сел. Карели, прибыла на ст. Гоми, закавк. жел. дор. Туда же подошли казаки и пѣхотная часть, сопровождающіе комиссію, которая здѣсь пробудетъ около недѣли, а затѣмъ переѣдетъ въ Боржомъ и потомъ въ Сапалавиндо. („Нов. Обозр.")

Гурія. (Священникъ-чернорабочій). Сельскіе священники во многихъ мѣстахъ тифлисской и кутаисской губ. въ послѣднее время совершенно лишились дохода отъ прихожанъ. Цагверскій священникъ В. Х. недавно принятъ на жел. дорогу въ качествѣ поденнаго рабочаго. („Нов. Обозр.")



# Открытие нефтепровода.

12 марта, в день 4-ой годовщины Великой Российской Революции, в 16 ч. (4 ч. дня) 10 мин. торжественно открыт нефтепровод Баку—Тифлис—Батум.

Это новое торжество III Интернационала — на этот раз экономическое, новое торжество коммунистической революции в Закавказье.

Нефть — эта аппетитная, жирная „кость", из-за которой империалистические собаки всего мира готовы всегда перегрызть друг другу глотку, — связывает прочным действенным союзом народы и государства, над которыми развевается красное знамя Советов.

В то время как красные повстанцы и их защитница Красная Армия победоносно продвигается к Батуму, чтобы воссоединить под красным Советским знаменем все Закавказье, — Советский нефтепровод, открытый 12 марта в Баку, соединил уже красный Баку, красный Тифлис и не сегодня завтра красный Батум.

Отныне мы можем снабжать в достаточной мере нефтью и ее продуктами изголодавшуюся по ним Советскую Грузию и заговорить определенно с буржуазными государствами, которым до зарезу нужна нефть:

— Извольте, керосин и др. нефтепродукты в Батуме; дайте нужные нам товары и мы отпустим вам соответствующее количество.

Это „столь близкое и столь возможное счастье" несомненно заставит буржуазные правительства Англии, Франции, Италии и др. быть сговорчивей.

Нет сомнения, что скоро по вновь открытому нефтепроводу хлынет в Батум „товарообмен" керосин, который двинет нам обратно из батумского порта бесконечные эшелоны необходимых нам заграничных товаров.

Это должны учесть бакинские пролетарии и еще больше налечь на буры и желонки, на кубы нефтеперегонных заводов.

**გაზეთი „ბაქო- 23.09.1905 წელი** **გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი" — 14.03.1921 წელი**



Выносъ тѣла безвременно скончавшагося Бакинскаго губернатора

КН. МИХАИЛА АЛЕКСАНДРОВИЧА

НАКАШИДЗЕ,

въ Александро-Невскій соборъ послѣдуетъ 13 сего мая въ 10 час. утра изъ квартиры усопшаго и послѣ заупокойной литургіи и отпѣванія состоится перенесеніе тѣла въ Николаевскій соборъ (Крѣпость) для погребенія въ соборѣ, о чемъ вдова покойнаго княгиня АДЕЛАИДА ЛЬВОВНА и братья кн. Иванъ и Георгій Александровичи, убитые горемъ, извѣщаютъ лицъ, желающихъ почтить память усопшаго.

Вмѣстѣ съ покойнымъ княземъ Михаиломъ Александровичемъ будетъ погребенъ и тѣлохранитель его дворянинъ Захарій Такайшвили, погибшій одновременно съ княземъ, находясь на своемъ посту.

**გაზეთი „კასპი“ – 13.05.1905 წელი**

# НЕКРОЛОГЪ.

Безвременно погибшій отъ рукъ злодѣевъ бак. губернаторъ тайный совѣт. князь Михаилъ Александровичъ Накашидзе происходилъ изъ гурійскихъ князей Кутаис. губ.; родился въ 1844 г. въ своемъ имѣніи, въ гор. Озургеты, и первоначальное образованіе получилъ въ Кутаисской мужской гимназіи. Затѣмъ по окончаніи курса наукъ въ С.-Петербургскомъ университетѣ по юридическому факультету со степенью кандидата правъ, приказомъ по управленію Его Высочества Намѣстника Кавказскаго въ апрѣлѣ 1869 г. былъ назначенъ кандидатомъ на должность помощника мирового судьи при бакинскомъ окружномъ судѣ, а въ августѣ того же года былъ назначенъ помощникомъ ленкоранскаго мирового судьи. Въ февралѣ 1871 г. былъ назначенъ шемахинскимъ мировымъ судьею, а въ маѣ того-же года былъ переведенъ ленкоранскимъ мировымъ судьей. Въ декабрѣ 1873 г. былъ назначенъ членомъ бакинскаго окружнаго суда. Высочайшимъ приказомъ Намѣстникомъ Кавказскимъ въ августѣ 1880 г. уволенъ отъ должности члена бакинскаго окружнаго суда, а въ сентябрѣ того-же года былъ назначенъ правителемъ канцеляріи начальника дагестанской области и зачисленъ постояннымъ членомъ въ дагестанское областное по воинской повинности присутствіе; въ 1881 году князю Высочайше разрѣшено было пользоваться преимуществами, которыя присвоены были Кавказскимъ стипендіатомъ до изданія закона 12 ноября 1868 г. Въ апрѣлѣ 1883 г. былъ командированъ въ Гунибъ для обревизованія дѣлопроизводства управленія начальника средняго Дагестана. Въ іюнѣ 1883 г. былъ назначенъ членомъ особой комиссіи въ Темиръ-Ханъ-Шурѣ для пересмотра устава о воинской повинности 1874 года по случаю предстоявшаго введенія всеобщей воинской повинности въ Закавказьи и между инородцами сѣвернаго Кавказа. Затѣмъ, по случаю преобразованія военно-народныхъ управленій на Кавказѣ и упраздненія управленія военнаго начальника южнаго отдѣла, сословно-поземельной комиссіи въ южномъ Дагестанѣ и дербентскаго градоначальства, былъ командированъ въ Дербентъ для ознакомленія съ дѣлами упраздненныхъ учрежденій и распредѣленія нерѣшенныхъ дѣлъ и для подробнаго обзора дербентской городской полиціи. Въ августѣ 1885 г. за отличіе по службѣ былъ произведенъ въ статскіе совѣтники. Въ 1887 г. былъ назначенъ членомъ въ особое временное присутствіе для разработки вопросовъ о раскладкѣ и порядкѣ взиманія вновь установленнаго особаго денежнаго сбора съ мусульманскаго населенія Дагестанской области, взамѣнъ отбыванія воинской повинности натурой. Въ сентябрѣ и октябрѣ 1888 г., по распоряженію высшаго начальства, исправлялъ должность военнаго губернатора Дагестантской области и въ августѣ того-же года былъ произведенъ, за отличіе по службѣ, въ дѣйствительные статскіе совѣтники. Въ ноябрѣ 1892 г. по Высочайшему повелѣнію былъ назначенъ Эриванскимъ вице-губерн. и неоднократно въ разное время исправлялъ должность эриванскаго губернатора. Въ февралѣ 1894 г. былъ назначенъ со стороны русскаго правительства комиссаромъ для передачи персидскому правительству уступленнаго русскимъ правительствомъ по кондиціи 27 мая 1893 г. Абасъ-Абадскаго участка земли на правомъ берегу рѣки Аракса, противъ бывшей крѣпости Абасъ-Абадъ. За участіе во всеобщей народной переписи въ качествѣ члена эриванской губернской переписной комиссіи ему объявлена Высочайшая Его Императорскаго Величества благодарность. Въ октябрѣ 1898 г. приказомъ главноначальствующаго назначенъ былъ членомъ особой комиссіи, образованной для пересмотра дѣйствующихъ постановленій о подсудности народныхъ судовъ на Кавказѣ и для изысканія мѣръ къ искорененію въ краѣ разбойничества и затѣмъ былъ назначенъ членомъ особой комиссіи для всесторонняго разсмотрѣнія проектируемыхъ въ Кавказскомъ краѣ нововведеній по судоустройству и судопроизводству. По телеграммѣ главноначальствующаго гражданскою частью на Кавказѣ отъ 1-го августа 1903 г. былъ командированъ въ гор. Александрополь для разслѣдованія безпорядковъ, произведенныхъ тамъ сборищемъ въ нѣсколько тысячъ человѣкъ 29 іюля 1903 г. во время пребыванія тамъ католикоса всѣхъ армянъ. Согласно Высочайшему повелѣнію отъ 12 Іюля 1903 г. на покойнаго былъ возложенъ пріемъ изъ вѣдѣнія армяно-григорянскаго духовенства церковныхъ имуществъ и капиталовъ, принадлежащихъ эчміадзинскому монастырю и др. находящимся въ Эчміадзинѣ духовнымъ установленіямъ армяно-григорянской церкви.

Такое же порученіе возложено было на покойнаго въ главныхъ пунктахъ губерніи и городовъ Эривани и Александрополя. Въ январѣ 1904 г. былъ назначенъ въ комиссію по разработкѣ реформы поселянскаго общественнаго управленія и суда въ предѣлахъ Закавказскаго края. Именнымъ Его Императорскаго Величества Высочайшимъ указомъ, даннымъ правит. сенату 27 февраля 1904 г., покойный былъ назначенъ бакинскимъ губернаторомъ. Высочайшимъ приказомъ отъ 6 декабря 1904 г. за отличіе по службѣ былъ произведенъ въ тайные совѣтники. Покойному было 61 г. отъ роду и имѣлъ ордена: св. Станислава 1 и 2 ст., св. Владимира 3 ст., св. Анны 2 ст.; серебряную медаль въ память въ Бозѣ почившаго Императора Александра III; персидскіе ордена льва и солнца 1 и 3 ст. и бухарская золотая звѣзда 1 ст. съ бриллiантовыми украшеніями.

Покойный за все время своей служ бы вездѣ снискалъ себѣ уваженіе своихъ сослуживцевъ, что доказываетъ полученіе многочисленныхъ телеграммъ съ выраженіемъ соболѣзнованія вдовой покойнаго княгиней Аделаидой Львовной со всѣхъ концовъ Кавказа и Россіи.

По оставленному имъ завѣщанію, покойный будетъ погребенъ въ старомъ Николаевскомъ соборѣ, находящемся въ крѣпости.

Несмотря на шестидесятилѣтній свой возрастъ покойный сохранилъ бодрость и былъ совершенно здоровъ.

Миръ праху твоему, неутомимый труженникъ!

Да будетъ тебѣ земля пухомъ!

Гр. Джинорядзе.

**გაზეთი „კასპი" — 13.05.1905 წელი**

## საბჭოთა ჟამის ,,ეროვნული გამონათებები“

ამ რუბრიკით გთავაზობთ 1938 წლის სასკოლო რვეულის საინტერესო გარეკანის გამოსახულებას:



გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?..

ილია

(28/I, 1861 წ.)

ი. ჭავჭავაძე
(1837—1907)

რვეული

თვის
სკოლის ჯგუფის
მოწაფე

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა
1938 წ.

ფასი 10 კაპ.

აჭარის საარქივო სამმართველო

გაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან.
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან...

ამბობენ, თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობენ,—
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!

14 ივლისი, 1883 წ.

ბათუმი, ადგ. მრეწვ. სახ. კომისარიატის სტამბა-ლითოგრაფია
დაკვეთის № 3179. მთავ. რწმ. № ე 1413. ტირ. 195.552.

***

## დროის პალიმფსესტები

წარმოგიდგენთ ბათუმში, აბაშიძისა და ბარათაშვილის ქუჩების კვეთაში დროში განკიდეგანებულ პეიზაჟებს.






***

## გაცრეცილი ფოლიანტები
## ჯანელიძის მაღაზია

წარმოგიდგენთ საარქივო სამმართველოს საცავებში დაცულ 103 წლის დოკუმენტს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო ქვითარს. იგი ეკუთვნოდა ცნობილ ბათუმელ საქმოსანს სევერიანე სპირიდონის ძე ჯანელიძეს. მას ქუთაისის ქუჩაზე, მაშინდელი სიმონოვის სახლში ჰქონდა გახსნილი შერეული ტიპის, საცალო-საბითუმო მაღაზია. ვფიქრობთ, ეს თავისთავად ლამაზად გაფორმებული ქვითარი, საინტერესო საბუთს წარმოადგენს, როგორც ბათუმის ისტორიის მკვლევარებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვისთვისაც.



Батумъ 20/IX 1916 г.

Оптово-розничная ТОРГОВЛЯ РАЗНЫХЪ СУХИХЪ — и — тертыхъ на маслѣ красокъ, = ОЛИФЫ = СТЕКЛА ОКОННАГО разныхъ маселъ, скипидара, газовой и кусковой смолы, КАТРАНЪ ЛАКОВЪ, политуры, кистей и шпахтелей.

Северіанъ Спиридоновичъ ДЖАНЕЛИДЗЕ

Кутаисская ул., № 30. домъ Симонова.

სევერიანე სპირიდონის-ძე ჯანელიძე, ბათუმში.

СЧЕТЪ

БОЛЬШОЙ ВЫБОРЪ ОБОЕВЪ гвоздей, проволоки — и — КРОВЕЛЬНАГО — ТОЛЯ. — Оцинкованнаго и черного ЖЕЛѢЗА — и — пр. др. товаровъ

Госпо...

| Коли-чество. | Продано и отпущено вамъ: | въ с... |
|---|---|---|
| | | Пуд. ф... |

აჭარის საარქივო სამმართველო

***

## დაიჯესტი

## საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი

2019 წლის 29 იანვარს საარქივო სამმართველოში ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით **„საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი"**

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი **მაია ივანიშვილი.** ღონისძიებას ესწრებოდნენ: განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **თეონა ბერიძე,** საოჯახო ტიპის ბავშთა სახლის **აღსაზრდელები და აღმზრდელები.**

საზოგადოებას მიესალმა აგრეთვე განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე **თეონა ბერიძე.**

მოხსენება **,,ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და ღვაწლი"** გააკეთა საზღვარგარეთთან საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის უფროსმა თამაზ ფუტკარაძემ, ხოლო საოჯახო ტიპის ბავშთა სახლის აღსაზრდელებმა: **გიორგი გორგაძემ, კახა გორგაძემ, ეფემია ბედინაძემ, სოფო ქათამაძემ, ალინა აკიმოვამ და მაია ლორთქიფანიძემ** წაიკითხეს ექთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი ლექსები.

ღონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა საზღვარგარეთთან საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის პუბლიკაციისა და გამოყენების სამსახურის მიერ მომზადებული **სლაიდშოუ** და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.





***

7 მარტს საზოგადოებამ სასტუმრო ჰილტონში გამართულ ღონისძიებაზე **,,,ძლიერი ქალი რეგიონისთვის,"** ჩვენი კუთხის სხვა ქალბატონებთან ერთად, საარქივო სამმართველოს ათზე მეტ ქალბატონს მიულოცა ქალთა საერთაშორისო დღე, მათ შორის კი საარქივო სამმართველოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს **ნინო გოგიტიძეს** გადასცა სპეციალური სამახსოვრო ჯილდო **„დაუღალავი შრომით განვლილი გზა"** . საარქივო სამმართველო ულოცავს ქალბატონ ნინოს და უსურვებს წარმატებებს პირად ცხოვრებასა და სამსახურეობრივ საქმიანობაში.



***

## დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის 100 წლისთავი

2019 წლის 12 მარტს საარქივო სამმართველოში გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. ღონისძიებას ესწრებოდა ქ. ბათუმის საკრებულოს დეპუტატი ნატალია ძიძიგური. საარქივო სამმართველოს თანამშრომლები.

საჯარო ლექცია თემაზე – „საქართველოს დამფუძნებელი კრების 100 წლისთავი" წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ასოცირებულმა პროფესორმა ჯემალ კარალიძემ .



***

## გაიღე სისხლი -გადაარჩინე სიცოცხლე

უფასო სისხლის დონაციის აქციაში (2019 წ. 18 აპრილი) საარქივო სამმართველოც ჩაერთო. არქივის თანამშრომლებმა უშურველად გაიღეს სისხლი და გაამდიდრეს საქართველოს სისხლის ბანკი. სისხლის დონაცია უსაფრთხო პროცესია. მას სხვა დაავადებების მქონე ადამიანებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ვინ იცის რამდენი ადამიანს შეუნარჩუნებს სიცოცხლეს. არქივისტთა თავდადება. სიკეთე გადამდებია...

***

2019 წ. 9 აპრილს საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა პატივი მიაგეს **საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას.**

ამ დღის აღსანიშნავად მოეწყო საარქივო სამმართველოში დაცული ფოტო და წერილობითი დოკუმენტების გამოფენა.



***

## მადლობა თავისუფლებისთვის 9 აპრილის გმირებს

ბათუმში, გმირთა ხეივანზე, 9 აპრილის გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალი გაიხსნა (ავტორი- თემურ მახარაძე). სისხლიანი მოვლენებიდან 30 წელი გავიდა. მემორიალი, რომელიც გმირთა ხეივანში განთავსდა წარმოადგენს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში თავგანწირვისა და თავისუფლების სიმბოლოს. დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა, ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.





***

2019 წ. 3 მაისს ხელვაჩაურის ტერიტორიულ არქივში ჩატარდა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული ცენტრისა და ხელვაჩაურის არქივის ერთობლივი **გამოფენა – მიძღვნილი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 74 წლისთავისადმი**. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მებრძოლის – დავით ანდრის ძე სულაბერიძის მიერ ოჯახში გამოგზავნილმა ფრონტულმა წერილებმა.





***

2019 წ. 4 მაისს აჭარის საარქივო სამმართველოს განახლებულ ფონდსაცავში გაიხსნა თემატური **გამოფენა „მერაბ კოსტავა- 26 მაისი“**






***

2019 წ. 17 მაისს, ხელვაჩაურის ტერიტორიულ არქივში ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის სტუდენტებს ჩაუტარდა **ექსკურსია-ლექცია**. ღონისძიებას ესწრებოდნენ: სამმართველოს ანალიტიკური და ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის სამსახურის უფროსი ელგუჯა ჩაგანავა და უფროსი სპეციალისტი ეთერ მიქელაძე. არქივის უფროსმა ავთანდილ ლეონიძემ ისაუბრა რაიონის არქივის ისტორიაზე, მსმენელებს გააცნო საარქივო საქმიანობისა თავისებურებანი, რაიონის გამოჩენილი, დამსახურებული მუშაკების პირადი ფონდები და კოლექციები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დიდ სამამულო ომში დაღუპული მებრძოლის დავით ანდრის ძე სულაბერიძის მიერ

ოჯახში გამოგზავნილმა ფრონტულმა წერილებმა, ასევე სოციალისტური შრომის გმირის გუგული ჭანიძის პირადი ფონდის გამოფენამ.



***

## არქივის თანამშრომლები ბავშვთა სახლში

2019წ.1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით,საარქივო სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ ბათუმის განათლების და დასაქმების ცენტრთან არსებულ საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში. საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მიულოცეს ბავშთა დაცვის საერთაშორისო დღე, საჩუქრად გადასცეს ფასიანი საჩუქრები და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



***

## გასვლითი ღონისძიება ხელვაჩაურის არქივში

2019 წლის 5 ივნისს, საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანო- ხელვაჩაურის არქივში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საარქივო სამმართვე-

ლოს უფროსის მოადგილე ანზორ თხილაიშვილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ: რამაზ ბოლქვაძე (სამმართველოს უფროსის მოადგილე), თამაზ ფუტკარაძე, ელგუჯა ჩაგანავა (სამსახურის უფროსები), ავთანდილ ლეონიძე (ტერიტორიული ორგანო- ხელვაჩაურის არქივის უფროსი), უფროსი სპეციალისტები: შორენა ფარტენაძე, თენგიზ პარმაქსიზიშვილი, ციცი ცინცაძე, ეთერ მიქელაძე, ლუიზა კონცელიძე, ფრიდონ ქარდავა. ღონისძიებას ესწრებოდნენ აგრეთვე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, რესურსცენტრის, ახალგაზრდული ცენტრის, კულტურის ცენტრის ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

მოხსენებებით: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, დამოუკიდებლობის აქტი“ და „მენშევიკები ხელისუფლების სათავეში“ გამოვიდნენ ფრიდონ ქარდავა და თამაზ ფუტკარაძე.

დასასრულს, ღონისძიების მონაწილეებმა გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.





## ჩვენი ავტორები:

1. **თამაზ ფუტკარაძე** – აჭარის საარქივო სამმართველო, სამსახურის უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
2. **ოთარ გოგოლიშვილი** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, დირექტორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი)
3. **რამაზ სურმანიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (საქართველო, ბათუმი);
4. **გიორგი ბაციკაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი (საქართველო, ბათუმი);
5. **ირინა შერვაშიძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
6. **მაია რურუა** – აჭარის საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი (საქართველო, ბათუმი);
7. **არმენ კარაპეტიანი** – გიუმრის არმენოლოგიური ცენტრი, დირექტორი (სომხეთი)
8. **ნატა თეთვაძე** – ანდრია პირველწოდებული სახელობის ქართული უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, თბილისი);
9. **კახა ფუტკარაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, თბილისი).
10. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის საარქივო სამმართველო, სამსახურის უფროსი (საქართველო, ბათუმი);
11. **ნატო ქიქავა** – აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი).

## Our Authors:

1. **Tamaz Phutkaradze** – Archives Administration of Ajara, head of service; Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
2. **Otar Gogolishvili –** Khation Akhvlediani Museum, director; Batumi Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);
3. **Ramaz Surmanidze –** Doctor of Medical Sciences (Georgia, Batumi);
4. **Giorgi Batsikadze** – Shota Rustaveli State University, student (Georgia, Batumi);
5. **Irina Shervashidze** – Shota Rustaveli State University, Ph.D (Georgia, Batumi);
6. **Maia Rurua** – Archives Administration of Ajara, head of department; (Georgia, Batumi);
7. **Armen Harapetyan** – Gyumri Armenology Center, director (Armenia);
8. **Nata Tetvadze** – St. Andrya Georgian University, Ph.D (Georgia, Tbilisi);
9. **Kakha Phutkaradze** – Tbilisi State University, Ph.D (Georgia, Batumi).
10. **Elguja Chaganava** – Archives Administration of Ajara, head of service (Georgia, Batumi);
11. **Nato Kikava –** Archives Administration of Ajara, senior specialist (Georgia, Batumi).

**სარჩევი:**


1. **თამაზ ფუტკარაძე** – საქართველო აზერბაიჯანის საარქივო დოკუმენტებში .. 3
2. **ოთარ გოგოლიშვილი** – ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის ბათუმში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის I ნახევარში ........ 12
3. **რამაზ სურმანიძე** – მამულიშვილი ........ 17
4. **გიორგი ბაციკაძე** – აჭი ........ 24
5. **ირინა შერვაშიძე** – პოლიტიკური რეპრესიები საარქივო დოკუმენტებში ........ 28
6. **მაია რურუა** –დოკუმენტები გვიამბობენ – ამბები გიგო ბასილაშვილის პირადი ფონდიდან ........ 35
7. **Armen Hayrapetyan** – Russian immigrants in the province of Alexanderpol: episods from the policy of Russianization of Eastern Armenia (from the second half of the XIX c. ........ 38
8. **ნატა თეთვაძე** – განაჩენი 1942 წლის შეთქმულების მონაწილეთა საქმეზე ........ 45
9. **კახაბერ ფუტკარაძე** – კონტრტერორისტულ პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსახლეობის განწყობის ძირითადი ფაქტორები ........ 48
10. **ნატო ქიქავა** – ზურაბ ხაბაძის პირადი ფონდი საარქივო სამმართველოში ........ 56
11. **პრესის მასალები ........ 62**
12. **დაიჯესტი ........ 74**

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com